



ლიბეჩანი

№ 80 / 13-19 ოცნისი / 2011

ღირს თუ არა „ავვისტოს 5 დღის“ ნახვა? გვ. 06

26 მაისი – გამოქიება გვ. 17

ოპოზიციის ახალი შანსი გვ. 19

როცა სამოქალაქო ოპოზიცია საკმარისი არ არის გვ. 42

უქრავი ქონება: გავყიდოთ, ვიყიდოთ თუ დავიცვალოთ? გვ. 24

„შავი ხეობის“ თეთრი სანამღვინე გვ. 30

შამგა – კრემლის არჩევანი გვ. 12

ვინ იქნება შემდეგი ბინ ლადანი? გვ. 08

აჰ, შერუნ, შერუნ! გვ. 52

ფასი 2 ლარი

ISSN 1987-7528



სოციალიზმობა "მედიან პაციტხანს"!

გვ. 14

UCNOBI FM 98.0


UCNOBI FM 98.0

UCNOBI FM 98.0

UCNOBI FM 98.0

UCNOBI FM 98.0

UCNOBI FM 98.0



IB

VB

TBII

TBI

UTB

98.0



ღარიშხანის ქარხნის ნანგრევები სოფელ ურაგში, 2011

ფოტო: რეზო ჯანაშია

ნომერში:

- 02 „ლიბერალის“ ვებგვერდიდან
- 04 მოკლედ
- 06 **ორი აზრი**
ღირს თუ არა „აგვისტოს 5 დღის“ ნახვა?
მსოფლიო
- 08 ვინ იქნება შემდეგი ბინ ლადენი?
- 10 **უშუშევრობა ევროპაში**
„დაკარგული თაობის“ მრისხანება
კონფლიქტები
- 12 შამბა – კრემლის არჩევანი
პოლიტიკა
- 14 თამაში ორმაგი სტანდარტით
- 17 26 მაისი – გამოძიება

- 19 **ოპოზიცია**
ახალი შანსი
- 22 **ტერორიზმი**
მეთორმეტე ტერაქტი
მთავარი თემა
- 24 გავყიდოთ, ვიყიდოთ თუ დავიცადოთ?
გარემოს დაცვა
- 30 „შავი ხეობის“ თეთრი სანამლავი
ეკონომიკა
- 36 საქართველოს ენერგეტიკული მომავალი
ინტერვიუ რიკარდო პულიტისთან
- 38 **თვალსაზრისი**
„კომფორტული“ საგადასახადო ადმინისტრირება

- თვალსაზრისი**
- 40 საქართველო, სინგაპური და ევროკავშირი
მარკ მალენი
- 42 როცა სამოქალაქო პოზიცია საკმარისი არ არის
გიორგი ცხადაია
- რევიუ**
- 44 პეპე
- 46 **ტექნოლოგიები**
კულტურა
- 48 აგვისტოს კინემატორაფიული ნათელი
სპორტი
- 50 პოლო
ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
- 52 აჰ, შერუნ, შერუნ!

გარეკანზე:

სოლიდარობა „მედია პალიტრას“!



ჟურნალი „ლიბერალი“ გამოცემა ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

ნესიეხად!

ნინო რობაქიძის ბლოგი

ერთი დღით ადრე, სანამ თბილისის მერი გიგი უგულავა ახლად გარემონტებული ბარათაშვილის სკვერს გახსნდა, მე მისი შესაძლებლობები შევაფასე.

ზოგადად, ხშირად მიმართლებს – იმდენს დავდივარ სალამოობით, განსაკუთრებით თუ კარგი ამინდია, რომ ძირითადად ან სკვერების პრეზენტაციის მონაწილე ვარ, ან პრეზენტაციამდე ვარ ყველგან ნამყოფი.

ბარათაშვილის სკვერი მართლაც „გარემონტებულია“, თუმცა სარეკრეაციო ფუნქციას რამდენად შეასრულებს და რამდენად იქნება თბილისში ჩამოსული ტურისტებისთვის მიმზიდველი გაჩერების პუნქტი, როგორც ამას ქალაქის მერი იმედოვნებს, ძნელი სათქმელია.

არც ლანდშაფტის არქიტექტორების ნამუშევართან მაქვს პრეტენზია და არც პარკის ფიზიკურ მონაცემებთან. როგორც წესი, ჩემი სალამოს გასეირნებების მტრები და ჩამშხამებლები უბრალოდ არაკომპეტენტური და, რაც მთავარია, საოცრად უზრდელი დაცვის თანამშრომლები არიან.

გუშინდელი სალამოც არ იყო გამონაკლისი. მე და ჩემი მეგობარი ბარათაშვილის სკვერში მოსახვედრად ელენე ახვლედიანის აღმართს ავუყევით და ის იყო ფოტოაპარატი ჩავრთე და ახლად შეკე-

თებული, სუროშემოხვეული ძველთბილისური სახლების გადაღება დავაპირე, დაცვის სამსახურის ფორმაში გამონყობილმა ახალგაზრდა ყმანვილმა მომიწოდა გამო-



მერთო აპარატი და ამ ქუჩაზე სურათების გადაღება შემეწყვიტა.

ჩემს კითხვაზე თუ რომელი კანონი კრძალავს ამ ქუჩაზე ფოტოების გადაღებას, დაცვის ახალგაზრდა თანამშრომელი არ დაიბნა და სხაპასხუპით მიპასუხა: „ბატონი მიშას კანონია, ახლა მოანერა ხელი!“ და მე

დავდუმდი. „ბატონი მიშას კანონი“, თანაც სულ ცხელი...

პრინციპში, რა მიკვირს? ეს ქუჩა ხომ საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციისკენ მიდის და განა შეიძლება იმ ქუჩაზე, რომელიც ქვეყნის პირველი პირის რეზიდენციას გაახლოვებთ სადაც სულ ცოტა ხნის წინ თვით შერონ სტოუნიც კი იყო, რომლის კედლებშიც საკულტო „ავისტოს 5 დღე“ გადაიღეს, ასე ხელალებით ფოტოების გადაღება?! თუნდაც ეს ქუჩა სარეკრეაციო ზონას ან სკვერს ეკუთვნოდეს და ტურისტულ მარშრუტებზეც იყოს დატანილი... რა თქმა უნდა, არ შეიძლება!

ისე, როგორც არ შეიძლება პარკში ფოტოაპარატის შეტანა, როცა იქ პრეზიდენტი. ეს უკვე რიყეზე გაშენებული პარკის ისტორიაა, სადაც სულ მალე „ბუდა ბარიც“ იქნება, მოცეკვავე შადრევნები კი უკვე არის. მაგრამ ამ პარკშიც, ალბათ, უდროოდ დროს მოვხვდი. იმ სალამოს, მე რომ რიყის პარკის დათვალიერება გადაწყვიტე, საქართველოს პრეზიდენტი პირდაპირ შადრევანთან იდგა და რომელიაღაც უცხოურ არხს ინტერვიუს აძლევდა. სწორედ ამიტომ შესასვლელში ყველას საგულდაგულოდ ჩხრეკდნენ და მხოლოდ მათ უშვებდნენ

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი შორენა შვერდაშვილი /ალმასრულებელი რედაქტორი სოფო ქაჯავა / კეკელია და კონფლიქტები სოფო ბუკია / საზოგადოება თამარ ბაბუაძე / ახალი ამბები ნანა საჯავა / ვებგვერდის რედაქტორი ნინო ჯაფარიანი
შპს ნანა-საჯავა: მია ნიკოლაური, მარიკა ქოჩიაშვილი, ეკა ჭითანავა, რუსუდან ფანოზოვილი, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაკაძე, ნინო რობაქიძე, ნათია გულიაშვილი
პუნქტუალური: მარკ მალენი, გიორგი ცხადაია, მანანა ვარდიამელი, ნინია კაკაბაძე, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი, კახა თოლორაძე, ლექსო ჩქარუელი, დიანა ჩაჩუა, ნათია ახალაშვილი, ნინო ბექაშვილი, დანიელ ნინი, ნიკო ნერგაძე
რედაქტორი: ფოტო-რედაქტორი ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული დიზაინი თორნიკე ლორთქიფანიძე / რედაქტორ-სტილისტი პაატა შამუგია / კორექტორი თამარ ლონღაძე
ბამონტაჟი: პროექტის მენეჯერი ქეთი ბაბუნაშვილი / პროექტის მენეჯერის ასისტენტი ლელა შუბიტიძე / კლიენტთა მომსახურების მენეჯერი ნათია რუსაძე / დისტრიბუტორი ზვიად შენგელია
ბამონტაჟი: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge
სსპა ბამონტაჟი: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „პიზნისი: ადამიანები, მეოთხედი, სტრატეგიები“. „ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ფურცელში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.
ბეჭდვა: სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, ნერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02.
გამოცემის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.
www.liberali.ge

პარკში, ვინც პრეზიდენტის დაცვის თანამშრომლებს შესახებ ვადავებდით მოსწონდათ.

„მე მეგონა ამ პარკში ხალხი სეირნობს და სულ ჩვენ ვყოფილვართ,“ – სიცილით ესალმებოდა შესასვლელში პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი გია ხუროშვილი თავის ნაცნობს, რომელიც მე ვერ ვიცანი.


მოკლედ იმ საღამოს „ფეისკონტროლი“ გავიარე და პარკში მოვხვდი, მაგრამ სეირნობის რა გითხრათ. ჯერ, სანამ პარკში პრეზიდენტი იყო, ყურში ტელეფონის შურუიანი დაცვის თანამშრომლები მთელ პერიმეტრზე იდუმალი საფრთხის მომასწავებლად მოძრაობდნენ, მერე როცა პრეზიდენტი წავიდა და პარკიც თითქმის დაიცალა, საზოგადოებრივი წესრიგის ზრუნვაზე ინიციატივა პარკის დაცვის თანამშრომლებმა აიღეს და აქ ყველაზე მოულოდნელი ნაწილი დაიწყო.

რიყეზე არსად არ არის გამაფრთხილებელი ნიშანი, რომელიც ადამიანებს აცნობ

ბედა, რომ პარკში დამონტაჟებულ ხის მერხზე მხოლოდ ისე შეიძლება ჯდომა, როგორც სკოლის მერხთან ან ისე, როგორც ეს დაცვის სამსახურის თანამშრომლებს მოსწონთ. ოდნავ თუ წამოწევი ან უბრალოდ დაცვის თანამშრომელს შენი ჯდომის მანერა არ მოსწონს, პირველი გაფრთხილება არც მეტი, არც ნაკლები ასე უღერს: „წესიერად!“ და თუ შენ მაინც უტიფრად აგრძელებ „უნესოდ“ მოქცევას, მაშინ პარკის დაცვა ტერიტორიის დატოვებას მოგთხოვს. ასე რომ, დაივიწყეთ „Notting Hill“ და ჰიუ გრანტის მუხლებზე წამოწოლილი ჯულია რობერტსი – თქვენ რიგითი მოკვდავი ხართ და თანაც რიყეზე (Tbilisi, Georgia).

მაგრამ ეს ყველაფერი არ არის, პარკში სასწრაფოდ არის საჭირო კიდევ ერთი ამკრძალავი ნიშანი, რათა შეყვარებული მოქალაქეები უნებლიეთ არ გახდნენ დამნაშავეები. მაგალითად, ირგვლივ არსად

არის კოცნის ამკრძალავი ნიშანი, რომელზეც ნითელი ხაზით, თვალნათლივ იქნება გადახაზული ჩახუტებული წყვილი ან ტუჩებში კოცნის სცენა. რიყის „ყველაზე თანამედროვე და დასავლური სტანდარტების“ პარკში კოცნაც აკრძალულია და დაცვის მრისხანე თანამშრომელი ამ აკრძალვის სისწორეს ასე ასაბუთებს: „აი, მე რომ ჩემს მეუღლესთან ერთად გამომეგლო, ეს ხომ არ მომენიწებოდა?!“

დიახ, ამ არგუმენტის მოსმენის, გასიგრძელებისა და ინფორმაციად გადამუშავების შემდეგ თქვენ ისღა დაგრჩენიათ ან მთელი საღამო დაცვის თანამშრომლებთან იჩხუბოთ, ან უბრალოდ და მარტივად შეწყვიტოთ კოცნა, წელში გასწორდეთ, მიეყრდნოთ ხის ლამაზი სკამის საზურგეს, ფეხები მყარად დადგათ მიწაზე და აყვეთ სოფო ნიჟარაძის წკრიალა ხმას: „თუ გაიჭრები აჭარის მთებში...“ 



**პროკრედიტ ბანკის მიხედვით
ჩვენს ჩემთვის უკეთესი**

 **220 22 22**
www.procreditbank.ge



ფოტო გარანა ტოფინიშვილი

ხორციის გაძვირებას დახლებს დაცარიელება მოჰყვა

სოხსი ბაძვიხდა

ერთი კვირის, თბილისში საქონლის ხორცზე ფასმა კილოგრამზე, საშუალოდ, 3 ლარით მოიმატა. ფასის ცვლილება სოფლის მეურნეობის სამინისტროს ახალმა მოთხოვნამ გამოიწვია. ახალი წესის მიხედვით, საქონლის ხორცი თბილისის ბაზარზე რომ მოხვდეს, აუცილებლად სპეციალურ სასაკლაოზე უნდა დაიკლას. ასეთი სასაკლაო კი, ჯერჯერობით, სულ ორია.

აქამდე, ხორციით მოვაჭრეები ხორცს სოფელში, გლეხისგან ყიდულობდნენ და იქვე, ადგილობრივი ვეტერინარის შემოწმების შემდეგ, კლავდნენ. საქონელი შემოწმებას ბაზარში არსებულ ლაბორატორიაშიც გადიოდა და მხოლოდ ამის შემდეგ ხვდებოდა დახლებზე.

კანონის ცვლილება კი მოვაჭრეებს ავალდებულებს, საქონელი დასაკლავად სასაკლაოზე მიიყვანონ და იქ დაკვლასა და ერთი

კილოგრამი ხორცის დამზადებაში 1 ლარი გადაიხადონ. შესაბამისად, ახალმა ვალდებულებებმა, ერთი კილოგრამი საქონლის ხორცის ფასი 2-3 ლარით გაზარდა. კანონის დარღვევის შემთხვევაში, მოვაჭრეებს ჯარიმა – 2000 ლარი დაეკისრებათ.

ფასის ზრდით შეშინებული მოვაჭრეების ნაწილმა დროებით შეწყვიტა საქმიანობა. საბურთალოს ბაზარში მხოლოდ ღორის ხორცი იყიდება. საქონლის ხორცის დახლები ცარიელია დეზერტირების ბაზარშიც. მხოლოდ ორმა მოვაჭრემ გარისკა ხორცის შემოტანა და თუ ერთი კვირის წინ კილოგრამს 12 ლარად ყიდდნენ, ახლა 14-15 ლარს აფასებენ. ეს ფასი უთანაბრდება სუპერმარკეტებში არსებულ ფასებს. შესაბამისად, საქონლის ხორცის გაყიდვები საგრძნობლად დაეცა.

ლე ფაქტო
საქართველოს
ახიზნაბი დაინიშნა
 აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტს ადგილობრივი მოსახლეობა 26 აგვისტოს აირჩევს. ამავე დღეს აფხაზეთი „რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღეს“ აღნიშნავს. ვადამდელი არჩევნები აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტმა დანიშნა. პარლამენტმა საზოგადოებას არჩევნების მშვიდობიან გარემოში ჩატარებისკენ მოუწოდა, რათა ყველას აჩვენონ „აფხაზეთის დემოკრატიული სახელმწიფოს წარმატებები“. დე ფაქტო პრეზიდენტის მოვალეობას ვიცე-პრეზიდენტი, ალექსანდრე ანტევაბი ასრულებს. ის პრემიერ-მინისტრ სერგეი შამბასთან, ოპოზიციონერ რაულ ხაჯიმბასთან და ბიზნესმენ ბესლან ბუთბასთან ერთად პრეზიდენტობის პოტენციური კანდიდატებს შორის მოიაზრება.

ნაქიხანა ქაქიჯი
ჯახს ოქმოსი
"ჰაქიჩი" ბაქსა
 აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტმა საქართველოს 40 ერთეული „ჰაქმერის“ ტიპის მანქანა გადასცა. M1151 ტიპის 30 ერთეულ და M1151A1 ტიპის 10 ჯავშნთან მანქანებს საქართველოს თავდაცვის უწყება ავღანეთის სამშვიდობო მისიისთვის მოსამზადებელ წრთვებში მოიხმარს. „აღჭურვილობას ის ბატალიონი გამოიყენებს, რომელიც ნატოს საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერი ძალების მიერ წარმოებულ ავღანეთის სამშვიდობო მისიაში გაემგზავრება“, – წერია თავდაცვის სამინისტროს ვებგვერდზე.

საბაჩაო საქათვა საინისსხო მოქანაქეხს მიხითაჲს



საგარეო საქმეთა სამინისტრო მიმართავს საქართველოს მოქალაქეებს, თავი შეიკავონ რუსეთის ფედერაციაში მგზავრობისგან, რადგანაც ამ ქვეყანაში მათი ყოფნა უსაფრთხო არ არის. სამინისტრომ ეს განცხადება 5 ივნისს, მოსკოვში გელა ბლიაძის მკვლელობის შემდეგ გააკეთა. „მკვლელობა მოხდა იმ ქვეყანაში, სადაც

ქუჩებსა და ციხეებში კლავენ ადამიანის უფლებების დამცველებს, ჟურნალისტებს და ადვოკატებს. ეს დანაშაულები ხდება იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელიც აწარმოებს სახელმწიფო ტერორიზმის პოლიტიკას – გეგმავს, აფინანსებს და ახორციელებს ტერორისტულ აქტებს სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ამ პოლიტიკის კიდევ ერთი დადასტურებაა 2011 წლის 2 და 6 ივნისს საქართველოს სამართალდამცავების მიერ დაკავებული ორი ტერორისტული ჯგუფი“, – აცხადებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

ჰოსპიტალი სექტორში ფინანსური დახმავება

კონტროლის პალატის დასკვნის მიხედვით, 2008-2010 წლებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სამკურნალო დაწესებულებებში ფინანსურმა დარღვევებმა მილიონ ლარს გადააჭარბა. მხოლოდ იაშვილის კლინიკაში გამოვლენილი დარღვევები 200 ათასი ლარია. დასკვნის მიხედვით, ჰოსპიტალურ სექტორში არ არსებობს გაანგარიშების გამჭვირვალე სისტემა, დაუსაბუთებელია სამედიცინო მომსახურებაზე დადგენილი ტარიფები.

არასწორად ხდება სახელმწიფო ქონების განკარგვა – სახელმწიფო ქონების მოიჯარეები დროულად არ იხდიან საიჯარო ქირას, არ ხდება მათზე პირგასამტეხლოს დაკისრება, საიჯარო ფართები გაცემულია არასაბაზრო ფასებით. კონტროლის პალატა საქართველოს მთავრობას ურჩევს, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სამკურნალო დაწესებულების ფინანსური მართვის გასაუმჯობესებლად მათი პრივატიზაცია დაუყოვნებლივ განახორციელოს.

მსოფლიოს ჰიხვილი ჯაქიანი დანისში

ამერიკის ნაციონალურ მეცნიერებათა აკადემიის ინფორმაციით, მსოფლიოში პირველი ადამიანი კავკასიაში, კონკრეტულად კი, საქართველოში აღმოჩნდა. როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, მის კვალს დმანისში მიაგნეს. 2005 და 2010 წელს დმანისის ტერიტორიაზე ქვის რამდენიმე იარაღი აღმოაჩინეს. დადგინდა, რომ ეს უფრო ადრინდელი ეპოქის იარაღებია, ვიდრე ევრაზიის პირველი ბინადრები – ზეზვა და მზია. შესაბამისად ამ ნივთების მფლობე-

ლებიც უფრო ადრეულ პერიოდში ცხოვრობდნენ. დღემდე მსოფლიოს პირველ ადამიანად აფრიკელი ჰომინიდი მიიჩნევა, მისი ასაკი 1,65 მილიონი წელია, დმანისში აღმოჩენილი ქვის არტეფაქტები კი 1,85 მილიონი წლით თარიღდება.



ჩისხვები

11 ივნისს ზღვის წლებანდელი სეზონი ბათუმში გაიხსნება

3 მილიონი ტურისტის შემოსვლას ელოდება საქართველოში ტურიზმის ეროვნული სააგენტო

21 ადამიანი გარდაიცვალა ევროპაში E.coli-ს ნაწლავური ჩხირის გავრცელების გამო, რომელიც ესპანურ კიტრში აღმოაჩინეს

სიტყვები



„თუ რუსეთში დემოკრატიული საპრეზიდენტო არჩევნები არ ჩატარდება, ტუნისისა და ეგვიპტის მსგავსი ამბოხება გარდაუვალია“.

მიხეილ კასიანოვი, რუსეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი

„ღმერთმა ჩვენ ახალგაზრდა ლიდერი მიხეილ სააკაშვილი გამოგვიგზავნა. მან მხოლოდ მესამედი გააკეთა იმის, რაც შეუძლია, კიდევ გააკეთოს“.

ვახტანგ კიკაბიძე, მომღერალი

„ეს იყო კლასიკური სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა“.

გიგი უგულავა 25 მაისის აქციის შესახებ

„ყველას კარგად გვესმის, რას ნიშნავს როკის გვირაბი რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკისათვის. ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არტერიაა და მისი რეკონსტრუქცია ერთი წლით უნდა დაჩქარდეს“.

ვლადიმირ პუტინი, რუსეთის პრემიერ-მინისტრი

31

თამუნა, 25 წლის:

ნორმალური ფილმია, საინტერესო შინაარსით. ოღონდ სპეცეფექტებია ცოტათი ზედმეტი.

ზაზა, 34 წლის

ყველაფერი მაღალ დონეზე იყო: სპეცეფექტები, სცენარი. მსახიობების თამაში. ძალიან მომეწონა. რეალობასთან ახლოს იყო და საინტერესო საყურებელი იყო.

გიორგი, 27 წლის

მომეწონა, რეალობასთან ახლოს იყო და კარგად იყო ასახული, როგორი მოძალადეა რუსეთი. აუცილებლად უნდა ნახონ ეს ფილმი მთელ მსოფლიოში, რომ სიმართლე გაიგონ.

გიორგი, 26 წლის

რეალობასთან იყო ახლოს და მომეწონა, კარგად ჩანს, როგორ აიძულა რუსეთმა საქართველო ომში ჩართულიყო. ძალიან კარგად იყო გადაღებული. ყველა სტანდარტს აკმაყოფილებს, ჩემი აზრით.

მარინა, 52 წლის

მე თვითონ დევნილი ვარ და ძალიან მძიმე საყურებელი იყო ჩემთვის. მომეწონა, რეალობა იყო ასახული.

კახა, 32 წლის:

ძალიან რეალური იყო ყველაფერი, მძიმე, მაგრამ რეალური. სპეცეფექტებიც საინტერესო იყო. იმედია, შესაფერისი გამოხმაურება ექნება სხვა ქვეყნებშიც.

ელენე, 27 წლის

მომეწონა იმიტომ, რომ ნაჩვენებია ზოგადად ომს რა შედეგები მოაქვს. ობიექტურად იყო აღწერილი სინამდვილე და არა ცალმხრივად და ერთმნიშვნელოვნად.

დათო, 31 წლის:

ძალიან კარგი იყო, ძალიან რეალური და საინტერესო ისტორიები. რაც შეიძლება მეტ ქვეყანაში უნდა აჩვენონ ეს ფილმი.

ნატა, 31 წლის

როგორც ჰოლივუდური ბლოკბასტერი, ნორმალური ფილმია და საინტერესო სანახავია. თუ ვინმე ინტელექტუალურ კინოს ელოდება, მაშინ ალბათ არ მოეწონება. მე მაინც ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვანი ფილმია საქართველოსთვის და ყველამ უნდა ნახოს



ლიხს თუ ახა "აბჰის"

■ მომეწონა და აუცილებლად უნდა ნახოს ყველამ. ასეთი მასშტაბის ფილმი, ასეთი მსახიობების მონაწილეობით საქართველოში არასდროს გადაღებულა. საინტერესო იყო როგორც ვიზუალურად, ისე შინაარსით. **ირაკლი, 23 წლის**



კადრი ფილმიდან „აგვისტოს 5 დღე“

სოს 5 დღის" ნახვა?

■ რომ გამოვედი არანაირი ემოცია არ მქონია. „მამაც გულს“ და „პატრიოტს“ რომ ვუყურე, ერთ შემთხვევაში შოტლანდიელი ვიყავი, მეორეში ამერიკელი. ამ ფილმის ყურებისას ქართველი არ ვყოფილვარ.

შალვა, 26 წლის

არა

გიორგი, 25 წლის:

ძალიან არ მომეწონა, არაფერი არ ვარგოდა, არც სცენარი, არც გახმოვანება, არც გადაღება. ძალიან ცუდი ფილმია.

ნინო, 27 წლის:

ბევრად საინტერესო ისტორიები იყო რეალურად, რისი აღებაც და კარგად გაკეთებაც შეიძლებოდა. ძალიან ყალბი და ზედაპირულია, რაც აქ ვნახე, აშკარად უკეთესს ველოდი.

ნანა, 28 წლის:

სანამ შევიდოდი, მეგონა, რომ ბოლომდე ვერ ვუყურებდი, იმდენად მძიმე და იმდენად რეალური იქნებოდა ყველაფერი, მაგრამ საერთოდ არ მქონდა რეაქცია. ძალიან ყალბი იყო ყველაფერი. არ ვიცი, შეიძლება ცუდი გახმოვანების ბრალიც იყო, მაგრამ არ მომეწონა.

ნათია, 26 წლის:

არ მოველოდი, ასეთი ცუდი თუ იქნებოდა, დაბალხარისხიანი ჰოლივუდური ბლოკბასტერია, ცუდი სცენარით, რეჟისურით და გახმოვანებით.

ანა, 23 წლის:

ფილმის ღირებულება როგორც პოლიტიკური, ისე მხატვრული თვალსაზრისით, ძალიან დაბალია. ვერ ვხვდები, რაში სჭირდებოდა ასეთი ფილმის გადაღება ქართულ მხარეს. ჩვეულებრივი ჰოლივუდური ბლოკბასტერის სტანდარტებსაც კი ვერ აკმაყოფილებს.

გიორგი, 24 წლის:

დიდად არ მომეწონა, ძალიან ცუდი გახმოვანებაა და ზედმეტი სპეცეფექტები. უკეთესად შეიძლებოდა გაკეთება. ისეთი ამბავი იყო ატეხილი, მეგონა ძალიან მაგარი ფილმი იქნებოდა.

ნიკა, 33 წლის:

სპეცეფექტებით დატვირთული იაფფასიანი პროპაგანდისტული ფილმია, ბავშვები თუ უყურებენ, ეფექტების გამო. სხვას არ ვიცი, ვის შეიძლება, დააინტერესოს.

მაია, 23 წლის

ძალიან ცუდი ფილმია. იმისთვისაც კი არ ღირს ნახვა, რომ დარწმუნდე, რომ ცუდია.

გიორგი, 27 წლის

არ მომეწონა, ვერც ერთ გმირს ვერ ვუგულშემატკივრე, საერთოდ არ ჩამითრია. რეალურად ბევრად უფრო მტკივნეულად განვიცადეთ ეს ომი, ვიდრე ფილმში იყო ასახული.

ალ ქაიდა

ვინ იქნება ჭეშმარიტი ბინ ლადენი?

დღეს, როგორც არასდროს, ალ-ქაიდას ახალი ლიდერი სჭირდება. ნომერ პირველი ტერორისტის სტატუსისთვის რამდენიმე სერიოზული კანდიდატი იბრძვის.

ვასო კუჭუხიძე

3 ივნისს ამერიკული უპილოტო თვითმფრინავის მიერ სამხრეთ ვაზირის-ტანში განხორციელებულ ოპერაციას ალ-ქაიდას ერთ-ერთი სამხედრო ლიდერის, ილიას ქაშმირის სიცოცხლე შეენირა.

ილიას ქაშმირი ალ-ქაიდას შემადგენლობაში შემავალ ნახევრადდამოუკიდებელ მილიტარისტულ ჯგუფ „ბრიგადა 313“-ს ხელმძღვანელობდა და ფუნდამენტალისტური ტერორისტული დაჯგუფება „ჰუჯი“-ს ლიდერად ითვლებოდა. 2009 წელს დანიური გაზეთის ოფისზე განხორციელებული თავდასხმის და 2010-2011 წლებში პაკისტანში ორგანიზებული ტერაქტების შემდეგ ილიას ქაშმირი ალ-ქაიდაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

ქაშმირი პაკისტანური სპეცსამსახურების ოფიცერი იყო. 80-იანი წლების დასაწყისში ის ისლამაბადის დაავლებით ავღანეთში გაგზავნეს, რათა მოჯაჰიდი მებრძოლებისთვის ტანკსანინალმდეგო მინების გამოყენება ესწავლებინა. სწორედ ამ დროიდან შეუერთდა ილიას ტერორისტებს და ერთ-ერთ მოუხელთებელ დამნაშავედ იქცა. ვაშინგტონმა მასზე 5 მილიონიანი ჯილდოც კი დაანესა და მიუხედავად იმისა, რომ ორჯერ გავრცელდა ხმები მისი გარდაცვალების შესახებ, იგი კვლავ წარმატებით განაგრძობდა საქმიანობას.

ბინ ლადენის გარდაცვალების შემდეგ ქაშმირი ალ-ქაიდას ლიდერობის ერთ-ერთ კანდიდატად ითვლებოდა. ორგანიზაციაში არაარაბული წარმოშობის მებრძოლები ნაკლები პოპულარობით სარგებლობენ, ამიტომ, ცნობილია, რომ ილიასი თავის წარმოსაჩენად ახლო მომავალში რამდენიმე მასშტაბური ტერაქტის მოწყობას გეგმავდა, მათ შორის, ამერიკის და საუდის არაბეთის საელჩოების აფეთქებას პაკისტანში და ნატოს საკვები მარაგის მონაწილვას ავღანეთში. ამ უკანასკნელი მიზნის

განსახორციელებლად, ის სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე თალიბანის საველე მეთაურებსაც შეხვდა. სავარაუდოდ, სწორედ ამან გამოიწვია ამერიკული და პაკისტანური სპეცსამსახურების გააქტიურება და ქაშმირის ლიკვიდაციისთვის სასწრაფო ოპერაციის ჩატარება.

ილიას ქაშმირის სიკვდილმა კიდევ ერთხელ დააყენა დღის წესრიგში ალ-ქაიდას ახალი ლიდერის არჩევის აუცილებლობა. ალ-ქაიდა უამრავი მცირე დაჯგუფებებისაგან შედგება, რომელთაც არ გააჩნიათ ზემდგომი ორგანო. კონკრეტული ჯგუფი ცენტრალურ საბჭოს მხოლოდ ერთი კურიერის საშუალებით უკავშირდება და სწორედ მათგან ლეზლობს მითითებებს. უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ჯგუფი ხშირად სრულიად წყვეტს კავშირს კურიერთან და დამოუკიდებლად მოქმედებს. ამ მცირე დაჯგუფებებს კი ერთგულების ფიცი, ე.წ. „ბაია“, დადებული ჰქონდათ, არა ორგანიზაციის, არამედ პირადად ბინ ლადენის წინაშე. ლიდერის ლიკვიდაციის შემდეგ გაჩნდა ალბათობა, რომ ეს ნახევრად დამოუკიდებელი ჯგუფები სრულიად მოსწყდებოდნენ ორგანიზაციას და დაიქსაქსებოდნენ, რაც, საბოლოო ჯამში, ალ-ქაიდას მნიშვნელოვნად დაასუსტებდა. შესაბამისად, ალ-ქაიდასთვის ახალი, თუნდაც დროებითი ლიდერის არჩევა ახლა მნიშვნელოვანია, როგორც არასდროს.

ახალი მუდმივი ლიდერის ასარჩევად, ჯერჯერობით, ალ-ქაიდას სრული ცენტრალური საბჭოს შეკრება ვერ მოხერხდა. როგორც ცნობილი გახდა, ე.წ. შურას მხოლოდ 8 წევრმა შეძლო შეხვედრაზე დასწრება. საიდუმლოდ რჩება მათი შეხვედრის ადგილი, თუმცა ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ ის ავღანეთისა და პაკისტანის საზღვართან უნდა შემდგარიყო. ორგანიზაციის შიდაგანაწესით ლიდერის ასარჩევად უმრავლესობის

ვლესობის თანხმობაა საჭირო და რადგანაც ცენტრალური საბჭოს სრულად შეკრება არ შედგა, ტერორისტები დროებით კანდიდატურაზე შეთანხმდნენ. გადანყდა, სანამ მუდმივ ლიდერს არჩევენ, ალ-ქაიდას საიფ ალ-ადელი უხელმძღვანელებს.

საიფ ალ ადელი, იგივე „სამართლიანობის მახვილი“, ეგვიპტური უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი პოლკოვნიკია. მოგვიანებით, იგი ისლამისტურ ჯიჰადს შეუერთდა და იძულებული გახდა 1981 წელს სამშობლო დაეტოვებინა. ის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მოჯაჰიდებთან ერთად იბრძოდა ავღანეთში, სადაც მოხდა მისი დაახლოება ალ-ქაიდას მომავალ ლიდერებთან. იყო 1998 წელს ტანზანიასა და კენიაში ამერიკის საელჩოზე განხორციელებული ტერაქტების ერთ-ერთი ორგანიზატორი. ასევე აქტიურად მონაწილეობდა 11 სექტემბრის ტერაქტის ორგანიზებაში. თავდასხმებს ადელი ავღანეთიდან ხელმძღვანელობდა,



ილიას ქაშმირი

თუმცა ამერიკელთა მიერ ჩატარებული ოპერაციების შემდეგ იძულებული გახდა ქვეყანა დაეტოვებინა და ირანში გადასულიყო. ირანელმა სპეცსამსახურებმა იგი მალევე დააპატიმრეს და მომდევნო 9 წელი შიდა პატიმრობაში გაატარა.

სწორედ ადელი იყო ალ-ქაიდას მიერ განხორციელებული მასშტაბური ტერაქტების მთავარი ორგანიზატორი. უსაფრთხოების სამსახურში მუშაობის დროს მიღებული მისი გამოცდილება ტერორისტების წარმატებას განაპირობებდა. მისი დაკავების შემდეგ კი ალ-ქაიდას ტერაქტებმა ეფექტურობა დაკარგა. დაახლოებით ერთი წლის წინ ის გაათავისუფლეს და მისი გააქტიურება უკვე დაეტყო ორგანიზაციას. რამდენიმე დღის წინ პაკისტანის ტერიტორიაზე მონყობილი მასშტაბური ტერაქტი, ადელის მეთაურობით განხორციელდა. ალბათ, გასაკვირი არ არის, რომ აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ იგი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო ტერორისტადაა მიჩნეული და მასზე ჯილდოს სახით 5 მილიონი დოლარია დაწესებული.

მიუხედავად ალ-ქაიდაში ადელის დიდი ავტორიტეტისა, ის არ წარმოადგენს ქა-

რიზმატულ ლიდერს, ამიტომაც მეთაურად მის არჩევას ორგანიზაციის შიგნით დიდი წინააღმდეგობა შეხვდა. ანალიტიკოსები კი გაცხადებენ ვერ მალავდნენ, რადგანაც ყველა ზავაპირის პირველკაცობას ელოდა. ზავაპირის ლიდერობისკენ სწრაფვა, ჯერ კიდევ ბინ ლადენის ლიკვიდაციამდე დაიწყო და ორგანიზაციაში განხეთქილების მიზეზად იქცა. დღეს კი პრობლემა არა იმდენად ახალი ლიდერის არჩევა, არამედ მომავალი სტრატეგიის დაგეგმვაა. ზავაპირის იდეები კი საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს ტერორისტების დიდ ნაწილში და ახალი სტრატეგიის საფუძვლად მიიჩნევა.

ამან ალ ზავაპირიც ეგვიპტელია, წარჩინებულ ოჯახში აღზრდილი ახალგაზრდა, ქვეყანაში ერთ-ერთი წარმატებული ქირურგი იყო, თუმცა მოგვიანებით რელიგიურმა ფუნდამენტალიზმმა გაიტაცა და ისლამისტურ ჯიჰადს შეუერთდა. ეგვიპტური სპეცსამსახურების დევნის გამო იძულებული გახდა, ქვეყნიდან გაქცეულიყო და ისიც ალ-ქაიდას ბანაკში აღმოჩნდა. განათლებული და ქარიზმატული ზავაპირი მალე მოექცა ორგანიზაციის სათავეში და

ბინ ლადენის მთავარი მოადგილის სტატუსიც დაიმკვიდრა. ლიდერის სიკვდილის შემდეგ იგი ნომერ პირველ ტერორისტად ითვლება და მასზე ჯილდოს სახით 25 მილიონი დოლარია დაწესებული.

ზავაპირის ამბიციები უსაზღვროა, ამიტომაც იგი მტრულად შეხვდა ადელის დროებით ლიდერად არჩევას. თუმცა, როგორც ამბობენ, პოზიციების დათმობას არ აპირებს და მუდმივი ლიდერის არჩევის დროს მაქსიმალურად ეცდება, თავად ჩაუდგეს სათავეში ორგანიზაციას, ამისთვის კი მას საკმაოდ დიდი მხარდაჭერა გააჩნია ორგანიზაციის ავღანეთის, ერაყისა და პაკისტანის წარმომადგენლობებში.

ზავაპირი უკვე ჩრდილიდან გამოსვლასაც იწყებს. ქაშმირის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღეში ჯიჰადისტთა საიტებზე მისი 28-წუთიანი ვიდეორგოლი გამოჩნდა, რომელიც ბილ ლადენის ლიკვიდაციის შემდეგ, ალ-ქაიდას პირველი ოფიციალური განცხადებაა. მონოლოგში ზავაპირი ყურადღებას ბინ ლადენის მიერ განუღებულ ღვაწლზე ამახვილებს და ყველა ჭეშმარიტ მუსლიმს ახალი დიდი ბრძოლის დაწყებისკენ მოუწოდებს.

მედის ყურადღება ზავაპირსა და ადელს შორის არსებულ დაპირისპირებაზე გადატანილი, ეს კი ჩრდილში აქცევს კიდევ ერთ კანდიდატს, ალ-ავლაკის. ის ამერიკაში, ნიუ მექსიკოს შტატში დაიბადა და ამერიკის მოქალაქეა. არის იმამი და ისლამის მცოდნე მეცნიერი. განსაკუთრებით პოპულარულია ისლამისტი ფუნდამენტალისტების ახალ თაობაში. თუკი ალ ზავაპირს ორგანიზაციის ძველი გვარდია უჭერს მხარს, ავლაკი ახალგაზრდების კერპია არამარტო არაბულ სამყაროში, არამედ ამერიკელ და ევროპელ მუსლიმებშიც.

ალ-ავლაკის სასარგებლოდ მოქმედებს კიდევ ერთი გარემოება. დაუნერული კანონის მიხედვით, ალ-ქაიდას მეთაური, რომელსაც ამავე დროს სულიერი ლიდერის ფუნქციაც აკისრია, წარმოშობით უნდა იყოს არაბეთის ნახევარკუნძულიდან, რადგანაც სწორედ იქ მდებარეობს ისლამისტთა ორი უმნიშვნელოვანესი წმინდა ქალაქი. ავლაკი კი იემენის მოქალაქეც არის, ხოლო მისი კონკურენტი ზავაპირი და ადელი ეგვიპტიდან არიან, რაც მათ შანსებს მნიშვნელოვნად ამცირებს. ■

■ მედიის ყურადღება ზავაპირსა და ადელს შორის არსებულ დაპირისპირებაზე გადატანილი, ეს კი ჩრდილში აქცევს კიდევ ერთ კანდიდატს, ალ-ავლაკის.



საიფ ალ ადელი



ამან ალ ზავაპირი

უზუზუვროზა ევროკავში

"დახახბუდი თაობის" მიხისხანება

კაიროს თაჰრირის და მადრიდის პუერტო დელ სოლის მოედნებს 3363 კილომეტრი აშორებს. თუმცა, მანძილი ამ ორ სამყაროს შორის არასოდეს ყოფილა ისეთი მცირე, როგორც გასულ კვირას – როცა ევროპის „დაკარგული თაობა“ კორუმპირებული მთავრობის და ეკონომიკური პოლიტიკის გასაპროტესტებლად ქუჩაში გამოვიდა.

დიანა ჩაჩუა

„ჩვენ – უმუშევრები, დაბალანაზღაურებიანი და უხელფასო სტაჟიორები, ქვეყნის ისტორიაში ყველაზე განათლებული თაობა ვართ. ჩვენ გამოვდივართ ქუჩებში, რათა მათ, ვინც ჩვენს არასაიმედო სიტუაციაზე არიან პასუხისმგებელნი, სასწრაფოდ მიიღონ ზომები და შეცვალონ ეს გამოუვალი რეალობა“, – ისევე როგორც ეგვიპტეში, ევროპაშიც ყველაფერი Facebook-ით დაიწყო. მარტში პორტუგალიელმა ალექსანდერ დე სოუსა კარვალიომ და მისმა ამხანაგებმა „ნარჩენების თაობას“ პროტესტისკენ მოუწოდეს.

ლისაბონის თავისუფლების მოედანზე გამოსული 200 ათასი ადამიანის საპროტესტო აქცია ყველაზე მასშტაბური იყო 1974 წლის „მიხაკების რევოლუციის“ შემდეგ, როდესაც პორტუგალიაში მემარცხენე დაჯგუფებების მიერ ორგანიზებული უსისხლო სამხედრო გადატრიალება მოხდა.



25 წლის ალექსანდერ დე სოუსა კარვალიომ სამაგისტრო ხარისხი საერთაშორისო ურთიერთობებში ინგლისში, ბრედფორდის უნივერსიტეტში მიიღო. ამბობს, რომ, ჩვეულებრივ, მშვიდი ადამიანია, თუმცა მას შემდეგ, რაც მიხვდა, რომ დასაქმების ერთადერთი გზა მოკლევადიან კონტრაქტებზე მუშაობა ან აფრიკაში წასვლა იყო, სიბრაზემ სძლია და პროტესტის გრძნობა გაუჩნდა. ასე გაჩნდა დიდი საპროტესტო აქციებისკენ მოწოდების იდეა.

პორტუგალია სიღარიბის მიხედვით ევროზონის რიგით მეოთხე ქვეყანაა. საბერძნეთშიც კი, რომელიც დეფოლტის ზღვარზე იყოფება, გაცილებით მაღალი მშპ აქვთ. უკანასკნელ ექვს წელიწადში პორტუგალიაში უმუშევრობის დონე გაორმაგდა და 12,6 პროცენტს მიაღწია. 25 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის შემთხვევაში უმუშევრობის დონე 27 პროცენტს აღწე-

ვს. ევროპული მედიის თანახმად, დასაქმებულების თითქმის ნახევარი დროებით კონტრაქტებზეა, ბევრი კი ფსევდო თვითდასაქმებულების რიგში ეწერება, რომელთა შემოსავლის 50 პროცენტი გადასახადებში მიდის.

ალექსანდერ დე სოუსა კარვალიო და მისი ამხანაგები ვერასოდეს იფიქრებდნენ, რომ მათ მოწოდებას ამდენი ადამიანი გამოეხმაურებოდა. ვერც იმას წარმოიდგენდნენ, რომ აქციების ტალღა სხვა ქვეყნებს გადაედებოდა. კარვალიომ მედიასთან საუბარში გაიხსენა, როგორ უკავშირდებოდნენ მას ესპანეთიდან და საფრანგეთიდან. მათ აინტერესებდათ, როგორ შეეკრიბათ ერთ მოედანზე ანარქისტები, მემარჯვენე აქტივისტები, ტროცკისტები და კათოლიკეები ისე, რომ ფანჯრის ერთი მინაც არ დაზიანებულიყო.

15 მაისის შემდეგ მადრიდის მთავარი მოედანი პუერტო დელ სოლი კარვე-



მოსახლეობა აპროტესტებს ეკონომიკურ კრიზისს, ბარსელონა, 9 ივნისი 2011

ფოტო: სუზანა ბილა / REUTERS

ბის ქალაქად იქცა, სადაც „აღშფოთებულიები“ (ინდიგნადოს) ოთხი კვირაა, მთავრობის მიერ ეკონომიკური კრიზისისთვის თავის ვერგართმევას და კორუფციას აპროტესტებენ. კარვების გაშლა ადგილობრივი და რეგიონალური არჩევნების წინა პერიოდს დაამთხვავს. პირველ ღამეს მოედანზე მხოლოდ 100-მდე ადამიანი გამოვიდა. შემდეგ საარჩევნო კომისიამ საპროტესტო აქცია არალეგალურად გამოაცხადა, რამაც კიდევ უფრო გაზარდა გამომსვლელების რიცხვი. უკვე არჩევნების დღეს ეკონომიკური კრიზისს, არაკომპეტენტურ პოლიტიკოსებს და კორუფციას 30 ათასამდე ადამიანი აპროტესტებდა.

ქვეყანა, სადაც ახალგაზრდების უმუშევრობა 45 პროცენტს აღწევს, პირველად გახდა ამ თაობის პოლიტიკურ არენაზე გამოსვლის მოწმე. სხვადასხვა გამოკითხვების თანახმად, მოსახლეობის 70

პროცენტი გამოსვლების მიმართ სიმპათიას გამოხატავს.

აპოლიტიკური ესპანური ახალგაზრდობა, რომელიც მთელი ამ წლების განმავლობაში გამოსავლად კონფორმიზმს მიიჩნევდა, ერთ ღამეში პოლიტიზირებულად იქცა. იგივე ითქმის საფრანგეთზე და პორტუგალიაზეც, სადაც უმუშევრობის გაპროტესტების გარდა, აქციების მონაწილეები მოქალაქეთა პირდაპირ ჩართულობას მოითხოვენ და ასევე გამოდიან ახალი გადასახადის დაწესების მოთხოვნით, რომელმაც ახალგაზრდა ადამიანების მდგომარეობა უნდა შეამსუბუქოს. ამისთვის უკვე დაიწეს ხელმონერების შეგროვება.

დღეს ესპანელი, ბერძენი და იტალიელი ახალგაზრდების უმეტესობა მშობლებთან ცხოვრობს. ემანსიპაციის საშუალო ასაკი 31 წელია. ბევრ შემოსავლის მქონე ახალგაზრდასაც ხშირად მშობლების სახლში ცხოვრება და ფულის შეგროვება ურჩევნია. მით უმეტეს დღეს, როცა ესპანელი მშობლები შვილებს თავისუფლებაში არ ზღუდავენ. მთავარი მოთხოვნა ნარკოტიკებისგან თავის შორს დაჭერაა, სხვა მხრივ მშობლები ესპანელ ახალგაზრდებს საკუთარი ჭერის ქვეშაც კი სრულ თავისუფლებას აძლევენ.

„როდესაც ქვეყნის ახალგაზრდობის ნახევარი უმუშევარია და როდესაც ისინი პოლიტიკოსების მიერ მიტოვებულად გრძობენ თავს, სამართლიანი იქნება თუ ვიტყვით, რომ საქმე, უბრალოდ, ეკონომიკური კრიზისთან არ გვაქვს“, – ამბობს მადრიდის IE ბიზნეს სკოლის პროფესორი დევიდ ბახი.

გასულ კვირას ესპანეთში ახალგაზრდული პროტესტების მონაწილეებმა კარვების ქალაქის დაშლის პირობა დადეს, თუმცა მონაწილეების ნაწილი უარს ამბობს დაშლაზე. დაშლამდე ახალგაზრდები გამოსამშვიდობებელი მიტინგის ჩატარებას გეგმავენ, თუმცა შეთახმება იმ საერთო მოთხოვნებზე, რომელთაც პოლიტიკოსებს წარუდგენენ, ჯერ ვერ მოხერხდა.

„ახალგაზრდა ესპანელები მიხვდნენ, რომ მათ რეალური ძალა გააჩნიათ და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე რეაგირებაც შეუძლიათ. ეს დასასრული არ არის. ვფიქრობ, ისინი კიდევ გამოიყენებენ ამ ძალას“, – წერს ესპანელი ბლოგერი იგნასიო ესკოლარი.

„აქამდე ჩვენი პრობლემები ინდივიდუალურ პრობლემებად აღიქმებოდა. ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ თუ სამსახურს ვერ ვშოულობდით, ეს ჩვენი ბრალი იყო. ახლა ჩვენ დიდი ცვლილებების მოწმენი ვხდებით. ჩვენ ვუერთდებით პანევროპულ მოძრაობას ამ სისტემის წინააღმდეგ,“ – აღნიშნა გერმანულ Spiegel-თან საუბარში ფრანგმა 22 წლის ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტმა ჟულიენმა.

პუერტა დელ სოლის მოედანზე ხშირად ისმის ისტორიები, თუ როგორ შთააგონათ მათ არაბი ახალგაზრდების გამოსვლებმა. თუმცა წლის დასაწყისში არაბულ სამყაროში განვითარებულ მოვლენებსა და დღეს ევროპის დედაქალაქებში მიმდინარე აქციებს შორის ფუნდამენტური განსხვავებებია. არაბული ქვეყნები მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ღარიბ სახელმწიფოებს წარმოადგენენ, სადაც 25 წლამდე ასაკის ადამიანები მთლიანი მოსახლეობის ნახევარს შეადგენენ. ევროპა, ამის საპირისპიროდ, მდიდარია, ახალგაზრდები კი დაბერებად საზოგადოებებში უმცირესობას შეადგენენ. იქ ახალგაზრდები დემოკრატიისთვის იბრძვიან, მაშინ, როცა ევროპელი ახალგაზრდები დაღმასვლას აპროტესტებენ.

თუმცა ორივე შემთხვევაში პროტესტის მონაწილეები განათლებული ახალგაზრდები არიან, რომლებიც სამსახურს ვერ შოულობენ. მსგავსია დემონსტრაციების ორგანიზების ბერკეტებიც: ორივე შემთხვევაში მობილიზაცია ცენტრალური საორგანიზაციო კომიტეტის არსებობის გარეშე სოციალური ქსელების გზით ხდება.

განსხვავებები ევროპის მასშტაბითაც თვალმისაცემია. ევროკავშირის სხვა ქვეყნებში მდგომარეობა არც ისეთი უიმედოა, როგორც ესპანეთში, პორტუგალიასა და საბერძნეთში. თუმცა ამის მიუხედავად, კრიზისში მყოფ ახალგაზრდებთან საერთო დანარჩენ ევროპაშიც იპოვეს. ჰამ-ბურგში, ვენასა და რომში საპროტესტო აქციებზე ასობით ადამიანი გამოვიდა.

ივნისის ბოლოს პანევროპული „პროტესტის მთავარი დღე“ იგეგმება, სადაც ევროპელი ახალგაზრდები გადამწყვეტი სიტყვის თქმას აპირებენ. **■**

თვალსაზრისი

შამბა - ხეხეცის ახრეხანი

„აირჩევთ შამბას – მიიღებთ ფულს, არ აირჩევთ – მაშინ არ ვიცით“, – პუტინის მიერ ბალაფშის დაკრძალვაზე გაკეთებული განცხადება 10-მილიარდიან დახმარებაზე, სოხუმში ასე წაიკითხეს.

ოლგა ალიონოვა, სოხუმი



ფოტო: რა. შოტოვა / REUTERS

ვლადიმირ პუტინის და სერგეი შამბას შეხვედრა სოხუმში, 2 ივნისი 2011

აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნებზე მოსკოვს არა მარტო სხვა ტაქტიკის, არამედ პრინციპულად ახალი მიდგომის არჩევა მოუწევს.

კრემლის მცდელობა, ჩაერიოს მეზობლების საშინაო პოლიტიკაში, ბოლო წლებში თითქმის ყოველთვის მარცხით დასრულდა, თუმცა საჭირო დასკვნების გამოტანას მოსკოვში არ ჩქარობენ.

ასე იყო 2004 წელს აფხაზეთში.

მაშინდელ საპრეზიდენტო არჩევნებზე კრემლი რაულ ხაჯიმბას უჭერდა მხარს. კრემლის ეს პოზიცია აფხაზეთს ლამის სამოქალაქო ომად, მოსკოვს კი აფხაზები ლოიალურობის დაკარგვად დაუჯდა.

ურჩ აფხაზებს კრემლმა მანდარინების ბლოკადა მოუვლინა.

ეკონომიკური ზენოლა რუსეთის საგარეო პოლიტიკის მთავარი ბერკეტი. როცა იგი მოქმედებაში მოდის,

ყველა ძრწოდეთ და გეშინოდეთ!

აფხაზებს მაშინ ციტრუსების მოსავლის ნაწილი დაუღპა, რომლის რეალიზაციიდან მიღებული თანხით ზამთარი უნდა გადაევიღოთ. ბელარუსებს თავის დროზე მოსკოვის მიერ აკრძალული რძე გაუფუჭდათ, მოლდოველებმა ღვინის, ქართველმა გლეხებმა ღვინისა და სხვა სოფლის მეურნეობის პროდუქციის აკრძალვით იზარალებს. უკრაინას გაზის მაღალი

ფასებით აშანტაჟებდნენ.

ასეთი მეთოდებით, იდეაში, ყველა პრობლემის გადანყვეტა შეიძლება. ოღონდ მოსკოვში ვერ აცნობიერებენ, რომ მეზობლების მუდმივი დაშანტაჟება სახიფათოა, რადგან შედეგად მათ ისეთი შიში უჩნდებათ, რომ გარბიან. როგორც ეს საბჭოთა კავშირის დაშლისას მოხდა, ისინი, ვისაც ყველაზე მეტად ემინოდათ, პირველები ნავიდნენ – ბალტიის ქვეყნები.

ბით ძალიან დიდი გეგმები აქვს. ამიტომ, სავარაუდოდ, დიდ რისკზე წასვლა არ უღირს. შავი ზღვის თითქმის აუთვისებელ სანაპიროებს დიდი ხანია რუსეთის სხვადასხვა უწყებამ დაადავალა. ამბობენ, რომ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო სანატორიუმ „სუხუმთან“ დაკავშირებით სერიოზული გეგმები აქვს. 2014 წლის სოჭის ამბიციური ოლიმპიადის პერიოდში, რომელსაც მოსკოვში მეტად ელიან

ბამდე, საფეხმავლო ხიდზე, რომელიც აფხაზეთს და რუსეთს აკავშირებს, რემონტი დაიწყო. ტურისტებისთვის მხოლოდ საავტომობილო ხიდი დატოვეს, სადაც უკვე კილომეტრიანი საცობებია. რთული წარმოსადგენია, რა იქნება ზაფხულში. შარშან ზაფხულშიც კი, როდესაც საზღვარი ჩვეულ რეჟიმში მუშაობდა, საზღვრის გადაკვეთა მხოლოდ ერთდღიანი ლოდინის შემდეგ იყო შესაძლებელი. სა-

■ რუსეთს სერგეი შამბა მეტად აწყობს. ის გაცილებით მოქნილი და კომპრომისზე წამსვლელი

კანდიდატია. ანქვას კი პირდაპირი და პრინციპული პოლიტიკოსის იმიჯი აქვს. ფოტოგრაფებმა შენიშნეს, თუ როგორი დაძაბული და უსიამოვნო იყო პუტინის და ანქვასის შეხვედრა, მეორე მხრივ კი, როგორ უშუალო და მეგობრულ გარემოში შედგა პრემიერების დიალოგი.

თუ რუსეთი ისევ განაგრძობს დაშინების პოლიტიკას, დაახლოებით იგივე ელის აფხაზეთსაც.

სოხუმში სერგეი ბალაფშის გასვენებაზე ვლადიმირ პუტინი ჩავიდა. სამგლოვიარო ცერემონიაში მონაწილეობის შემდეგ იგი პრეზიდენტობის ორივე პოტენციურ კანდიდატს შეხვდა – ვიცე-პრეზიდენტ ალექსანდრე ანქვასს და პრემიერ-მინისტრ სერგეი შამბას. ფოტოგრაფებმა, რომლებიც ორივე შეხვედრას აშუქებდნენ, შენიშნეს, თუ როგორი დაძაბული და უსიამოვნო იყო პუტინის და ანქვასის შეხვედრა, მეორე მხრივ კი, როგორ უშუალო და მეგობრულ გარემოში შედგა პრემიერების დიალოგი.

რუსეთს, რა თქმა უნდა, სერგეი შამბა მეტად აწყობს. ის გაცილებით მოქნილი და კომპრომისზე წამსვლელი კანდიდატია. ანქვას კი, უკვე კარგა ხანია, პირდაპირი და პრინციპული პოლიტიკოსის იმიჯი აქვს. ბოლო პერიოდში მას მხოლოდ მშენებლობებზე ხედავდნენ, თუმცა როგორც ამბობენ, ეს მშენებლობები, რომელსაც ის ხელმძღვანელობს, ჩვეულზე გაცილებით სწრაფად და ოპტიმალური ბიუჯეტით ვითარდება.

მოსკოვს აფხაზეთთან დაკავშირე-

ვიდრე სოჭში, აფხაზეთმა არა მარტო ბუფერული ზონის ფუნქცია უნდა შეასრულოს, არამედ, შესაძლოა, სტუმრების ნაწილიც მიიღოს. ამისთვის აფხაზეთში სასტუმროების და კურორტების აშენებაა საჭირო. თუმცა სხვის მინაზე მშენებლობა არავის სურს. საკურორტო ინფრასტრუქტურის გასაფართოებლად აფხაზეთს სპეციალური კანონის მიღება მოუწევს, რომელიც უძრავი ქონების და მიწების უცხოელებზე გასხვისებას გახდის შესაძლებელს.

სოხუმში ვიზიტის დროს პრემიერმა პუტინმა 10 მილიარდი რუბლი ახსენა, რომელიც აფხაზეთში ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარებისთვის გამოიყოფა. ეს განცხადება სწორედ იმათ უნდა გაეგოთ, ვისი მისამართიც იყო გაკეთებული.

აფხაზეთისთვის 10 მილიარდი დიდი თანხაა. დამოუკიდებლად ამხელა ფინანსების მობილიზაცია ამ რესპუბლიკისთვის თითქმის შეუძლებელია. რა თქმა უნდა, მას ტურისტების დიდი რაოდენობის მიღების და განვითარების პოტენციალი აქვს. თუმცა, დამოუკიდებლად განვითარების საშუალებას მას ნაკლებად მისცემენ.

წელს, ზაფხულის სეზონის დაწყე-

ეჭვია, რომ ბევრ ტურისტს აქ ჩამოსვლის სურვილი გაუჩნდეს. აფხაზეთში გულწრფელად საუბრობენ, რომ საფეხმავლო ხიდის რეკონსტრუქცია მოსკოვის მორიგი ხრიკია, რომ აფხაზეთი ტურისტებისთვის მოუხერხებელ ადგილად აქციოს.

აფხაზეთში ჩინოვნიკებმა, პუტინის მიანიშნება 10 მილიარდზე ასე გაიგეს: აირჩევთ შამბას, მიიღებთ ფულს, არ აირჩევთ შამბას – მაშინ დაფიქრდებით. შესაძლოა, პუტინი სულაც არ გულისხმობდა ამას, თუმცა მისი რეპუტაციიდან გამომდინარე, პრემიერის მესიჯი აფხაზეთში ასე წაიკითხეს. ამიტომაც, ბევრი აფხაზი ჩინოვნიკი სერგეი შამბას ირგვლივ გაერთიანებას ცდილობს.

თუმცა აფხაზეთში ვერაფერში იქნები ბოლომდე დარწმუნებული. ■



სტატია მომზადებულია ჰაინრიხ ბოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავს ჰაინრიხ ბოლის ფონდის შეხედულებებს.

ხელისუფლება და მედია

თამაში ოჩოაბი სტანდარტით

„მედია პალიტრაში“ საგადასახადო სამსახურის შესვლამ საზოგადოების ნაწილი დაარწმუნა, რომ ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ ვერ გაუძლო ცდუნებას, ჩაახშოს ის მედიასაშუალება, რომელიც მას აკრიტიკებს.

მანანა ვარდიაშვილი

შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტმა 7 ივნისს ჰოლდინგ „მედიაპალიტრის“ ექვს სხვადასხვა სტრუქტურაში შემოწმება ერთდროულად დაიწყო.

შემოსავლების სამსახურში განმარტავდნენ, რომ „მედიაპალიტრის“ ორგანიზაციები, სხვა ათეულობით ორგანიზაციასთან ერთად, კანონის სრული დაცვით მონმდებოდა.

მართლაც, „მედიაპალიტრაში“ გაფრთხილების გარეშე გეგმიური ინვენტარიზაციის დაწყება სამართლებრივად გამართული პროცედურაა: კანონის თანახმად, ორგანიზაციის გეგმიურ კონტროლს წინასწარი გაფრთხილება არ სჭირდება.

შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა 7 ივნისს „მედიაპალიტრის“ 6 ორგანიზაციის შემოწმება დაიწყეს. 4 სანარმო: შპს „ჯეპ“, შპს გამომცემლობა „კოლორი“, შპს „პოლიგრაფიული მასალები“ და შპს გამომცემლობა „პალიტრა L“ ინვენტარიზაციის მიზნით დაილუქა. იმავე დღეს, შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებმა „მედიაპალიტრის“ ექვსივე ორგანიზაციაში საგადასახადო შემოწმების შესახებ შეტყობინება დატოვეს. ამ შეტყობინების თანახმად, ყველა შპს-ში გასვლითი საგადასახადო შემოწმება 10 დღეში დაიწყება.

„მედიაპალიტრაში“ დაილუქა სანყოფი, საიდანაც სტამბა ქალაქით მარადებოდა. შედეგად, პრესის დისტრიბუცია რამდენიმე საათით შეფერხდა.

როგორც კი შემოწმების შესახებ ცნობილი გახდა, ქართული მედიის და საზოგადოების ნაწილი მაშინვე



დაარწმუნებთ ალაპარაკდა, რომ მედიაჰოლდინგი 26 მაისის აქციის დარბევის ობიექტური გაშუქებისთვის ისჯება.

8 ივნისს ჰოლდინგის ოფისთან მედიაორგანიზაციის მხარდაჭერის მიზნით სპეციალური აქციაც გაიმართა.

მას შემდეგ, რაც „მედიაპალიტრის“ საგადასახადო შემოწმების თემაზე ხმაური ატყდა, შემოსავლების სამსახურმა სპეციალური ბრიფინგი გამართა. ბრიფინგზე განმარტეს, რომ „მედიაპალიტრის“ არცერთი სანარმო დაფუძნების დღიდან არ შემოწმებულა, გეგმიური სასაქონლო-მატერიალური ინვენტარიზაციის პროცესი კი მარტივი პროცედურაა და მალე დასრულდება.

შემოსავლების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის წარმომადგენელმა ანა გოგიჩაძემ განაცხადა: „შემოწმება „მედიაპალიტრის“ ორგანიზაციებში მიმდინარეობს კანონის ნორმების სრული

დაცვით. შესაბამისად, არ ფერხდება სამუშაო რეჟიმი. ინვენტარიზაციით ხელი არ ეშლება „მედიაპალიტრის“ მუშაობას და არ ფერხდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, გაზეთ „კვირის პალიტრის“, რადიოს და სხვა მედიასაშუალებების მუშაობა და ინფორმაციის გავრცელება“.

გოგიჩაძემ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს „მედიაპალიტრის“ სანარმოებში მიმდინარე შემოწმების პოლიტიზირებისგან თავის შეკავების თხოვნით მიმართა და განაცხადა, რომ მედიაჰოლდინგი სხვა ორგანიზაციების მსგავსად მონმდება.

თუმცა მოჩვენებითი წესიერების მიუხედავად, შემოსავლების სამსახურის მხრიდან „მედიაპალიტრის“ ორგანიზაციების შემოწმების დრო და ფორმა დაეჭვების საფუძველს ნამდვილად იძლევა.

26 მაისის აქციის დარბევის ყველაზე მწვავე მომენტები სწორედ „პალიტრა-

-TV“ – ის ჟურნალისტებმა გადაიღეს. მათ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ვიდეოკადრები შემდეგ აქტიურად ვრცელდებოდა სოციალურ ქსელებსა და დამოუკიდებელი ტელეარხების ეთერში.

„არ მინდა ვიფიქრო, რომ შემონმება 26 მაისის მოვლენების გაშუქებასთან არის დაკავშირებული. არ მინდა ვიფიქრო, რომ ეს შემონმება განპირობებულია იმით, რომ მედიაპოლიტიკაზე რაიმე სახის ზენოლა განხორციელდეს. საგადასახადო სამსახურს კანონით გააჩნია უფლება შეამონმოს კომპანიები, თუმცა, რა ფორმით ხდება ეს, ცალკე მსჯელობის საგანია. ექვსივე ობიექტის ერთდროულად შემონმებამ შეიძლება, შეაფერხოს კიდევ ჰოლდინგის მუშაობა. საფუძვლიანია, რომ ამან გარკვეული ეჭვები გამოიწვიოს“, – განაცხადა სახალხო დამცველმა გიორგი ტულუშმა.

„მედიაპალიტრაში“ შემოსავლების სამსახურის შესვლის შემდეგ ჰოლდინგში არსებული ვითარებით ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო დაინტერესდა. 10 ივნისს „მედიაპალიტრას“ აშშ-ის საელჩოს პოლიტიკური და ეკონომიკური ოფიცერი ერიკ ჰოლმგრენი ეწვია და ჰოლდინგის ხელმძღვანელებს შეხვდა. ამერიკელმა დიპლომატმა არსებული ვითარების შესახებ ინფორმაცია სწორედ მათგან მიიღო. აშშ-ის საელჩოს პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ოფიცერმა მედიაპალიტრის“ სხვადასხვა რედაქციები დაათვალიერა და მათ მუშაობას გაეცნო. ჰოლმგრენის თქმით, „მედიაპალიტრას“ უახლოეს დღეებში საელჩოს სხვა წარმომადგენლებიც ეწვევიან.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ იურისტი თამარ კორძია ამბობს, რომ „სამართლებრივად ამ სამსახურის მიერ „მედიაპალიტრაში“ ინვენტარიზაციის დაწყებას პოლიტიკასთან კავშირი არ აქვს, თუმცა ლოგიკური თვალსაზრისით ასეთი ჯაჭვის გამონახვა შეიძლება“. კორძია მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ საგადასახადო შემონმების მეთოდით მედიაზე ირიბი ზენოლის გზა აირჩია.

ბანსხალება "მედიაპალიტრაში" შემოსავლების სამსახურის საქმიანობის შესახებ

კოალიცია „მედიის ადვოკატირებისათვის“ ყურადღებით ადევნებს თვალს „მედიაპალიტრაში“ მიმდინარე აუდიტს. რასაკვირველია, შემოსავლების სამსახურს აქვს უფლება შეამონმოს გადასახადის გამამხდელი ნებისმიერი პირი, მაგრამ შემოფოთებას ინვესტის ფაქტი, რომ ჰოლდინგის 4 სანარმოში ერთდროულად მიმდინარეობს ინვენტარიზაცია, ხოლო 6 სანარმოში კი დაგეგმილია ფინანსური შემონმება. საშემოსავლო სამსახურის საქმიანობამ „მედიაპალიტრაში“ უკვე შეაფერხა ჟურნალ-გაზეთების გავრცელება.

გარდა ამისა, მიმდინარე შემონმება შესაძლოა გამოყენებული იქნას მედია ჰოლდინგზე ეკონომიკური ზენოლის ბერკეტად მისი სარედაქციო დამოუკიდებლობის შეზღუდვის მიზნით.

„მედიაპალიტრა“ ერთ-ერთი დამოუკიდებელი და ეკონომიკურად წარმატებული ჰოლდინგია ქართულ მედიაბაზარზე. მასში შედის რამდენიმე გაზეთი და ჟურნალი, პრესის სადისტრიბუციო კომპანია, რადიოარხი, ახალი ამბების სააგენტო და ინტერნეტ-ტელევიზია. „მედიაპალიტრა“ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მინიმალური დახმარებით თითქმის 20 წელია ინარჩუნებს და იბრძვის სარედაქციო დამოუკიდებლობისათვის.

კოალიციის აზრით, შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელებული შემონმება შესაძლოა უკავშირდებოდეს „პალიტრის“ მიერ 26 მაისს, რუსთაველის გამზირზე პოლიციის მიერ საპროტესტო აქციის დარბევის გაშუქებას. „პალიტრის“ რამდენიმე ჟურნალისტს ხელი შეუშალეს 26 მაისის მოვლენების გაშუქებაში. „ინტერპრესნიუსის“ ჟურნალისტი მალხაზ ჭკადუა ერთ-ერთი იმ ჟურნალისტთაგანია, რომელიც 26-ში ღამით დააკავეს. პოლიციამ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ჰოლდინგის ჟურნალისტს – დარეჯან პაატაშვილს, კამერა ჩამოართვეს ოპერატორ ავთანდილ სურმაგას. ამ და სხვა ჟურნალისტების მიმართ განხორციელებული ძალადობის გამოძიებას კოალიცია დაჟინებით მოითხოვს.

იმედი გვაქვს, რომ მედიაპოლიტიკაში მიმდინარე საინსპექციო პროცესი კანონის სრული დაცვით წარიმართება და არ აღმოჩნდება კავშირში „მედიაპალიტრის“ მიერ ამ მოვლენების გაშუქებასთან. კოალიცია რეგულარულ მონიტორინგს გაუწევს რამდენად კანონის დაცვით და გამჭვირვალედ მიმდინარეობს ფინანსური შემონმების პროცესი და შედეგებს საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ჟურნალისტთა უფლებების დაცვით დაინტერესებულ საზოგადოებას გააცნობს.

• კოალიცია „მედიის ადვოკატირებისათვის“

რატომ გაჩნდა ეჭვი, რომ რიგითი ფინანსური შემოწმების მიღმა პოლიტიკური ზენოლის მცდელობაა?

როგორც ჩანს, ხელისუფლებას ჯერ კიდევ უჭირს 2007 წლის ნოემბრის ცნობილი მოვლენების შემდეგ არასამთავრობო თუ საერთაშორისო საზოგადოების ნდობის მოპოვება. ოპოზიციური ტელეკომპანია „იმედის“ სასტიკი დარბევის შემდეგ ხელისუფლებას შელახული იმიჯის გამოსწორებისა და საერთაშორისო იზოლაციის გარღვევისთვის რამდენიმე წელი დასჭირდა, თუმცა ეს ბოლომდე მაინც ვერ მოახერხა. დამოუკიდებელი მედიის წინააღმდეგ გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი – თუნდაც სრულიად ლეგიტიმური – კვლავ აჩენს ეჭვს, რომ ხელისუფლება მის მიმართ კრიტიკული მედიის ჩახშობის ცდუნებას კიდევ ერთხელ ვერ უძლებს.

გასული 6 წლის განმავლობაში საქართველოში დაიხურა ან მფლობელი შეეცვალა მათგან: „რუსთავი 2“, „მზე“, „მე-9 არხი“, „სტერეო“, „202“, „ევრიკა“, „საქართველოს ხმა“, „ობიექტივი“, „იბერია“, „ევროპა“, „იმედი“. მედია ექსპერტების აზრით, ამ ცვლილებებმა განაპირობა ნაციონალური არხების სახელისუფლებო კონტროლი და სახელისუფლებო კონტროლს მიღმა

და კანონიერი მიზნებით საგადასახადო სამსახურის ზრდილობიან თანამშრომლებს გზავნის.

„მედია პალიტრის“ ფინანსური შემოწმება, სავარაუდოდ, მედია-ჰოლდინგის სამაუწყებლო და ბეჭდვით საქმიანობას პირდაპირ არ შეაფერხებს. ჰოლდინგის კუთვნილი გაზეთები, რადიო და ვებგვერდი ჯერჯერობით ჩვეულ რეჟიმში მუშაობს. თუმცა, ჰოლდინგის მენეჯერები ვარაუდობენ, რომ ხელისუფლება მათზე ზენოლას მათი ფინანსური საქმიანობის შეზღუდვით აპირებს.

ამ ეტაპზე „მედია პალიტრის“ რამდენიმე ორგანიზაციაში ინვენტარიზაციის პროცესი სრულდება. ინვენტარიზაციის მიზანი სანარმოში სასაქონლო მარაგების და ნაშთების დადგენაა. შემოსავლების სამსახური მის მიერ ნაწახ სასაქონლო მარაგებს და მენარმის მიერ დოკუმენტალურად აღრიცხულ მარაგს ადარებს. ნაშთის დაფიქსირების შემთხვევაში კი მენარმეს ჯარიმა დაეკისრება.

„თუმცა, მთავარი უბედურება ეს არ არის“, – განმარტავს საგადასახადო კოდექსის ექსპერტი ლევან კალანდაძე, – „მთავარი ის არის, რომ, მოქმედი კანონმდებლობით, თუ დანაკლისი 25 000 ლარს გადააჭარბებს, შესაძლოა, მენარმის სისხლის სამართლებრივი დე-

წმება უცნაურ დროს ტარდება. სულ რამდენიმე თვის წინ ხელისუფლებამ თვისობრივად საპირისპირო გადაწყვეტილება მიიღო: საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლს 21-ე პრიმა ნაწილი დაამატა და ტელევიზიებს ვადაგადაცილებული დავალიანება და მასზე დარიცხული სანქციები ჩამოაწერა.

ტელეამნისტიის შესახებ კანონის მეშვეობით, ტელეკომპანიებს, საერთო ჯამში, 36 მილიონი ლარის დავალიანება მოუხსნეს. ამნისტიით ყველაზე მეტად სახელისუფლებო პოლიტიკური კურსის გამტარებელმა ტელეკომპანიებმა – „რუსთავი 2“-მა, „იმედმა“ და „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ იხიერეს. შეწყალების აქტით მოსარგებლე ტელეარხების სია არ გასაჯაროვდა. ნაციონალურმა არხებმა მათთვის ჩამოწერილი დავალიანების შესახებ ინფორმაცია საგულდაგულოდ დამალეს.

გამოდის, რომ ხელისუფლება ქართულ მედიაბაზარზე ორმაგ სტანდარტს ამკვიდრებს: ერთი ხელით პროსახელისუფლებო ტელეკომპანიებს ფინანსური ამნისტიით სარგებლობის საშუალებას აძლევს, მეორე ხელით კი „არასასურველ“ მედია ორგანიზაციებს საშემოსავლო სამსახურის მეშვეობით ამონმებს.

„მედია პალიტრაში“ საგადასახადო სამსახურის წარმომადგენლების შესვლამ რამდენიმე მედია ექსპერტს 2001 წლის ამბავიც გაახენა. მაშინ შევარდნაძის ხელისუფლებამ მისადმი კრიტიკული ტელევიზიის „რუსთავი 2“-ის „შემოწმება“ გადაწყვიტა. 2001 წლის ოქტომბერში ფინანსური დარღვევების გამოძიების მოტივით ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ში უშიშროების სამინისტროს წარმომადგენლები შევიდნენ. მაშინ „რუსთავი 2“-ის დასაცავად ტელევიზიის შენობის წინ უამრავი მხარდამჭერი შეიკრიბა. მათ შორის, ბევრი იყო ახლანდელი ხელისუფლების წევრიც. უშიშროების თანამშრომლები იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ. ეს მოვლენა კი შევარდნაძის ხელისუფლების დასასრულის დასაწყისი გახდა. □

■ ოპოზიციური ტელეკომპანია „იმედის“ სასტიკი დარბევის შემდეგ ხელისუფლებას შელახული იმიჯის გამოსწორებისა და საერთაშორისო იზოლაციის გარღვევისთვის რამდენიმე წელი დასჭირდა, თუმცა ეს ბოლომდე მაინც ვერ მოახერხა.

არსებული არხების გავლენის შესუსტება საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე.

თუმცა, მთავარი გაკვეთილი ნასწავლია. ხელისუფლების მხრიდან თავისუფალი მედიის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდი უფრო რაფინირებული და დახვეწილი გახდა. სპეცრაზმელების ნაცვლად ის დამოუკიდებელ მედია ორგანიზაციაში ამჯერად მშვიდობიან

ენის საფუძველი დადგეს. „მედიაპალიტრა“ დიდი ჰოლდინგია. გამორიცხული არ არის, რომ სასაქონლო მარაგების და ნაშთების დანაკლისმა 25 000 ლარს გადააჭარბოს. ასეთ შემთხვევაში მედიაჰოლდინგის ხელმძღვანელის დაკავება-არდაკავების საკითხი მთლიანად საგამოძიებო სამსახურის კეთილ ნებაზე იქნება დამოკიდებული“.

„მედია პალიტრის“ ფინანსური შემო-

26 მაისი - ბაზოქიება

26 მაისს აქციის დაშლისას ძალის გადამეტების გამო, ჯერჯერობით, არცერთი სამართალდამცველის წინააღმდეგ საქმე არ აღძრულა.

მაია ნიკლაური



ფოტო: ზურა ოზრისიძე

26 მაისის დარბევა

პარლამენტის წინ, ცარიელ ქუჩაზე შეუიარაღებელი მომიტინგე დგას. მას ორი სპეცრაზმელი უახლოვდება. მომიტინგე ხელებს მაღლა სწევს და შეშინებული უყურებს მოახლოებულ სამართალდამცავებს. ერთ-ერთი ფორმიანი მას ხელკეტს ურტყამს. მომიტინგე ასფალტზე ეცემა და დანდობას ითხოვს. მალე ჯგუფს კიდევ რამდენიმე სპეცრაზმელი უერთდება. ყველა მა-

თგანი წაქცეულ მომიტინგეს ურტყამს. ეს კადრები 26 მაისის ღამეს სამოყვარულო კამერითაა გადაღებული და ის არაერთხელ გადაიკა და მოუკიდებელი ტელეარხების ეთერით.

„იყო მთელ რიგ შემთხვევებში ძალის გადამეტება. ... დაახლოებით 5-7 წუთი... შემდეგ მინისტრის ჩარევა გახდა საჭირო, რათა ეს ემოციური მუხტი გაჩერებულიყო“, – თქვა თბილისის

მერმა 9 ივნისს, „ფეისბუქის“ მომხმარებლებისთვის გამართულ პრესკონფერენციაზე.

თბილისის მერი საჯაროდ აღიარებს, რომ აქციის დაშლის დროს სპეცრაზმელებმა გადამეტებული ძალა იხმარეს. თუმცა, გიგი უგულავა ამ ფაქტს იქვე მორალურ გამართლებასაც უძებნის:

„მოხდა ავადსახსენებელი მომენტი, როცა მანქანების კოლონა შევარდა და

10 პოლიციელი წაიქცა. მაშინვე გავრცელდა ერთმანეთში ინფორმაცია, რომ მასობრივად დაილუპნენ პოლიციელები. მთელ მსოფლიოში ასეა, რომ პოლიცია ყველაზე მძიმედ რეაგირებს პოლიციელის გარდაცვალებაზე. ძალის გადამეტების შემთხვევებიც, დაახლოებით 5-7 წუთი, სწორედ ამით იყო განპირობებული.“

ის, რომ აქციის დაშლისას სამართალდამცავებმა მომიტინგეებზე არაადეკვატური ძალა იხმარეს, 26 მაისსვე აღნიშნეს საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა და უცხო ქვეყნების ელჩებმა საქართველოში. Amnesty International, გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისი, ამერიკის ელჩი საქართველოში ჯონ ბასი, ბრიტანეთის მინისტრი ევროპის საკითხებში დევიდ ლიდინგტონი, ეუთოს წარმომადგენელი მედიის საკითხებში დუნია მიატოვიჩი, სახალხო დამცველი და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებენ, ძალის გადამეტების ფაქტები დეტალურად და სამართლიანად გამოიძიოს.

შინაგან საქმეთა სამინისტროში „ლიბერალს“ განუმარტეს, რომ ჯერჯერობით არცერთი სამართალდამცავის პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა. საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელის, შოთა უტიაშვილის თქმით, 26 მაისის მოვლენების ამსახველ ვიდეომასალებს სამინისტროში ჯერ კიდევ სწავლობენ.

„ვნახულობთ ვიდეომასალას. იმას, რაც მედიაში გავრცელდა და იმასაც, რაც ჩვენ გვაქვს. საკმაოდ ბევრი გარემოთვალყურეობის კამერები იყო და შესამონმშებელია. მანამდე თუ ვინმე შემოიტანს საჩივარს, განვიხილავთ და აღიძრება საქმე“, – ამბობს უტიაშვილი.

რამდენიმე საჩივარი საქართველოს პროკურატურაში უკვე შესულია. ძალის გადამეტების ფაქტზე სარჩელი შეიტანა გაზეთ „კომერსანტის“ ჟურნალისტი დიმიტრი ლებედევმა. „კომერსანტში“ აცხადებენ, რომ მათ ფოტოკორესპონდენტს სპეცრაზმის

ფორმებში ჩაცმულმა ადამიანებმა სცემეს და ფოტოაპარატი წაართვეს. „კომერსანტის“ ინფორმაციით, შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა შოთა უტიაშვილმა მათ განუცხადა, რომ ლებედევის ცემის ფაქტზე აღიძრულია საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.

თუმცა, „ლიბერალთან“ ინტერვიუში უტიაშვილი განმარტავს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო მხოლოდ ფოტოაპარატს ეძებს, კორესპონდენტის ცემის ფაქტზე კი არანაირი ძიება არ მიმდინარეობს.

„მან კამერა დაკარგა და კამერას ვეძებთ, სარჩელი შემოიტანა, რომ კამერა

■ ძალის გადამეტების ფაქტებზე საქმის აღძვრას ისიც ართულებს, რომ აქციის დაზარალებული მონაწილეების უმრავლესობა ჩივილისგან თავს იკავებს. 10 ივნისს პროკურატურაში სულ ორი ინდივიდუალური სარჩელი იყო შესული.

გამოართვეს და აღარ დაუბრუნებიათ“, – ამბობს უტიაშვილი.

სპეცრაზმელების მხრიდან ძალადობაზე წერს „რია ნოვოსტის“ ჟურნალისტი ანდრეი მალიშკინი. მალიშკინი ჰყვება, რომ სამართალდამცავები მას გამეტებით სცემდნენ და თან აგვისტოს ომის დროს რუსეთის აგრესიას ახსენებდნენ. შოთა უტიაშვილი ამბობს, რომ საქართველოს შსს-მ ამ შემთხვევის შესახებ არაფერი იცის.

აქციის დარბევისას რამდენიმე ათეული ჟურნალისტი დაშავდა – რამდენიმე მათგანი სპეცრაზმელებმა სცემეს, ზოგი მოიწამლა, ან რეზინის ტყვია მოხვდა. მათ წაართვეს ვიდეო და ფოტოაპარატები, მესხიერების ბარათე-

ბი, ტელეფონები, რამდენიმე მათგანი დააკავეს. ამ ჟურნალისტების საჩივრები პროკურატურას „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ და სახალხო დამცველმა გადასცეს. „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ პროკურატურას სულ 16 ჟურნალისტის შესახებ მიანოდა ინფორმაცია, სახალხო დამცველმა კი ამავე უწყებას ჟურნალისტების ცემის და დაზარალების 13 ფაქტი გადასცა. ომბუდსმენის სარჩელს თან ერთვის ვიდეომასალაც. პროკურატურაში სარჩელი უკვე შეიტანა „ნეტგაზეთის“ 4-მა ჟურნალისტმაც.

ძალის გადამეტების ფაქტებზე საქმის აღძვრას ისიც ართულებს, რომ აქციის დაზარალებული მონაწილეების უმრავლესობა ჩივილისგან თავს იკავებს. 10 ივნისს პროკურატურაში სულ ორი ინდივიდუალური სარჩელი იყო შესული.

„როგორც დაკავებულები ამბობენ, ზოგიერთს დაზიანებები დაკავებისას მიაყენეს, ზოგიერთი კი დაკავების შემდეგ იზოლატორში მიყვანამდე სცემეს. თუმცა ბევრი მათგანი ამ საკითხზე საუბარს თავს არიდებს“, – ამბობს სახალხო დამცველი გიორგი ტულუში.

კონკრეტული ფაქტების გარეშე კი სარჩელის შეტანა უჭირთ სახალხო დამცველის აპარატსაც და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასაც“. ჯერჯერობით ორივე ეს უწყება პროკურატურისგან ძალის გადამეტების ფაქტებზე ზოგადი გამოძიების დანყებას ითხოვს.

თუმცა, იურისტების განმარტებით, იმის მიუხედავად, დაზარალებული პირადად მიმართავს თუ არა შესაბამის უწყებას, სხვადასხვა ორგანიზაციების საჩივრები და არსებული ვიდეომასალა საკმარისი საფუძველი უნდა გახდეს სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან გამოძიების დასაწყებად.

სახალხო დამცველს იმედი აქვს, რომ საქმე წინ მიიწვინებს: „ცემას არ ამართლებს არაფერი, მით უმეტეს, თუ პირი დაკავებულია. ბევრ შემთხვევაში არსებობს ვიდეომასალა. ასეთ შემთხვევებში დამნაშავე სამართალდამცავების გამოვლენა გაცილებით მარტივია“. □

ოპოზიცია

ახალი შანსი

26 მაისს ოპოზიციამ სრული კრახი განიცადა, მაგრამ, ამავე დროს, არასოდეს ყოფილა ხელისუფლების ალტერნატიული პოლიტიკური ძალის მხარდაჭერის ისეთი მზაობა, როგორც დღეს არის.

სოფო ბუკია

ქართული ტრადიციის თანახმად, რადიკალურ ოპოზიციაზე ამიერიდან ან კარგი უნდა ვთქვათ, ან არაფერი. „ბელა ჩაოს“ ხუთდღიანი ისტორიის მთავარი შედეგი სწორედ ის არის, რომ პოლიტიკური რადიკალიზმი დიდი ხანი აღარ იქნება აქტუალური.

„შეფიცულთა“ „რაგატკები“ არათუ პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომას,

არამედ მისი რეიტინგის ზრდასაც გამოინვევდა, რომ არა ამ ხელისუფლებისთვის ტრადიციად ქცეული არადეკვატურობა და ძალის გადამეტება.

პოლიტიკური ძალისთვის, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლას აპირებს, 26 მაისის შემდეგ ცალსახად ერთი გზა დარჩა – არჩევნებში მონაწილეობის მიღება.

პოლიტიკური რეიტინგის მოსაპოვებლად სულ უფრო ცოტა დრო რჩება. გადამწყვეტი თარიღი 2012 წლის შემოდგომაა – საპარლამენტო არჩევნები, რომელთა შედეგი დიდწილად განსაზღვრავს იმას, თუ ვინ აიღებს ქვეყნის სადავეებს 2013 წელს – საპრეზიდენტო არჩევნებზე.

IRI-ს მიერ ჩატარებული ბოლო სა-





ფოტო: ირაკლი ალასანია

■ ალასანიას წინაშე დღესაც იგივე პრობლემა დგას, რაც მას ოპოზიციური კარიერის დასაწყისში ჰქონდა – უნდა შექმნას ძლიერი პოლიტიკური ორგანიზაცია და გახდეს მისი გამოკვეთილი ლიდერი.

ზოგადოებრივი კვლევის მიხედვით, მმართველი პარტიის – „ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგი ქვეყანაში 33 პროცენტია (ზოგიერთი მედია საშუალების მიხედვით – 42 პროცენტი). ამავე კვლევის მიხედვით, ოპოზიციური პარტიები ჯამში 20 პროცენტსაც ვერ აგროვებენ. ანუ კრიტიკულად მოსახლეობის 60 პროცენტია განწყობილი და მათი დიდი ნაწილი ქვეყანაში ვერ პოულობს ძალას, რომელსაც საკუთარ მოლოდინს დაუკავშირებდა და ამავე დროს, ხელისუფლების ალტერნატივად განიხილავდა.

აქციების ორგანიზატორთა აბსოლუტური კრაზისა და ხელისუფლების მიერ რეიტინგის დარბევის შემდეგ აუთვისებული ელექტორატი კიდევ უფრო მეტია, რადგან ძალიან ბევრი მოქალაქე დარჩა იმედგაცრუებული. რადიკალური ოპოზიციის მხარდამჭერები პოლიტიკური ლიდერების უპასუხისმგებლობაში დარწმუნდნენ, ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილთა ნაწილს კი საბოლოოდ გაუქრა ილუზია, რომ

დღეს ერთადერთი პროგრესული ძალა მმართველი გუნდია.

ამ ფონზე რეიტინგის დაგროვების რეალური შანსი გაუჩნდა იმ ოპოზიციურ ძალას, რომელიც მაისის პროცესების მიღმა აღმოჩნდა.

ე.წ. ოპოზიციური „რვიანი“ – რვა სრულიად განსხვავებული ოპოზიციური ძალისგან შემდგარი გუნდი, რომელსაც ხელისუფლებასთან მოლაპარაკებათა პროცესში ჩართულობის გამო კონსტრუქციული ოპოზიციის რეპუტაცია აქვს, დღეს მომგებიან პოზიციებში მხოლოდ იმის გამო აღმოჩნდა, რომ ნინო ბურჯანაძის „სახალხო კრებაზე“ პროგრესულად გამოიყურება.

„რვიანში“ შემავალი პარტიების სიჭრელე იმაზე მეტყველებს, რომ იგი ქართული პოლიტიკისთვის დამახასიათებელი ტიპური ერთობაა, რომელიც ეფუძნება კონკრეტულ მოკლევადიან მიზანს და არა საერთო ღირებულებებს.

აქ არიან ლიდერები (კობა დავითაშვილი, ზვიად ძიძიგური), რომლებიც

თავიანთი პოლიტიკური წარსულიდან გამომდინარე, მაისის აქციების ტრიბუნაზე უფრო ბუნებრივად ენერებიან, ვიდრე ამ აქციების მონინაალმდეგეებისა და კონსტრუქციული დიალოგის მომხრეების. ხოლო ის ფაქტი, რომ ბოლო დროს ამ ლიდერების ქცევა უცნაურად შეიცვალა, სულ არ მიუთითებს იმაზე, რომ მათ ღირებულებითი ცვლილებებიც განიცადეს.

„რვიანის“ შემადგენლობაში არიან „ქრისტიან-დემოკრატები“, მათ საკვანძო საკითხებში ხელისუფლების პოზიციასთან თანხვედრის გამო სატელიტი ოპოზიციის რეპუტაცია აქვთ.

ასევე „რესპუბლიკელები“, რომლებიც ოთხწლიანი რადიკალიზმის შემდეგ ცდილობენ, ძველ ნიშას დაუბრუნდნენ, კონსტრუქციული ოპოზიციის როლი მოირგონ და ის ამომრჩეველი დაიბრუნონ, რომელიც ამ ხნის განმავლობაში დაკარგეს. „რესპუბლიკურმა პარტიამ“, რომელსაც 2008 წლამდე სააკაშვილის პოლიტიკის მიმართ კრიტიკულად განწყობილი ინტელექტუალების მნიშვნელოვანი ნაწილი უჭერდა მხარს, ეს მხარდაჭერა სააკაშვილის მიმართ აშკარად გამოხატულ პირად სიძულვილში გადაიქცა. სააკაშვილის სიძულვილით „რესპუბლიკელებმა“, რომელთა სამიზნე დასავლური ღირებულებების მქონე ამომრჩეველი იყო, პარტიაში ბათიამვილი მიიღეს, 2008 წელს კი მათი პრეზიდენტობის კანდიდატი ლევან გაჩეჩილაძე გახდა.

დღემდე ერთადერთი პოლიტიკოსი, რომელმაც ქართულ პოლიტიკაში პირადი სიძულვილის გადალახვა მოახერხა და პოლიტიკური თამაშის თანამედროვე ელემენტები შემოიტანა, ოპოზიციური „რვიანის“ კიდევ ერთი წევრი – ირაკლი ალასანიაა.

როდესაც, თბილისის მერის 2010 წლის არჩევნების შემდეგ, ალასანიამ თავის კონკურენტს – გიგი უგულავას გამარჯვება მიულოცა, ბევრი პოლიტიკური კომენტატორი ქართული ოპოზიციის ცხოვრებაში ახალ ერას წინასწარმეტყველებდა.

ისინი ვარაუდობდნენ, რომ ამ არჩევნებში კონსტრუქციულმა ოპოზიციამ

სახელისუფლებო კანდიდატის დამარცხება თუ არა, ოპოზიციურ მოედანზე მთავარ მოთამაშედ გადაქცევა მოახერხა.

ეს პროგნოზი დღეს – 26 მაისის შემდეგ – უფრო აქტუალურია, ვიდრე აქამდე იყო.

26 მაისის შემდეგ მოხდა ისე, რომ ხელისუფლებასთან მებრძოლი ალტერნატიული, კონსტრუქციული და სერიოზული ოპოზიციის ნიშის დაკავების შანსი სხვებზე მეტად ისევ ალასანიას აქვს.

თუმცა ამ პოლიტიკოსის წინაშე დღესაც იგივე პრობლემა დგას, რაც მას ოპოზიციური კარიერის დასაწყისში ჰქონდა – უნდა შექმნას ძლიერი პოლიტიკური ორგანიზაცია და გახდეს მისი გამოკვეთილი ლიდერი.

ამომრჩეველთა ხმების რეზერვი საკმარისად დიდაა და ამ ხმების მობილიზება დღეს მისი მთავარი ამოცანაა.

„ლიბერალმა“ ქუჩაში გამვლელ 15 ადამიანს დაუსვა კითხვა – რა ჰქვია ირაკლი ალასანიას პარტიას? მხოლოდ

ორმა იცოდა სწორი პასუხი.

პირველ ეტაპზე „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერის პროგრამა მინიმუმი ის არის, რომ მისი პარტიის სახელი 15 გამოკითხულიდან 15-ვემ იცოდეს.

მხოლოდ „რვიანის“ წევრობა ალასანიასთვის, როგორც პოლიტიკური ლიდერისთვის, საკმარისი არ იქნება. საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება დღეს ერთ-ერთი ყველაზე მთავარი პრობლემაა, რომელიც ოპოზიციის წინაშე დგას, თუმცა მისი მნიშვნელობის ამ დოზით გაზიარებას მოსახლეობა ვერ შეძლებს. რიგით მოქალაქეებთან სასაუბროდ პოლიტიკურ ლიდერს უფრო მკაფიო და პოპულარული მესიჯები სჭირდება.

ამდენად, მხოლოდ საარჩევნო გარემოზე ორიენტირება ოპოზიციური ძალისთვის მარგინალიზაციის საფრთხეს შეიცავს და მათი რიტორიკის მხოლოდ ამ თემაზე შეჩერება ყველაზე მეტად ისევ ხელისუფლებას აწყობს.

არავის უთქვამს რომ სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა იოლია. დღეს ოპოზიციის წინაშე ბევრად უფრო რთული ამოცანა დგას, ვიდრე შევარდნაძის მორყეული მმართველობის დროს სააკაშვილსა და მის თანამებრძოლებს ჰქონდათ. დღეს ოპოზიციას გაცილებით უფრო ძლიერ, გამოცდილ, მდიდარ და ორგანიზებულ პოლიტიკურ ძალასთან უნევს ოპონირება.

ხელისუფლებისთვის ხელსაყრელია, რომ 26 მაისით პოლიტიკური სეზონი დასრულდეს და ოპოზიციური აქტიურობა სექტემბრამდე არ განახლდეს. კონსტრუქციული ოპოზიციისთვის ყველაზე დიდი ცდუნება ახლა ამ გრაფიკზე უარის თქმაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის საკუთარ შეცდომას გაიმეორებს, როცა 2010 წლის სექტემბერში კურორტებიდან დაბრუნებულ ოპოზიციას ხელისუფლებამ ახალი კონსტიტუციის საბოლოო პროექტი უკვე პარლამენტში დაახვედრა. 

Radio *Commersant*

marketing@commersant.ge

+995 32 505 955



ბიზნესის პერსონალური რადიო

Commersant.ge

ტარორიზმი

მეთოხმება ტეხაუხი

ქართული მხარის მტკიცებით, შსს-ს მიერ გახსნილი აფეთქებების სერია ცალკეული რუსი სამხედროების ინიციატივა სულაც არ ყოფილა. ეს რუსული სპეცსამსახურების მიერ ჩამოყალიბებული ერთიანი გეგმის ნაწილია.



ევგენი ბორსოვი

ოლესია ვართანიანი, რადიო „თავისუფლება, სპეციალურად „ლიბერალისთვის“

მთელი გასული კვირის მანძილზე დალი გოგიაშვილი სახლიდან არ გასულა. სამუშაოს საღამოს ახალი ამბების გადაცემიდან შეიტყო, რომ მისი ძმა, ბადრი დააპატიმრეს და თბილისში, ნატოს წარმომადგენლობასთან ბომბის აფეთქებაში სდებენ ბრალს. ძმის აღიარებითი ჩვენების მოსმენის შემდეგ დალი ისტერიკაში ჩავარდა. ცდილობდა, ნათესავებისგან გაეგო, რა მოხდა, მაგრამ მის ზარებს არავინ პასუხობდა.

„ეს ყველაფერი სიცრუეა – ბადრი ასეთი არ არის“, – ყვიროდა იგი ტელეფონში. ჩვენ დალი გოგიაშვილს ტელეკომპანიების მიერ შსს-ს მიერ მონოდეტული ოპერატიული მასალების კადრების ტრანსლირებიდან ნახევარ საათში დაუკავშირდით.

ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ბადრი გოგიაშვილი ახალგორის გზაზე დააკავეს. იგი თბილისში მიემგზავრებოდა, რომ ახალგორის სასაზღვრო ძალებში მომსახურე ფსბ-ს რუსი ოფიცრის აღექსი სოკოლოვის დავალება შეესრულებინა.

ბადრის და ჰყვება, რომ მისი ძმა მათ მშობლიურ სოფელ ახმაჯში რეგულარულად დადიოდა. ეს ახალგორისკენ მიმავალ მთავარ გზაზე ბოლო დასახლებული პუნქტია. მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად მან სახლ-კარი აგვისტოს ომის დროს დატოვა. დალი ამბობს, რომ ოჯახმა კომპენსაცია ვერ მიიღო და მიუხედავად იმისა, რომ მათ არც დევნილთა კოტეჯი ერგოთ, ბადრიმ წეროვანში სახლის დაქირავება გადამწყვიტა. ახალგორის რაიონიდან დევნილი მოსახლეობის დიდი ნაწილი სწორედ წეროვანში ცხოვრობს.

„სოფელში დედა დარჩა – იგი 82 წლისაა. მოხუცებს არაფრის დიდებით არ უნდოდათ წამოსვლა,“ – ამბობს დალი. იგი ჰყვება,

რომ ომამდე მისი ძმა თბილისში სამარშრუტო ტაქსის მძღოლად მუშაობდა, მაგრამ ბოლო სამი წელი სოფლის მეურნეობაში იყო დასაქმებული. ახმაჯში მას საქონელი და ფრინველი ჰყავდა და ხორცსა და კვერცხს ჰყიდდა.

დალის თქმით, ბადრი ხანდახან მძღოლადც მუშაობდა. მას „ვილისის“ მარკის ავტომობილი ჰყავდა და ახალგორის მაღაზიებს თბილისიდან საქონლით ამარაგებდა. შსს-ს ინფორმაციით, რუსი სამხედროს დავალების შესრულებისათვის ბადრის ორი ათასი დოლარი უნდა აეღო.

„მას ფულის პრობლემა არ ჰქონდა. არ მესმის, რისთვის დასჭირდა ეს ფული“, – ამტკიცებს დალი.

რამ აიძულა ბადრი გოგიაშვილი დანაშაულის ჩადენას დასთანხმებოდა? შსს-ში აცხადებენ, რომ ყველა დეტალი გამოძიების შედეგად გაირკვევა.

ბოლო სამი წლის განმავლობაში ბადრის შემთხვევა რიგით მეთორმეტა, სადაც საქართველოს შსს-მ რუსი სპეცსამსახურების კვალი აღმოაჩინა. ტერაქტების მოწყობის მცდელობისა და შემდგარი აფეთქებების შესახებ ინფორმაცია საქართველოს ხელისუფლებამ მეგობარი ქვეყნების საგამოძიებო ორგანოებს უკვე გადასცა. 5 მაისს ამასთან დაკავშირებით ნატოს შტაბში საგანგებო საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. საქართველოს ხელისუფლება ცდილობს, დასავლეთს აუხსნას, რომ ყველა ეს აფეთქება ცალკეული რუსი სამხედროების ქმედებად ველარ განიხილება. ტერაქტები რეგულარულად და მოსკოვის პოლიტიკური მხარდაჭერით ხორციელდება.

უცხოელი ჟურნალისტებისთვის განკუთვნილ ინფორმაციაში ყველა შემთხვევა

მოკლედ არის აღწერილი. ამ მონაცემებით, თორმეტივე შემთხვევა ერთი და იმავე სცენარით ხორციელდებოდა: რუსი სამხედროები, რომლებიც კონფლიქტურ რეგიონებში მსახურობენ, ერთ ან რამდენიმე ადგილობრივ მოსახლეს იბირებდნენ, დავალებას აძლევდნენ და ასაფეთქებელს გადასცემდნენ.

თორმეტივე შემთხვევაში საქმე თვითნაკეთ ასაფეთქებელ მოწყობილობასთან გვაქვს. 2009 წლის ივნისში მომხდარ პირველი ორი შემთხვევის დროს ასაფეთქებელ ნივთიერებად ტროტილი იყო გამოყენებული. დანარჩენ შემთხვევებში – ჰექსოგენი. ბომბები ტაიმერით იყო აღჭურვილი და ისინი ამოქმედებიდან ერთ-ორ საათში უნდა ამოქმედებულიყო.

12-დან 7 შემთხვევაში აფეთქება განხორციელდა. დანარჩენი კი ტერაქტის მცდელობად დარჩა – შსს-მ დამნაშავეთა დაკავება დანაშაულის ჩადენამდე მოახერხა.

2009 წლის ივნისის აფეთქებები სამეგრელოში, დაუსახლებელ ადგილებში განხორციელდა: სარკინიგზო ხიდზე და ელექტროგადაცემების ანძაზე.

2010 წლის შემოდგომაზე აფეთქებების სამიზნეებმა თბილისში გადაინაცვლა: აშშ-ს საელჩო, რკინიგზის სადგური, საცხოვრებელი სახლი მუხიანში, „ლიბორისტული პარტიის“ ოფისი. მაშინ შუშის ნატეხით მიყენებული ჭრილობის გამო ერთი ქალი გარდაიცვალა.

მაღევე საქართველოს ხელისუფლებამ რამდენიმე ადამიანის დაკავების შესახებ განაცხადა. ვერსია აფეთქებებთან აფხაზეთში მომსახურე რუსი სამხედროების კავშირის შესახებ პირველად სწორედ მაშინ გაუფიქრდა.


თავდაპირველად ქართველი სამართალდამცავები ეჭვობდნენ, რომ აფეთქებების



ალექსეი ნალოვკინი



ევგენი მარენკო



ალექსეი უშაკოვი



იგორ ვლასოვი

■ რუსი სამხედროები, რომლებიც კონფლიქტურ რეგიონებში მსახურობენ, ერთ ან რამდენიმე ადგილობრივ მოსახლეს იბირებდნენ, დავალებას აძლევდნენ და ასაფეთქებელს გადასცემდნენ.

ორგანიზებისას რუსი სამხედროები ვინმეს ბრძანებს კი არ ასრულებდნენ, არამედ საკუთარი ინტერესებით ხელმძღვანელობდნენ. დამკვეთი გრუ-ს ოფიცერი ევგენი ბორისოვი იყო. ქართველი სამართალდამცავები მას 12-დან 8 ტერაქტის ორგანიზებაში სდებენ ბრალს. უმრავლესობის თავიდან აცილება ვერ მოხერხდა – ტერაქტები აფეთქებებით დასრულდა.

ბორისოვი აფხაზეთში რამდენიმე წლის განმავლობაში მსახურობდა, მათ შორის, მშვიდობისმყოფელთა რიგებში. მხოლოდ მისი მისამართით ბრალდებების წამოყენებით, გასული წლის დეკემბერში საქართველოს ხელისუფლებამ მოსკოვს გამოძიების ჩატარებაში დახმარება ოფიციალურად სთხოვა. გამოძიების მასალები, მათ შორის ბორისოვისა და სხვა რუსი სამხედროების სატელეფონო საუბრების ჩანაწერები აფეთქებების განმარტებულ ტექსტებთან, საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთის წარმომადგენლებს დეკემბერში ჟენევაში გადასცა.

მარტის დასაწყისში ჟენევის მოლაპარაკებების მორიგი რაუნდის დასრულებისას საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა გიგა ბოკერიამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ რუსულმა მხარემ გამოძიებაში მონაწილეობაზე „დასტური განაცხადა“. მომდევნო კვირების განმავლობაში თბილისი მოსკოვიდან სიგნალს ელოდებოდა.

მაშინ ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა მიიტხრა, რომ თბილისი მოსკოვის წინააღმდეგ კამპანიის დაწყების აზრს ვერ ხედავს. მან ასევე განაცხადა, რომ დასავლეთში ცოტას

თუ სურდა ამ ამბავში ჩარევა და რუსეთზე ზეწოლა. „ვფიქრობ, რომ ამ აფეთქებებით ეს ისტორია დასრულდა,“ – ითქვა მარტის შუა რიცხვებში. დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ გაჩნდა ინფორმაცია ახალი ტერაქტების მცდელობის შესახებ. შედეგად, საქართველოს მთავრობის დამოკიდებულება ამ ყველაფრისადმი შეიცვალა.

უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში შსს-მ აფეთქებების ოთხი მცდელობის შესახებ გაავრცელა ინფორმაცია. აფეთქებების სამიზნე ხალხმრავალი ადგილები იყო – საჯარო სამსახურის შენობა ქუთაისში, ზუგდიდის ცენტრალური ბუღვარი, ბაზარი სენაკში. ბოლო აფეთქება თბილისის ცენტრში ბადრი გოგიაშვილს უნდა განეხორციელებინა.

იგი პირველი ადამიანია, ვინც რუსმა სპეცსამსახურებმა თბილისში სამხრეთ ოსეთიდან გამოაგზავნეს. ყველა სხვა შემსრულებელი აფხაზეთიდან იყო. შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი შოთა უტიაშვილი ამბობს, რომ გეოგრაფიის ასეთი ცვლილება ქართული სპეცსამსახურების წარმატებული მუშაობით აიხსნება. „რუსები აფხაზეთიდან ველარაის შემოგზავნას ველარ ახერხებენ. ჩვენ ყველა გზაზე დავაპატიმრეთ“, – ხსნის უტიაშვილი.

ნატოს წარმომადგენლობასთან აფეთქება გოგიაშვილს იმ დროს უნდა განეხორციელებინა, როცა ჟენევაში საქართველო-რუსეთის მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. ქართული დელეგაციის წარმომადგენლები უკვე ჟენევაში იმყოფებოდნენ, როცა მათ თბილისი-

დან არშემდგარი ტერაქტის შესახებ ინფორმაცია მიიღეს. ხუთი დღის განმავლობაში ეს უკვე მეორე ასეთი ინფორმაცია იყო. დელეგაციის წევრებიდან საკუთარ აღშფოთებას ვერაფერი მალავდა.

მეორე დღეს მოლაპარაკებების მაგიდასთან საქართველოს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ტერაქტების მცდელობა – ეს ერთადერთი საკითხია, რომლის განხილვაზეც ისინი თანახმა იყვნენ. როცა ერთი მხარე მეორე მხარის ტერიტორიაზე ტერაქტებს აწყობს, სხვა თემებზე საუბარს აზრი ეკარგება. საპასუხოდ რუსული მხარე გამოძიების მასალების მოსკოვის შესაბამისი ორგანიზებისათვის გადაცემის და იქიდან პასუხის დალოდების წინადადებით შემოიფარგლა. ამან ქართული დელეგაციის წევრები იმდენად გააღიზიანა, რომ მათ ულტიმატუმი წამოაყენეს: „ტერაქტის თუნდაც კიდევ ერთი მცდელობის შემთხვევაში ჩვენ ჟენევაში აღარ ჩამოვალთ.“

შეხვედრის შემდეგ გიგა ბოკერიამ განაცხადა, რომ გასული კვირის მოვლენებმა აჩვენა, რომ ყველა, თორმეტივე აფეთქება ცალკეული რუსი სამხედროების ინიციატივა სულაც არ ყოფილა. ეს რუსული სპეცსამსახურების მიერ ჩამოყალიბებული გეგმის ნაწილია. ხოლო მოსკოვის მხრიდან ამ ფაქტებისადმი გულგრილობა ადასტურებს, რომ ორგანიზატორები პოლიტიკური ხელმძღვანელების ხელდასხმით მოქმედებენ. ბოკერია შესაბამის რეაგირებას და რუსეთზე ზეწოლას ევროპისა და აშშ-ის მხრიდან ელოდება. ■



ფოტო: თინო ბარბაქაძე

საზინაო ფონდი

ბავყიღოთ, ვიყიღოთ თუ ღავრისაღოთ?

უღრავი ქონების ბავარი კრიზისამღელ ღონეს ვერ ღაუბრუნღა. მყიდველიც, გამყიდველიც
ღა მაკლერიც, ჯერჯერობით, ისევ უკმაყოფილოა.

მანანა ვარღიაშვილი, ნინო ჩიმაკაძე



ეკა სილაგაძე ახალ სახლში 1 თვის წინ გადავიდა. მისი სამოთხიანი ბინა საბურთალოზე, ახლად აშენებული სახლის მე-10 სართულზეა. ბინა ეკას უმთავრეს მოთხოვნებს აკმაყოფილებს: გარემონტებულია და აქვს ცენტრალური გათბობა.

90 კვ. მ. ფართის ბინა ეკამ 85 000 აშშ დოლარად იყიდა. მანამდე კი 132 კვ. მ. ფართის ბინა გაყიდა, ისიც ახლად გარემონტებული, საბურთალოზე, ახალაშენებულ საცხოვრებელ სახლში. ყიდვა-გაყიდვის პროცესს 2 წელზე მეტი დასჭირდა.

„ფული მჭირდებოდა და ბინა ამიტომ გაყვიდე, მაგრამ თუ მასში 2008 წლის აგვისტომდე 170 000 დოლარს მთავაზობდნენ, 2 წლის შემდეგ 125 000 დოლარი ძლივს ავიღე“, – ამბობს ეკა სილაგაძე.

უძრავი ქონების ბაზრის სტაგნაცია 2008 წლის სექტემბრიდან დაიწყო. დეველოპერთა ცუდი მენეჯმენტით გამოწვეული პრობლემები რუსეთის სამხედრო აგრესიამ და გლობალურმა საფინანსო კრიზისმა კიდევ უფრო გააღრმავა. ბინებზე მოთხოვნა დაეცა, ფულადი გზავნილები შემცირდა, კრედიტების გაცემა შეიზღუდა – ამ ყველაფრის გამო სამშენებლო კომპანიები ფინანსების გარეშე დარჩნენ და იძულებულნი გახდნენ, უკვე დაწყებული პროექტების უდიდესი ნაწილი შეეჩერებინათ. თბილისი დაუმთავრებელი მშენებლობების ქალაქად გადაიქცა. ომიდან ერთი წლის თავზე, უძრავი ქონების ბაზარზე ფასები დაახლოებით 30 პროცენტით იყო შემცირებული, გაყიდვები კი – 80 პროცენტით.

ახლა უკეთესი მდგომარეობაა, თუმცა, სტატისტიკა მაინც უღიმღამოდ გამოიყურება: 2009 წელთან შედარებით, 2010-ში ფასებმა ოდნავ მოიმატა, მაგრამ თუ 2011 წლის პირველი კვარტლის ფასებს შევადარებთ წინა წლის იმავე პერიოდს, ვნახავთ, რომ ბინების მეორად ბაზარზე ფასი ისევ 3 პროცენტით ნაკლებია.

გარდა ამისა, თუ აგვისტოს ომამდე უძრავი ქონების ბაზარზე 250 სამშენებლო კომპანია საქმიანობდა, თბილისში ახლა სულ 34 სამშენებლო კომპანია

ახორციელებს 70 დეველოპერულ პროექტს. კვარტალში დაახლოებით 4 ახალი მშენებლობა სრულდება, რაც კრიზისადმდე დონეს მაინც ბევრად ჩამორჩება.

„უძრავი ქონების ბაზარზე ფასს მოთხოვნა-მიწოდება არეგულირებს. იმის გამო, რომ მოთხოვნა შემცირდა, შემცირდა ფასიც. მოთხოვნის შემცირება კი, თავის მხრივ, ბანკების მიერ იპოთეკური დაკრედიტების შეჩერებამ გამოიწვია. 2008 წლის აგვისტოს ომისა და ფინანსური კრიზისის გამო საბანკო სექტორი იპოთეკურ სესხებს თითქმის აღარ გასცემდა. უძრავი ქონების გაყიდვა კი დიდადა დამოკიდებული ბანკების მიერ გაცემულ სესხებზე“, – ამბობს უძრავი ქონებისა და ინვესტიციების მართვის კომპანია „გრემიკის“ ექსპერტი ნიკოლოზ ქვეციშვილი და დასძენს, რომ კრიზისგამოვლილი უძრავი ქონების ბაზარზე ბინების ფასის 20-პროცენტით ვარდნა ისევ შენარჩუნებულია.

ამჟამად ყველაზე დიდი მოთხოვნა უკვე დასრულებულ მშენებლობებში ახალ ბინებზეა. მოსახლეობის დიდი ნაწილი დეველოპერულ კომპანიებს აღარ ენდობა და „ჰაერში“ ფულს აღარ დებს.

ბაზრის გამოცოცხლებას ხელი საბანკო სექტორმა შეუწყო. გაჩნდა საბანკო გარანტიები, მაგრამ ბანკები სესხების გაცემას მაინც მეტი სიფრთხილით ეკიდებიან და კლიენტის გადახდისუნარიანობას სკრუპულოზურად ამოწმებენ. ამიტომ ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მაინც ძველი პრაქტიკა მეორდება – ხშირ შემთხვევაში, საბანკო კრედიტი იმ ბინითაა უზრუნველყოფილი, რომელსაც კლიენტი ყიდულობს.

ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ეკა სილაგაძეს ბინის გაყიდვა ორი წლის განმავლობაში გაუჭირდა, სწორედ ეს პირობა იყო: „ბინა ბევრს მოსწონდა, მაგრამ უმრავლესობას საჭირო თანხა სრულად არ ჰქონდა და ბანკიდან სესხის გამოტანას, სესხის უზრუნველყოფის მიზნით კი გირაოში ჩემი ბინის ჩადებას მთავაზობდა. ასეთ ხალხს ვერ ვენდე“.

მარინა კერესელიძე პატარა სააგენტოში მაკლერად მუშაობს. მარინა ამბობს, რომ კრიზისის შემდეგ მუშაობა



თუ აგვისტოს ომამდე უძრავი ქონების ბაზარზე 250 სამშენებლო კომპანია საქმიანობდა, ახლა 34 კომპანია ახორციელებს 70 დეველოპერულ პროექტს. კვარტალში დაახლოებით 4 ახალი მშენებლობა სრულდება, რაც კრიზისადმდე დონეს მაინც ბევრად ჩამორჩება.



ქიხვი ქონება - ჩისხევი

2010 წელს საქართველოში 317 საცხოვრებელი ობიექტის მშენებლობა დასრულდა. აქედან 126 დამთავრებული სახლი თბილისზე მოდის.

2010 წელს უძრავი ქონების ბაზარი წინა წელთან შედარებით 14,1 პროცენტით გაიზარდა.

2010 წელს საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე 1800 სამშენებლო ნებართვა გაიცა.

პროექტ „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლის“ პირველი ორი ეტაპის ფარგლებში დეველოპერებმა მერიის გარანტიით ბანკებისგან 88 მილიონი ლარი მიიღეს. ამ ფულით მათ თბილისში 25 საცხოვრებელი სახლის მშენებლობა უნდა დაასრულონ.

მაისში უძრავი ქონების ბაზარზე სარეგისტრაციო ტრანზაქციათა რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 13,5%-ით გაიზარდა და ქვეყნის მასშტაბით 44 365 ერთეული შეადგინა.

აგვისტოს ომამდე უძრავი ქონების ბაზარზე 250 სამშენებლო კომპანია საქმიანობდა, 2007 წელს ამ სექტორში 52 572 ადამიანი იყო დასაქმებული. მათი ჯამური ხელფასი 495,1 მილიონი ლარი იყო.

სააგენტოებსაც გაუჭირდათ, რადგან გამყიდველიც ცოტაა და მყიდველიც, თან კრიზისის შემდეგ ბევრი ადამიანი ცდილობს ბინის საქმე მაკლერის გვერდის ავლით მოაგვაროს. „იცით, ეს როგორ ხდება? წაიყვან ადამიანს ბინის სანახავად და გეუბნება, რომ არ მოსწონს. მერე იგებ, რომ ძალიანაც მოსწონებია, მაგრამ თვითონ სააგენტოში აღარ ჩნდება და ჩვენ მიერ შეთავაზებულ ბინას მისი ოჯახის სხვა წევრი ყიდულობს. ასეთ მომხმარებელთან მაკლერი უძლურია, რადგან კანონი არ გვიცავს“, – ამბობს მარინა და დასძენს, რომ შარშან მისმა სააგენტომ ოფიციალურად სულ

12 ბინა გაყიდა, თუმცა, არავინ იცის, მათგან დაფარულად კლიენტებს შორის რეალურად რამდენი გარიგება შედგა.

უნდობლობა სამაკლერო სააგენტოების მიმართ სწორედ ორწლიანი კრიზისის პერიოდში გამძაფრდა. ეკა სილაგაძე ამბობს, რომ ბინის ყიდვაზე არანაკლებ ახლა ის უხარია, რომ მაკლერებთან ურთიერთობა დაასრულა. „ჭკუიდან გადამიყვანეს. როცა ბინას ვყიდდი, მეუბნებოდნენ, რომ ბინებზე ფასი ძალიან იყო დავარდნილი და შესაბამისად, მეც იაფად უნდა გამეყიდა. როცა მე ვყიდულობდი, პირიქით, დღედაღამ იმას ჩამჩიჩინებდნენ, რომ ბინები ყოველდღიუ-

რად კატასტროფულად ძვირდებოდა. სტრესიდან ძლივს გამოვედი“, – ამბობს ეკა.

მარინა კერესელიძეს ახლა საბურთალოზე, ერთოთახიანი ე. წ. ქალაქური ტიპის ბინის სანახავად მორიგი კლიენტი მიჰყავს. ბინა სარემონტოა და 25 000 დოლარი ღირს. მარინამ მყიდველ-გამყიდველი ვერც ამჯერად მოარიგა. „ბინა დაბალჭირიანია და არც რემონტი აქვს, მაგრამ სუფთაა და ცხოვრება შეიძლება. თანხაც მაქვს, ბინას ადგილის გამო ნამდვილად ვიყიდდი, მეპატრონეს თავისი მოთხოვნა რომ არ წამოეყენებინა – ამბობს, სანამ მე



ფოტო თემი პარკნაპოლი

თვითონ არ ვიყიდი ბინას, ამას ვერ დავცლიო. ეს პროცესი შეიძლება თვეების განმავლობაში გაუჯანჯლდეს და ამდენ ხანს ვერ მოვიცდი“, – ამბობს 32 წლის ლია სირბილაძე.

ყველაზე სწრაფად და ყველაზე დიდი რაოდენობით თბილისში 1 და 2-ოთახიანი ბინები იყიდება. ყველაზე გაცხოველებული ვაჭრობა კი დღეს დედაქალაქის პერიფერიულ უბნებში, ძირითადად გლდანისა და ისანი-სამგორის რაიონებშია. საეარაუდოდ, ამის მიზეზი დაბალი ფასიცაა – ბინები ყველაზე იაფი კვლავაც სწორედ ქალაქის განაპირა რაიონებში ღირს: გლდანში, ნაძალადევისა და ისანი-სამგორის რაიონში 1 კვ. მ. საცხოვრებელი ფართის ფასი 350-400 აშშ დოლარია. ამაზე უფრო დაბალ ფასად კი ბინები შეიძლება მუხიანსა და თემქაზე შეიძინოთ.

ტრადიციულად ყველაზე პრესტიჟულ უბნებში – ვაკეში, ვერაზე, ავლაბრის

ნაწილსა და მთაწმინდაზე კი მეორად ბინებში 1 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართის ფასი 1000-1300 აშშ დოლარს აღწევს, საბურთალოზე, ორთაჭალასა და ავლაბრის ნაკლებად პრესტიჟულ ნაწილში – 700-900 აშშ დოლარს.

განსხვავებული ფასი აქვს საცხოვრებელ ფართს ახლად აშენებულ სახლებში. ახალ მშენებლობებში 1 კვ. მ. ფართი 850-900 დოლარი ღირს. თუმცა, თბილისელთა ნაწილს, რომელსაც ახალი ბინის შესაძენად ფინანსური შესაძლებლობა ჰყოფნის, ურჩევნია, თანხა სწორედ ახალ, კომფორტულ სახლში დააბანდოს. თუმცა, ჯერ კიდევ წლინახევრის წინ, მსგავსი ტენდენცია უძრავი ქონების ბაზარზე იშვიათად ფიქსირდებოდა. მაგალითად, პრესტიჟული პროექტი „სახლი ოპერასთან“ კომპანია „აიდეკომ“ 2007 წელს დაიწყო, მაგრამ ფინანსური კრიზისის გამო შეაჩერა და მხოლოდ შარშან შეძლო გაგრძელება.

შესაბამისად, კრიზისიდან არცთუ დიდი დროის გასვლის შემდეგ, თბილისში კვლავ გაუჩნდა მცირე, მაგრამ გარანტირებული კლიენტი პრესტიჟულ, გამორჩეულად მაღალი კლასის სახლებს. ამ ბინების ფასს კვლავაც სტანდარტული ფაქტორები – მდებარეობა, მშენებლობის დროს გამოყენებული მასალა, ხედი, საპარკინგე ფართი და ბინის ჩაბარების პირობები განსაზღვრავს. თუმცა, ბოლო დროს იმატა იმ კლიენტების რიცხვმაც, რომლებიც სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან წერილმანებს აქცევენ გადამწყვეტ ყურადღებას.

მაგალითად, თუკი, ასეთ კლიენტს ეტყვი, რომ სახლის მშენებლობა-მოპირკეთებისთვის მხოლოდ სერტიფიცირებული და ეკოლოგიურად სუფთა მასალაა გამოყენებული, ის საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად კიდევ უფრო მცირე დროს დახარჯავს. ხოლო თუკი, ეკოლოგიურად სუფთა მასალას



ემატება სახლის სეისმომდგრადობის მაქსიმალური ნიშნულიც და სახლის სახანძრო უსაფრთხოების ანალიზატორებით აღჭურვაც, კლიენტმა შეიძლება ხელშეკრულება კომპანიასთან უმალ გააფორმოს. შეძლებულ თბილისელებს, ურჩევნიათ იცოდნენ, რომ სახლის ფასადი, რომელსაც ყიდულობენ, სპეციალური მასალითაა შეფუთული, რომელიც მათ სივრცეს ზაფხულში სიცხისგან, ზამთარში კი სიცივისგან დაცავს, ამით კი კომუნალური გადასახადების ხარჯიც 35–40 პროცენტით შემცირდება.


თბილისში დაახლოებით მსგავს პირობებს საკუთარ კლიენტებს რამდენიმე კომპანია სთავაზობს. ამჟამად თბილისში 3-4 ასეთი პრესტიჟული სახლი შენდება. „ბაგები სითის“ საცხოვრებელ სახლში 1 კვ. მ. ფართი 1500-დან 1900 დოლარამდე ღირს. შევჩენკოს ქუჩაზე „კაპიტალ ვოსტოკის“ სახლში კი 1 კვ. მ-ის ფასი 2200-4000 აშშ დოლარის ფარგლებში

მერყეობს. პრესტიჟულ მშენებლობებს მიეკუთვნება პროექტიც „სახლი ოპერასთან“, იქ 1 კვ. მ-ის ფასი 1500-2500 დოლარია. ფართების გაყიდვა ამ სახლში ერთი თვის წინ დაიწყო და ჯერჯერობით, ბინების 10 პროცენტია გაყიდული, თუმცა, კომპანიაში იციან, რომ კლიენტების რაოდენობა გაიზრდება, რადგან მშენებლობის წინ ჩატარებული გამოკითხვით მსგავსი ტიპის საცხოვრებელ კომპლექსებზე მაღალშემოსავლიანთა სემენტში საკმაოდ მზარდი ინტერესი გამოავლინეს.

ექსპერტები გრძელვადიან პერსპექტივაში უძრავი ქონების ბაზარზე საცხოვრებელი ბინების გაძვირებას პროგნოზირებენ, მაგრამ არც ისე სწრაფი ტემპით, როგორც ეს კრიზისამდე იყო. ფასის მატებას, ქვენიშვილის აზრით, გამოიწვევს ის პერსპექტივაც, რასაც თბილისის უძრავი ქონება, ევროპის ქალაქებთან შედარებით ფლობს: „ჩვენთან უძრავი ქონება ყველაზე იაფია და ყვე-

ექსპერტები გრძელვადიან პერსპექტივაში უძრავი ქონების ბაზარზე საცხოვრებელი ბინების გაძვირებას პროგნოზირებენ, მაგრამ არც ისე სწრაფი ტემპით, როგორც ეს კრიზისამდე იყო.

ლაზე მაღალშემოსავლიანიც: ადამიანმა საცხოვრებელი ბინა რომ იყიდოს და შემდეგ გააქირავოს, ევროპის ქალაქებთან შედარებით ბევრად მაღალ შემოსავალს მიიღებს. ამიტომ, ბაზარზე საცხოვრებელი ბინის ყიდვის და შემდეგ მისი გაქირავების სტიმული ჩნდება. შესაბამისად, 2-3 წლის განმავლობაში საცხოვრებელ ბინებზე მოთხოვნა და ბინების ფასი გაიზრდება“, – ამბობს ქვენიშვილი. **■**



სახიფათო სამკანველო ნარჩენები

"შავი სეოზის" თეთრი სანამდავი

რაჭის სამი სოფლის მოსახლეობამ არაფერი იცის იმის შესახებ, რომ მიტოვებული ქარხანა მათი შვილების ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის.

რუსუდან ფანოზიშვილი



რაჭაში, სოფელ ურავში ბავშვებს რამდენიმე საყვარელი სათამაშო ადგილი აქვთ. ერთი – მდინარის პირას, ბეტონისსაფარიანი მოედანია, რომელიც ფეხბურთის თამაშისთვისაა განსაკუთრებით მოსახერხებელი, მეორე – სოფლის დასაწყისსა და ბოლოში დარჩენილი ქარხნის ნანგრევები. იქ ბავშვები ათას საინტერესო ნივთს პოულობენ – უცნაური ფორმის შუშის ბოთლებს თუ უცნობი დანიშნულების ხელსაწყოებს და თამაშებსაც ამ ნივთების მიხედვით იგონებენ.

ჯერ კიდევ ოცი წლის წინ ამ ნანგრევების ადგილას, საბჭოთა დროს აშენებული და საკავშირო მასშტაბით ცნობილი ურავის სამთო ქიმიური ქარხანა ფუნქციონირებდა. იქ თითქმის 60 წლის განმავლობაში მოიპოვებდნენ და გადაამუშავებდნენ დარიშხანს. მიღებულ ნივთიერებას სამედიცინო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებითაც იყენებდნენ, მაგრამ ამავე დროს სვანეთის სოფელ ცანში მოპოვებული დარიშხანის მსგავსად, გაჰქონდათ რუსეთშიც – ქიმიური იარაღის, ლუიზიტის საწარმოებლად.

ქარხანაში მუშაობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეჩერდა. სოფელიც, სადაც სამთო ქიმიური ქარხნის გამო, ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს, ათასამდე ადამიანი ცხოვრობდა – მათ შორის, მუშები, ქიმიკოსები, მეცნიერები – ნელ-ნელა დაცარიელდა. ახლა ურავში 160 ოჯახი ცხოვრობს.

ფოტო რუსულადან დაწერილია

სოფლის თავში გაშენებულ დარიშხანის ქარხნის კომპლექსში უკვე მოპოვებულ დარიშხანს რეცხავდნენ და გამონავდნენ.

მათი უმრავლესობისთვის დარიშხანის ქარხანა წარსულის ერთი ჩვეულებრივი მოგონებაა. სოფელში თითქმის არავინ იცის, რომ ოცი წლის წინ დახურული სანარმო მათ ცხოვრებაზე და ჯანმრთელობაზე სერიოზულ გავლენას დღემდე ახდენს.

სოფლის შუაგულში, მდინარე ლუხუნის გასწვრივ მდებარე მობეტონებული მოედანი, სინამდვილეში, სამარხია, რომელიც 60 ათას ტონამდე დარიშხანის სანარმო ნარჩენს ფარავს. თუმცა, სამარხი წლების წინ დაზიანდა, მდინარის მხრიდან ბეტონი გამოინგრა და ჩამარხული ნივთიერებები ახლა ლუხუნში ჩაედინება. ადგილობრივები ჰყვებიან, რომ მდინარიდან ბევრჯერ შეუნიშნავთ, გაშიშვლებული სამარხში როგორ ბზინავს უცნაური ფორმის საგნები.

ლუხუნი ურავის შემდეგ კიდევ რამდენიმე რაჭულ სოფელს გადის და

კვდება, მათგან ბევრი სწორედ – სიმსივნით.

„ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ერთი ახალგაზრდა კაცი – ღვიძლის სიმსივნით გარდაიცვალა, მეორე მამაკაცი – თვალის, ერთი ქალი კი – ფილტვების კიბოთი“, – იხსენებს სოფელ ურავის ექთანი გულიკო მოროსიძე. თვითონ გულიკოს ქმარი ქარხანაში მინების მბერავად მუშაობდა. „ისიც ორჯერ გადავარჩინეთ სიკვდილს,“ – ამბობს მოროსიძე, – „ახლა სუნთქვა უჭირს, ფილტვებზე აქვს სერიოზული პრობლემა“.

ადგილობრივები სიმსივნის ამ შემთხვევებსა და ადრესიკვდილიანობას სწორედ დარიშხანით გაჟღენთილ გარემოს უკავშირებენ. იქაურები ამბობენ, რომ დარიშხანის ქარხნის მავნე გავლენის გამო, მათ ხეობას წლების წინ „შავი ხეობაც“ კი შეარქვეს.

მიუხედავად ამისა, ვერც სამარხის

სათამაშოდ. მაინც ვეუბნები ხოლმე, რომ ფრთხილად იყვნენ და იქ არაფერი შეჭამონ. აი, საქონელი გვიკვდება ხშირად – იმათ ხომ ვერ ეტყვი, იქ ბალახი არ მოძოვოთო და ამიტომ წელიწადში რამდენიმე ასეთი შემთხვევა ხდება. მადლობა ღმერთს, ბავშვები ჯანმრთელები არიან“, – ამბობს ემზარ ჯელაძე და იხსენებს, რომ დაახლოებით ერთი წლის წინ სოფელში ექიმებიც იყვნენ ჩასულები, ბავშვებს სისხლის ანალიზი აუღეს. თუმცა, არც ჯელაძეს, არც დანარჩენ მშობლებს, ამ ანალიზების პასუხები არ უნახავთ. „არ ვიცი, რატომ, ალბათ, ანალიზებმა ისეთი არაფერი აჩვენა“, – ვარაუდობს ჯელაძე.

თუმცა ურაველი ბავშვების ანალიზების პასუხები გაცილებით უფრო შემამოფოთებელია, ვიდრე მშობლებს წარმოუდგენიათ. ექიმებმა, რომლებმაც ურავში 1999-2011 წლებში

ურაველი ბავშვების ანალიზების პასუხები გაცილებით უფრო შემამოფოთებელია, ვიდრე მშობლებს წარმოუდგენიათ. ექიმებმა, რომლებმაც ურავში 1999-2011 წლებში არასამთავრობო ორგანიზაცია „კარიბჭის“ ინიციატივით კვლევები ჩაატარეს, ადგილობრივი ბავშვების სისხლსა და შარდში დარიშხანის მაღალი შემცველობა აღმოაჩინეს.

რიონს უერთდება. 2009 წელს გამოქვეყნებულ ვრცელ ანგარიშში „საქართველოს ქიმიურ პროფილში“ კი წერია, რომ ლუხუნთან რიონში ჩადენილი დარიშხანის ნარჩენები, გადაუმონწმელებელი ინფორმაციით, შემდეგ შავ ზღვასაც აბინძურებს.

დარიშხანის შესახებ არაერთ სამეცნიერო კვლევაში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ თეთრი დარიშხანი, რომელიც რაჭის ამ სოფლის მთავარ სიმდიდრეს წარმოადგენდა, ხანგრძლივი ზემოქმედების შემდეგ ადამიანის ორგანიზმში სხვადასხვა დაავადებებთან ერთად სიმსივნესაც იწვევს.

სოფელ ურავში ამბობენ, რომ იქ ადამიანები ღრმა სიბერეს თითქმის ვერ აღწევენ, ადგილობრივების უმრავლესობა საშუალოდ 50 წლის ასაკში

და ვერც ქარხნის ტერიტორიაზე ვერ ნახავთ მინიშნებას იმის შესახებ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილებს უნდა მოერიდოს. ქარხნის ორი კომპლექსიდან არცერთი არაა ღობით შემოსაზღვრული. შესაბამისად, იქ შესვლას და თამაშს ბავშვებსაც არავინ უკრძალავს. მეტიც, ადგილობრივები იმდენად არიან დარწმუნებულნი, რომ დარიშხანის გავლენა მხოლოდ ქარხნის თანამშრომლებს და შორიხლო მცხოვრებლებს შეეხო და ახლა საფრთხეს აღარ წარმოადგენს, რომ იქ აჯურებსა და რკინას აგროვებენ და ჰყიდიან.

ემზარ ჯელაძე, რომელიც ქარხანასთან ახლოს ცხოვრობს, ამბობს: „ეგ ქარხანა 20 წელია, აღარ მუშაობს. ხშირად მიდიან ჩემი ბავშვებიც იქ

არასამთავრობო ორგანიზაცია „კარიბჭის“ ინიციატივით კვლევები ჩაატარეს, ადგილობრივი ბავშვების სისხლსა და შარდში დარიშხანის მაღალი შემცველობა აღმოაჩინეს: დარიშხანის დონე მათ სისხლში 10 ერთეულით მეტი იყო, ვიდრე ამბროლაურში მცხოვრებ ბავშვებს ჰქონდათ, ხოლო შარდში – 13 ერთეულით. ანალიზში საგანგამო ცვლილებები ჰქონდათ მდინარე ლუხუნის ხეობის ორი სხვა სოფლის – აბარისა და ლიხეთის ბავშვებსაც. დადგინდა ისიც, რომ ეს პატარები განსაკუთრებით ხშირად მწვავე რესპირაციული ინფექციით ავადმყოფობდნენ. ეს, ერთი შეხედვით, წითელლოყება და ჯანმრთელი აგებულების ბავშვები ფიზიკური განვითარების ძირითადი მაჩვენებლები-

თაც ჩამორჩებოდნენ ამბროლაურსა და მის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ მოზარდებს.

კვლევაში მონაწილე მეცნიერებმა, რომლებმაც ლუხუნის ხეობის ბავშვების გენეტიკური, ჰემატოლოგიური და იმუნოლოგიური მაჩვენებლებიც შეისწავლეს, ამბობენ, რომ სწორედ დარიშხანით დაბინძურებული გარემოს ზემოქმედება აისახება ნეგატიურად ბავშვთა და მოზარდთა შესწავლილ ყველა მაჩვენებელზე. ასე ფიქრის საფუძველს მათ ქიმიკოსების მიერ ჩატარებული კვლევაც აძლევს ხეობის ნიადაგის, წყლისა და ჰაერის შესახებ. ამ მონაცემების მიხედვით, მდინარე ლუხუნში დარიშხანის შემცველობა რიონისას დაახლოებით სამჯერ აღემატება, სხვა მდინარეებისას, საშუალოდ 10-ჯერ. ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე ნიადაგში დარიშხანის შემცველობა ზემო რაჭის

სხვა ადგილებზე დაახლოებით 15-ჯერ მეტია. ქარხნის ტერიტორიასა და მდინარე ლუხუნზე მოსულ ატმოსფერულ ნალექებში კი საშუალოდ 40-ჯერ მეტი დარიშხანი შედის, ვიდრე საქართველოს სხვა ტბებსა და მდინარეებზეა.

დარიშხანის მავნე ზემოქმედების გამო წარმოქმნილ გენეტიკურ ცვლილებებს კვლევის მონაწილე ციტოგენეტიკოსი, ალა ზედგენიძე ასე განმარტავს: „გარემოს მავნე ფაქტორებიდან თავისი ტოქსიკურობით დარიშხანს განსაკუთრებული ადგილი უკავია. დარიშხანი წარმოადგენს მუტაგენს, ანუ განეკუთვნება იმ ნივთიერებებს, რომლებიც იწვევენ ცვლილებებს ცოცხალი ორგანიზმის გენეტიკურ მასალაში, აზიანებენ ქრომოსომულ აპარატს და არღვევენ გენეტიკურ ბალანსს. ეს კი საშიშია, რადგან ასე იქმნება პლატფორმა შემდგომი სიმსივნური და-

ვადების განვითარებისთვის“.

კვლევამ ერთი საინტერესო სტატისტიკაც აჩვენა: მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში პირველიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით, ყველა ბავშვი გამოიკვლიეს, მათ შორის, ასაკის კლების მიხედვით, დაავადების მაჩვენებლების კლება არ შეინიშნება. „მეთორმეტე კლასელები ხომ უფრო ადრე დაიბადნენ, როცა ახალი გაჩერებული იყო სანარმო, პატარები კი – ახლახან. თუმცა, მათ ორგანიზმში ზუსტად ერთნაირი დარღვევებია. ეს იმას ნიშნავს, რომ დარიშხანით დაბინძურებული გარემო დღესაც ზემოქმედებს ბავშვებზე“, – ამბობს პედიატრი მარინა გაგოშიძე.

კვლევის ავტორები ირწმუნებიან, რომ მათ ანალიზის პასუხები სოფლებში გაგზავნეს, მაგრამ პანიკის გამოწვევა არ სურდათ და ამიტომ არ მიადვენეს თვალ-ყური იმას, მიიღეს თუ



ურავის დარიშხანის ქარხნის ნანგრევებში საქონელიც ბალახობს, გამვლელებს კი კომპლექსის ამ ნაწილში განთავსებული ლაბორატორიებიდან შემორჩენილი ძველი ხელსაწყოებისა და ნივთების პოვნა ჯერ კიდევ შეუძლიათ.

ფოტო: რუსუდან ფანოჩიძე

არა მშობლებმა ინფორმაცია ბავშვების ჯანმრთელობის შესახებ. „პანიკის გამოწვევას სჯობია, სოფლის მოსახლეობას ვასწავლოთ, როგორ იცხოვრონ იმ გარემოში ისე, რომ ნაკლები ზიანი მიიღონ. ამ ტრენინგებისთვის გრანტის მოპოვება გვინდოდა, თუმცა, ჯერჯერობით ვერ მოვახერხეთ“, – ამბობს მარინა გაგოშიძე და დასძენს, რომ შარშან, ამბროლაურში კვლევის შედეგების შემაჯამებელი კონფერენციაც ჩაატარეს, დასწრება თავისუფალი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ „ლუხუნის ხეობის მოსახლეობას ინფორმაცია არ დაუშვალეთ. ასევე, კვლევა გამოქვეყნებულია სამეცნიერო-სამედიცინო ჟურნალებშიც და იქაც შექმლეთ, ენახათ“, – ამბობს გაგოშიძე.

დაფინანსება ვიშოვოთ და პირდაპირ სოფლების გაუწვებელყოფას შევუდგეთ, ვიდრე ხალხს ვუთხრათ, რომ შესაძლოა, ინამლებოდნენ. ეს ცუდ შედეგს გამოიწვევს. ტურიზმის ზონაა რაჭაში, შეიძლება, ამან უკუპროცესებიც გამოიწვიოს“.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში დაგროვებული სამრეწველო ნარჩენების ინვენტარიზაცია პირველად 2003 წელს ჩატარდა. სწორედ მაშინ გამოვლინდა, რომ ქვეყანაში 908 ათასი ტონა სახიფათო სამრეწველო ნარჩენი გვაქვს. ძირითადად, ეს ნივთიერებები ნავთობპროდუქტებისა და ქიმიური ნარმოების შედეგად დარჩა. „თუმცა, ფრიად შემამოფოთებელია რაჭის და სვანეთის სოფლებში, ურავსა და ცანაში“ სა-

ში გვითხრეს, რომ იქ კვლევის დროს აღებული ანალიზების პასუხები მიიღეს. ურაველმა ექთანმა ისიც იცოდა, რომ „ერთი-ორი ბავშვის სისხლში“ დარიშხანის დიდი შემცველობა აღმოჩნდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ინტერვიუს ადგილობრივი გამგეობის წარმომადგენელი შეუერთდა, ექთანმა იგივე აღარ გაიმეორა.

ლიხეთელი ექთანი, ციცი რეხვიამვილი კი, რომელიც ჩვენსა და მშობლების შეხვედრას ესწრებოდა, ირწმუნებოდა, რომ ბავშვები ხშირად არ ავადობენ. იმავეს იმეორებდნენ მშობლებიც. თუმცა, მოგვიანებით, ამავე სოფლის სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელმა გაიხსენა, რომ ზამთარში ერთი კვირით სასწავლო პროცესიც კი შეაჩერეს ბავშვების

■ სპეციალისტები ამბობენ, რომ ყველაზე სწრაფად ლუხუნის ხეობაში დაბინძურებული ადგილობრივი კერების მოსპობაზე უნდა იზრუნონ, რომ დარიშხანის გაფანტვა და გავრცელება აღიკვეთოს. ნიადაგის სათანადოდ განმენდიდან რამდენიმე წელიწადში კი, შესაძლოა, ჰაერისა და წყლის დაბინძურების პრობლემაც მოიხსნას.

საკითხისადმი მსგავს მიდგომას გარემოს დაცვის სამინისტროშიც ეთანხმებიან და ამბობენ, რომ ინფორმაციის გავრცელებით პანიკის გამოწვევა არ სურთ. მინისტრი, გოგა ხაჩიძე „რადიო თავისუფლებასთან“ ინტერვიუში ამბობს: „მინდა გითხრათ, რომ მსგავსი სტატისტიკა არაფრით გამოირჩევა სხვა სოფლების სტატისტიკისაგან, ანუ ისეთი ადგილებისაგან, სადაც არანაირი საფრთხე არ არის. რალა თქმა უნდა, დარიშხანი არ არის სასარგებლო და სიცოცხლეს არ ახანგრძლივებს, ის „ბორჯომივით“ არ არის, მაგრამ ეს არის უფრო მეტად ფსიქოლოგიური ზეგავლენის გამო. რადგან იცი, რომ სადღაც ახლოს დარიშხანია“.

სამინისტროს წარმომადგენელი, ნარჩენების სპეციალისტი ალექსანდრე ჩანქსელიანი კი „ლიბერალთან“ საუბარში აცხადებს: „გვირჩევნია,

ბჭოთა პერიოდში განთავსებული დარიშხანის კონცენტრატის საწარმოებში დაგროვილი 100 ათას ტონამდე დარიშხანის შემცველი ნარჩენი“, – წერია „საქართველოს ქიმიურ პროფილში“.

მიუხედავად ამისა, არც სვანეთის და არც რაჭის საწარმოების ნარჩენებისგან განმენდა არასდროს მომხდარა. ალვერდ ჩანქსელიანის თქმით, საამისო სახსრები სამინისტროს არ ჰქონია. მისი თქმით, 2005 წელს რაჭაში ეუთოს წარმომადგენლები ჩავიდნენ და საკითხის შესწავლა დაიწყეს, თუმცა, სამი წლის შემდეგ პროცესი აგვისტოს ომის გამო შეფერხდა. მას შემდეგ, რაჭის მავნე ნარჩენებისგან გასუფთავება უვადოდ გადაიდო.

„ლიბერალის“ კორესპონდენტი სოფელ ურავსა და ლიხეთს „ბი ბი სი“-ს გადამღებ ჯგუფთან ერთად სტუმრობდა. ორივე სოფლის პოლიკლინიკა-

ხშირი ავადმყოფობის გამო.

ქარხნის მიტოვებულ ტერიტორიაზე ყოფილი ინჟინერი, ნოდარ მელაშვილი გამოგვყვა. მან აგვისხნა, რომ ქარხნის ერთ-ერთი სტრატეგიული ნაწილი სპეციალური აუზები იყო. „ამ აუზებში ილექებოდა გარეცხილი დარიშხანის ნარჩენები. ეს აუზები განსაკუთრებით გაჯერებულია მომწამვლელი ნივთიერებებით“, – გვიხსნის მელაშვილი და გვაჩვენებს ბეტონით დაფარულ, ცარიელ აუზებს, რომლებშიც ტალახისმაგვარი, ბლანტი სითხე დგას. ახლა იმ აუზებთან ახალგაზრდა ბიჭი მუშაობს – აგურებს აგროვებს.

„როცა ლაბორატორიაში შევდიოდით, სპეციალურ ხალათს ვიცვამდით, გამოსვლისას კი ტანსაცმელს ვიცვლიდით. მკაცრი წესი იყო, ყველა, ვინც ქარხნიდან გამოვიდოდა, ჯერ ქარხნისავე ეზოში მოწყობილ აბაზანაში უნდა მიეღო შხაპი. თავიდან ჩემს თეთრ



სოფელ ურავში ოცი წლის წინ ათასამდე ადამიანი ცხოვრობდა და მუშობდა. ახლა იქ მხოლოდ 160 ოჯახია შემორჩენილი

კლინიკისკენა ვიზიტორი სტრასა

ხალათს ლაბორატორიაში ვტოვებდი ხოლმე, სადაც ყოველდღიურად მიწევდა მუშაობა. მოულოდნელად, ერთი თვის თავზე ვნახე, რომ ხალათის ქსოვილი დაშლილიყო. ახლა, წლების შემდეგ, გაფიქრებაც არ მინდა, რა შეიძლება, ჩემს ორგანიზმს სჭირდეს“, – გვიყვება მანიგა ბუმიძე, რომელიც ქარხანაში 23 წელს მუშაობდა.

ალვერდ ჩანქსელიანის თქმით, სახიფათო ნარჩენების გაუვნებელყოფისთვის მალე ჰოლანდიის მთავრობა საქართველოს 750.000 ლარს გამოუყოფს. თუმცა, სამინისტრო ამ თანხას რაჭის ქარხნის ნარჩენებისთვის ვერ დახარჯავს: „გაცილებით უარესი მდგომარეობა სვანეთში, სოფელ ცანაშია, სადაც ნარჩენები დამარხულიც კი არ არის და იქიდან გამომდინარე მონამულული ნივთიერებები პირდაპირ ცხენისწყალში ჩაედინება. ეს უფრო საგანგაშოა და ამიტომაც, პირველად თანხებს იქ გა-

დავრიცხავთ“, – ამბობს ჩანქსელიანი, რომელიც იმედს გამოთქვამს, რომ დაფინანსებას რაჭის ქარხნის გასანმენდაც იმოწინან, თუმცა ჯერ არ იციან, მომწამვლელი მემკვიდრეობის გაუვნებელყოფისთვის კონკრეტულად რა გზას აირჩევენ.

არასამთავრობო ორგანიზაცია CENN-ის წარმომადგენელი რეზო გეთიაშვილი ამბობს, რომ ყველაზე სწრაფად ლუხუნის ხეობაში დაბინძურებული ადგილობრივი კერების მოსპობაზე უნდა იზრუნონ, რომ დარიშხანის გაფანტვა და გავრცელება აღიკვეთოს. ნიადაგის სათანადოდ განმენდიდან რამდენიმე წელიწადში კი, სპეციალისტების ვარაუდით, შესაძლოა, ჰაერისა და წყლის დაბინძურების პრობლემაც მოიხსნას.

მოქმედების დაწყებამდე კი კვლავაც დარჩება რისკი, მდინარე ლუხუნის გარდა, მალე ლუხუნის ხეობაში

სასმელი წყალიც დაბინძურდეს. ახლა ონკანის წყალს დაბინძურებისგან წყალგაყვანილობის მილები იცავს, თუმცა გრუნტის წყლები დაუცველი რჩება. ურაველები კი სწორედ თავიანთი მუავე წყლით ამაყობენ, რომელიც იქვე, სოფლის განაპირას ამოდის, ამბობენ, ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა და სტუმრებსაც გულუხვად სთავაზობენ.

ვიდრე კვლევის ავტორები გრანტს მოიპოვებენ იმისათვის, რომ ლუხუნის ხეობაში ჯანსაღად ცხოვრების ინსტრუქცია მოსახლეებსაც გააცნონ, ხოლო გარემოს დაცვის სამინისტრო დასუფთავების ხარჯებს იპოვის, გარემოს დამცველები ამბობენ, რომ კარგი იქნება, ადგილობრივმა ხელისუფლებამ მესერი მანც დაამზადოს და ზედ ტრაფარეტი გამოაკრას: „ყოფილი ქარხნის ტერიტორიაზე შესვლა სახიფათოა ჯანმრთელობისთვის“. **■**

საქართველოს ენეჯებუიხუი მოხუვი

ინტერვიუ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მმართველ დირექტორთან, რიკარდო პულიტისთან

რიკარდო პულიტი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ერთ-ერთი მმართველი დირექტორია და ბანკის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სექტორს ხელმძღვანელობს. პულიტის კერძო და საჯარო სექტორთან მუშაობის გამოცდილება აქვს და ამჟამად სხვადასხვა საინვესტიციო კომპანიების დირექტორთა საბჭოში ირიცხება.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი 1991 წელს შეიქმნა და 29 ქვეყანაში მოქმედებს, მათ შორის, საქართველოში 1998 წლიდან. ბანკი მუშაობს განვითარებად ქვეყნებში და მისი მისია ასეთ ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობაა. ბანკი კერძო სექტორს, ძირითადად, სესხებით ეხმარება ისეთი პროექტების განხორციელებაში, რომლებსაც გავლენა აქვთ გარემოსა და პროექტის განხორციელების ადგილას მცხოვრებთა სოციალურ მდგომარეობაზე.

ერთ-ერთი ბოლო ასეთი პროექტი, რომელიც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მხარდაჭერით ხორციელდება საქართველოში, ფარავნის ჰესია.

1998 წლიდან დღემდე ბანკმა 700 მილიონი ევროს ოდენობის სესხი გამოიყო საქართველოში მიმდინარე 120 ფინანსურ, ინფრასტრუქტურის განვითარების და ენერგეტიკულ პროექტებზე.



საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო აქტიურად იწყებს ჰიდრორესურსების გამოყენებას. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ მომავალ წლებში 17 ახალ ჰესს ააშენებს. როგორ შეაფასებთ ამ ენერგოპოლიტიკას?

საქართველოსნაირი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მისი პოტენციალის სრულად ათვისება. ეს მდიდარი

ჰიდრორესურსების ქვეყანაა – ბევრი წყალი გაქვთ განლაგებული სხვადასხვა სიმაღლეზე – გეოგრაფიული და ფიზიკური თვალსაზრისით. ეს არის ქვეყანა, სადაც ჰიდროენერჯის გამოიმუშავებისთვის მდიდარი პოტენციალი არსებობს.

იმედი მაქვს, მალე საქართველო მთელი ამ ენერჯის შინ მოხმარებას შეძლებს, რაც იმას ნიშნავს, რომ საქარ-

■ საქართველოს მთავრობა ცდილობს, თავისი რესურსები ბოლომდე გამოიყენოს.

ისინი ამას აკეთებენ კერძო-საჯარო პარტნიორობის გზით.

თველოში ინდუსტრია განვითარდება.

გარდა ამისა, საქართველო ძალიან ახლოს მდებარეობს ბაზართან – თურქეთთან, რომელსაც ელექტროენერჯის მუდმივი იმპორტი სჭირდება. ეს მშვენიერი შანსია. საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია ექსპორტი, თურქეთისთვის – იმპორტი.

სკეპტიკოსები ამბობენ, რომ დიდი ჰიდროპროექტები ამა თუ იმ კერძო კომპანიის კეთილდღეობას მოხმარდება და არა სახელმწიფო ბიუჯეტს.

ამ აზრს არ ვეთანხმები. ავილოთ, მაგალითად, ფარავნის პროექტი. ფარავანი არის ე.წ. BOO (built-on-open) პროექტი. ვინ დებს ფულს პროექტში? – კერძო პარტნიორი. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ კერძო პარტნიორი, რომელიც აშენებს, ოპერირებს, ბაზრის რისკებს ეწევა, ითხოვს რისკის კომპენსაციას. საქართველოს მთავრობა, ქართული საგადასახადო კოდექსის თანახმად, მიიღებს შესაბამის ანაზღაურებას, რაც სახელმწიფო ბიუჯეტზე აისახება, რადგან საქართველოს სახელმწიფომ ამ პროექტის არსებობა დაუშვა და ეს კავშირი შედგა. ეს კლასიკური საჯარო – კერძო პარტნიორობაა: კერძო ბიზნესი ინვესტიციას დებს და ბანკის სესხიც უნდა დაფაროს და სესხის პროცენტიც ასევე ბაზრის რისკის ქვეშაა ინვესტორიც, რისკია ოპერირებაც: მაგალითად, თუ სამი წელი წვიმა არ მოვიდა და გვალვა იქნა, არც შუქი იქნება – ამ რისკებს გასწევს კერძო კომპანია.

თქვენ ახსენეთ საბაზრო რისკი. რა კონკრეტული რისკები აქვს ქართულ ენერჯოსექტორს?

რისკი ყოველთვის არის. თურქეთი დიდი ბაზარია, მაგრამ მათ შეიძლება სხვა ბაზრებიც აღმოაჩინონ. არავინ იცის, მომავალი ათი წლის განმავლობაში თურქეთი ისევ განაგრძობს დენის იმპორტს თუ არა, თუ საკმარისი გაზი ექნება. ინფრასტრუქტურული პროექტი არაა ხუთწლიანი, ის უფრო გრძელვადიანია, ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია მინიმუმ 30 წლიანი რისკების გათვალისწინება.

თქვენ ფიქრობთ, რომ საქართველოს მთავრობა, ენერჯეტიკის თვალსაზრისით, სწორი გზით მიდის?

საქართველოს მთავრობა ცდილობს, თავისი რესურსები ბოლომდე გამოიყენოს. ისინი ამას აკეთებენ კერძო-საჯარო პარტნიორობის გზით. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (ერგბ) კი შეუძლია, ეს ჰიდროპროექტი ეკონომიკურად შეამოწმოს, სამომავლო მიზნები განსაზღვროს და გარემოსდაცვითი საკითხებიც შეამოწმოს.

ბანკი არ დააფინანსებს ისეთ პროექტს, სადაც გარემოსდაცვითი და სოციალური პრობლემების შემარბილებელი ღონისძიებები არ იქნება გათვალისწინებული.

როცა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ექსპორტზე გათვლილ დიდ ჰიდროპროექტებს აფინანსებს, როგორ ადვენებს თვალყურს იმას, თუ რა ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი სარგებელი მოაქვს მას ექსპორტის ქვეყნისთვის?

გარემოსდაცვითი საკითხებს ძალიან სერიოზულად ვეკიდებით. რადგან ვიცით, რომ დიდ ჰიდროპროექტებს ბევრ რამეზე აქვს გავლენა: ბიომრავალფეროვნებაზე, წყლის მოხმარებაზე, ხდება ხალხის გადასახლება. ყველაფერ ამას კავშირი აქვს გარემოსდაცვით და სოციალურ სფეროებთან, რომელსაც ხალხთან კონსულტაცია ემატება. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ასეთი პროექტების დროს ხალხს აზრს ყოველთვის ვეკითხებით. ამისთვის დროის ხარჯვა არ გვეზარება.

ფარავნის პროექტზე არ არსებობდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ინგლისური თარგმანი. როგორ გაეცნო ბანკი ქართულ დოკუმენტს?

ცოტა მაკვირვებს, რატომ შეიქმნა განგაში ამ თარგმანის გამო. ბანკს ჰყავს თანამშრომლები, რომლებმაც ქართული მშვენივრად იციან. ამიტომ, ყველა, ვინც უნდა გასცნობოდა, გაეცნო ამ დოკუმენტს. დასამალი არაფერია, სახალხო განხილვებიც გვექონდა.

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ფარავნის ჰიდროპროექტი გამჭვირვალე იყოს. ჩვენ ყველას დაველაპარაკებით და დოკუმენტს ყველას ვაჩვენებთ.

სიმაართლე რომ გითხრათ, როცა ქართულ პროექტებზე ქართული დოკუმენტებია, ამას მივესალმები.

რას ფიქრობთ ატომურ ენერჯიაზე? როდისაა ის უსაფრთხო?

ეს კითხვა ერთი მილიონი დოლარი ღირს. ამ მომენტში ატომურ ენერჯიაზე მიმდინარე მსჯელობები საკმაოდ ბუნდოვანი და ძალიან ემოციურია იმის გამო, რაც ფუკუშიმაზე მოხდა. მგონია, რომ ეს მოვლენა დეტალებში უნდა შევისწავლოთ. ამას კი რამდენიმე თვე მოუწდება, თუ მეტი არა. ჯერ ძალიან ადრეა იმის თქმა, თუ რა მოხდა ფუკუშიმაზე და ახლა რა მდგომარეობაა იქ. ეს იყო სტრეს-ტესტი მთელი ევროპისთვის.

ატომური ენერჯია, თერმული ენერჯია, წყლის ენერჯია, განახლებადი ენერჯია – ენერჯიების მიქსია, მაგრამ ყველა ქვეყანამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს, თუ რომელი ენერჯიაა მისთვის ყველაზე მეტად მისაღები, იმის გათვალისწინებით, რა ალტერნატივები აქვს, რა მარაგი და ენერჯიის რა წყაროები.

სომხეთი საქართველოს მეზობელი ქვეყანაა, რომელიც დიდადაა დამოკიდებული ატომურ ენერჯიაზე. რა ალტერნატივები აქვს სომხეთს ატომური ენერჯიის გარდა?

სომხეთს იმდენი ჰიდრორესურსი არ აქვს, რამდენიც საქართველოს. არ ვიცი, რას ფიქრობს სომხეთის მთავრობა ამაზე და გააგრძელებს თუ არა ატომური ენერჯიის გამოყენებას მომავალში. სომხეთის მთავრობასთან ეს არასოდეს განმიხილავს. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, სომხეთი თავის არჩევანს გააკეთებს, გაითვალისწინებს რა თავის საჭიროებებს ენერჯოსაფრთხოების, მოხმარების ღონის და ენერჯიის მარაგის თვალსაზრისით. ■

ესაუბრა ცირა გვასალია.

თვალსაზრისი

"ეკონომიკური" საბადასახადო ადმინისტრირება



ქვეყანაში სახელმწიფო ფისკალური პოლიტიკის გამტარებლები კერძო აუდიტორული და საკონსულტაციო კომპანიები ხდებიან. ხელისუფლება კი პრეფერენციულ საგადასახადო რეჟიმებს ქმნის განსაკუთრებულად და გამორჩეულად „საყვარელი“ შვილებისთვის.

ლევან კალანდაძე

საქართველოს პარლამენტის მიერ გასული წლის აგვისტოს თვეში მიღებულ და მიმდინარე წლის იანვრიდან ამოქმედებულ საგადასახადო კოდექსში მთავრობის ეკონომიკურ გუნდს დღეს უკვე ცვლილებები შეაქვს. დასახელებული მიზეზი მარტივია - ხელისუფლება აცხადებს, რომ, პროგრესის მიუხედავად, ჯერ ვერ უზრუნველყო გადასახადის გადამხდელისათვის ლიბერალური საგადასახადო გარემოს ჩამოყალიბება და, თუ მათვე დავესესხებით, „საგადასახადო ადმინისტრირება ჯერ კიდევ ხისტი არის“. პრემიერმა და ფინანსთა მინისტრმა ბიზნეს-საზოგადოებას ცვლილებების ახალი პაკეტი უკვე წარუდგინეს.

მაინც რას ითვალისწინებს ახალი, კვლავ რევოლუციურად მონათლული შეთავაზება, რომელიც ორიოდ კვირაში უკვე სატესტო რეჟიმში ამოქმედდება? წარმოდგენილ ცვლილებათა შორის უმთავრესი, რითაც ინიციატივის ავტორები თავს იწონებენ, არის მენარმისთვის თავისუფალი არჩევნის უფლების მიცემა საგადასახადო აუდიტის, საგადასახადო შემონმების განხორციელების პროცესში. ანუ, ახალი რეგულაციის მიღების შემდეგ, მენარმე თავად გადაწყვეტს, ვინ განახორციელებს მის საგადასახადო შემონმებას – შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ინსპექტორი, თუ დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანია.

თითქოს მარტივი უნდა იყოს იმის მიხედვრა, ვის სასარგებლოდ გააკეთებს მენარმე არჩევანს. თუმცა ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. თუ გაითვალისწინებ



ბთ, რომ ეს მომსახურება მენარმეს სოლიდური თანხა დაუჯდება, უნდა ვივარაუდოთ, რომ მათი არჩევანი მათსავე სურვილის საწინააღმდეგოდ, სწორედ საგადასახადო ინსპექტორზე შეჩერდება. ცნობისთვის, კვალიფიციური აუდიტორული კომპანიის მიერ არცთუ მოზრდილი ბიზნეს-სტრუქტურის სამეურნეო საქმიანობის მხოლოდ ერთი წლის შედეგების აუდიტი, ბიზნეს სა-

ქმიანობის სახეობების მიხედვით საშუალოდ 8-10 ათას ლარის შუალედში მერყეობს. ხშირ შემთხვევებში, შესაძენებული წლების რაოდენობა კი, 2 და 3 წელსაც კი აღემატება. ყოველივე ეს, თუ კვალიფიციურ აუდიტზე ვსაუბრობთ. თორემ, თბილისში და განსაკუთრებით კი, რეგიონებში მრავლად მოიძებნება „იაფი“ აუდიტორული კომპანია, რომელიც იგივე საქმიანობის განევას 300-

400 ლარად, ან კიდევ უფრო იაფადაც კი „შეძლებს“. ასე რომ, სავარაუდოდ, მენარმეთა საბოლოო არჩევანს განაპირობებს არა მათი სურვილი, არამედ შესაძლებლობა. ეს კი ის შემთხვევაა, როცა, სამწუხაროდ, ჩვენი სურვილები ჩვენს შესაძლებლობებს არ ემთხვევა.

ბიზნესისთვის თავისუფალი არჩევნის უფლების უზრუნველყოფა და მისი დაცვა უდავოდ ერთ-ერთი უმთავრესი უნდა იყოს სახელმწიფოს ეკონომიკურ პრიორიტეტთა შორის. ეს თითქოს აქსიომატურია. თუმცა, საგადასახადო აუდიტის „თავისუფალი“ არჩევის უფლებას თან სდევს რიგი უზერხულობები და რისკები, რომელთა გაუთვალისწინებლობამ შესაძლებელია, სამომავლოდ, არასასურველი შედეგი მოიტანოს. ვფიქრობ, რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს სანყის ეტაპზე უნდა დაეთმოს ყურადღება:

1. საკითხის პოლიტიკური მხარე. საგადასახადო აუდიტი და კლასიკური აუდიტი აბსოლუტურად განსხვავებულ მიზნებს ემსახურება. საგადასახადო ორგანოები, ახორციელებენ რა საგადასახადო შემომწებებს, ამით ატარებენ სახელმწიფო პოლიტიკას. ამ უფლების კერძო აუდიტორულ კომპანიებზე დელეგირება კი ნიშნავს, რომ ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებლები ქვეყანაში კერძო აუდიტორული და საკონსულტაციო კომპანიები ხდებიან. თანაც, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ სიახლით, ძირითადად, მსხვილი ბიზნეს-სექტორი ისარგებლებს, რომელიც ქვეყნის ძირითად ეკონომიკურ „ხერხემალს“ წარმოადგენს, ჩვენი მტკიცება საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს. ამ ლოგიკით, ანალოგიური წარმატებით ეკონომიკის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ან, თუნდაც თავდაცვის სამინისტროს ფუნქციებიც შეგვიძლია სხვადასხვა შპს-ებს გადავცეთ. არ არის აქ ლოგიკა?

2. საკითხის მორალური მხარე. სახელმწიფო ბიზნესს სთავაზობს ფასიანი სერვისებს, ანუ სახელმწიფო მომსახურების შეძენას დამატებითი თანხის სახადაცვლით. და ეს მაშინ, როცა ბიზნესს,

თითოეულ მოქალაქეს, თითოეულ ჩვენგანს სახელმწიფოს წინაშე ჩვენი ვალდებულებები პირნათლად გვაქვს შესრულებული - ჩვენ უკვე გადავიხადეთ გადასახადები. ბიზნესი და ინდივიდები გადასახადებს იხდიან იმისთვის, რომ ხელისუფლება მათ ემსახუროს. სახელმწიფოს მხრიდან ფასიანი სერვისების შემოღება კი, სხვა არაფერია, თუ არა, უკვე გადახდილი საფასურის ჩვენგან ხელმეორედ მოთხოვნა. ამიტომ, სახელმწიფოს მხრიდან შემოთავაზებულ სერვისებში ჩვენ ფული უკვე გადახდილი

■ თუ გავითვალისწინებთ, რომ მომსახურება მენარმეს სოლიდური თანხა დაუჯდება, უნდა ვივარაუდოთ, რომ მათი არჩევანი მათსავე სურვილის სანინააღმდეგოდ, სწორედ საგადასახადო ინსპექტორზე შეჩერდება.

გვაქვს, ბატონებო!

3. საკითხის ეკონომიკური მხარე. სულ ქვეყანაში „საქსტატის“ მონაცემებით რეგისტრირებულია 350 ათასი მენარმე სუბიექტი, მათ შორის 160 ათასი – თბილისში. აქედან, რეალურად საქმიანობს დაახლოებით 130 ათასი მენარმე და მათი აბსოლუტური უმრავლესობა (დაახლოებით 80 %) წვრილ და მცირე ბიზნესის კატეგორიას განეკუთვნება. ქვეყანაში არსებული სამენარმეო გარემოსა და მისი შესაძლებლობების, ასევე კვალიფიციურ აუდიტორთა მომსახურების მაღალი საფასურის გავითვალისწინებით, ბიზნესის ამ ნაწილმა, მიუხედავად მათი დიდი სურვილისა, ნაკლებად სავარაუდოა, რეალურად ისარგებლოს ახალი ინიციატივის „სიკეთით“. აღმოჩნდება სიტუაციაში, როცა შემოთავაზებული „სიკეთები“

ხელმისაწვდომი მხოლოდ მათთვის იქნება, ვისაც შეეძლება ფულით მოიპოვოს იგი. ლიბერალური გარემო კი, მათ შორის ლიბერალური ბიზნეს გარემოც, სიკეთებსა და უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო სერვისებზე მენარმეების თანაბარ წვდომას გულისხმობს, იმის მიუხედავად, ვის მეტი კაპიტალი აქვს. სახელმწიფოს წინაშე ყველა თანასწორია. ადამიანები, ვისაც საკუთარი მატერიალური მდგომარეობა უფლებას აძლევს შეიძინოს დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანიისაგან ფასიანი სახელმწიფო აუდიტის სერვისი, თანმდევი „კომფორტებით“, სახელმწიფოსგან რეალურად ყიდულობს გარკვეულ უპირატესობას და თავს პრეფერენციულ მდგომარეობაში იყენებს იმ წვრილი და მცირე მენარმეებისაგან განსხვავებით, ვინც ვერ შეძლო ანალოგიური სახელმწიფო სერვისის შესყიდვა და ამ სერვისებში ათასობით ლარის გადახდა. საბოლოო ჯამში, ქვეყანაში სავარაუდოდ ჩამოყალიბდება ე.წ. ბიზნესის ელიტური ფენა, ძირითადად, მსხვილი ბიზნეს გაერთიანებების სახით, ვისთვისაც საკანონმდებლო დონეზე გარანტირებული იქნება პრეფერენციური საგადასახადო რეჟიმები „კომფორტული“ საგადასახადო ადმინისტრირების სახით.

თავისთავად, საგადასახადო ორგანოების და ზოგადად, სახელმწიფოს მხრიდან ფასიანი სერვისების დაწესება იმდენად ტრაგიკული არ არის, რამდენადაც ის, რომ ფასიანი სერვისების დაწესება ქმნის გარკვეულ სისტემას, როცა „კომფორტულ“ სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობა მხოლოდ „რჩეულებისთვის“ ხდება შესაძლებელი. იქნება ერთგვარი ილუზია, თითქოს შეზღუდვები და ბარიერები არ არსებობს და ამ „სიკეთით“ სარგებლობა ყველას შეუძლია. რეალურად კი, ფასდადებული მომსახურება ყველასთვის იაფი არ არის და ვიღებთ სურათს, როცა ნებით თუ ენებლით, დარღვეულია მენარმე სუბიექტების თანაბარუფლებიანობის პრინციპი სახელმწიფოს წინაშე. სახელმწიფოს ჰყავს გამორჩეული და პრივილეგირებული შვილები, რომლებიც მას განსაკუთრებულად „უყვარს“. ■

საქართველო, სინბაზუხი და ევროკავშირი



მარკ მალენი

ამაზე მოსაწყენი სათაურის მოფიქრება მართლა ძნელია. მაღლობა მინდა გადაფუხადო მათ, ვისაც არ დაეზარათ და სტატიის კითხვა დაიწყეს. ჯილდოდ მე შემოგთავაზებთ იმის ახსნას, თუ რას ნიშნავს დამაბნეველი და რუტინული მოლაპარაკებები ევროკავშირთან და რამდენად არის ეს საქართველოსთვის მნიშვნელოვანი.

საქართველო ევროპას განიხილავს, როგორც სახელმწიფოების ექსკლუზიურ, მიზიდველ კლუბს, რომლის წევრიც ერთ დროს თავადაც იყო, სანამ რუსეთი მისგან ჩამოშორებას აიძულებდა. ევროკავშირი, სინამდვილეში, არის ინსტიტუცია, რომელიც წარმოუდგენლად მრავალრიცხოვან სამართლებრივ და პოლიტიკურ ვალდებულებებს ეფუძნება. საქართველოსგან განსხვავებით, ევროკავშირს ეამაყება თავისი მოსაწყენი იმიჯი. მეოცე საუკუნის დასაწყისი ევროპელებისთვის საკმარისი დრო იყო „გართობისთვის“ და მათ გადაწყვიტეს, რომ მიეღოთ უპრეცედენტოდ მტკიცე გადანეჭვითი ამ „გართობის“ შესაჩერებლად. ასე რომ, ბრიუსელისა და თბილისის სტილებს შორის გარკვეული სხვაობა არსებობს, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ევროკავშირი მსოფლიოში ყველაზე დიდი ბაზარია, რომელიც არანორმალური რაოდენობის ინვესტიციებს იზიდავს და რომლის ენის ათვისებაც საქართველოს ძალიან გამოადგება.

ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების (ან როგორც ახლა ეძახიან DCFTA-ს) დადება არ არის თავისთავად მნიშვნელოვანი აქტი საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებისთვის, ან უშუალოდ საქართველოსთვის. ამ პროცესის დაწყება ორ მიზანს ემსახურება: პირველი, საქართველოს იძულებას, რომ



დაიწყოს საჭირო ინსტიტუტების შექმნა და მეორე, საქართველოს უნარის და მოთმინების გამოცდას, იმის, თუ რამდენად შეუძლია საქართველოს ამგვარი ხელშეკრულებების დადება და აღსრულება. საქართველო არის დაჩქარებული ქვეყანა, როგორც მისი ლიდერები აცხადებენ, თუმცა ჩვეულებრივ, ის, რაც სწრაფად შენდება, სწრაფადვე იშლება. ევროკავშირს სურს დარწმუნდეს, რომ ისინი, ვისაც კლუბში მიღებაზე ესაუბრება, სერიოზული პარტნიორები არიან.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის არცერთი წარმომადგენელი ამას ხმამაღლა არ ამბობს, საქართველოს, რა თქმა უნდა, შეუძლია გახდეს ევროკავშირის წევრი. ამას, ალბათ, დაახლოებით 20 წელი დასჭირდება, მაგრამ საქართველოს საუკუნოვანი ისტორიისთვის ეს ერთი თვალის დახამხამებაა. ისე უნდა ვქნათ, რომ სულსწრაფობის გამო ეს შესაძლებლობა

ხელიდან არ გამოგვეცალოს. ამასობაში, ევროკავშირი მოფიქრებს გზებს, თუ როგორ დაეხმაროს საქართველოს ევროპასთან დაახლოებაში, ინსტიტუტების შენებაში და ორმხრივი ურთიერთობების განმტკიცებაში.

რატომ აღვლევს ევროკავშირს საქართველო? ევროკავშირს მიაჩნია, რომ მას აქვს ინსტიტუციური განვითარების კარგი მოდელი, რომელიც ხელს უწყობს მშვიდობას. თუ ფაქტებს გადავხედავთ, ამაში ეჭვის შეტანა გაგვიჭირდება. ევროკავშირმა ახლახან (დროის ევროპული სტანდარტებით) ახალი ქვეყნები მიიღო და თავისი საზღვრების აღმოსავლეთისკენ განვრცობის სწრაფვა გამოავლინა. ის ასევე ჩუმად სწუხს რუსეთზეც, მაგრამ იცის, რომ რუსეთის მეზობლებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება გაცილებით უკეთესია, ვიდრე რუსეთსა და ევროკავშირს შორის რუსეთისგან მართული არასტაბი-

ლური რეგიონის არსებობა... ამავე დროს, ევროკავშირს გააზრებული აქვს, რომ პროცესების დაჩქარება არ შეიძლება.

გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველო სამი ძირითადი საფრთხის წინაშე დგას: პირველი რუსეთის ჩარევა (ფარული ან ღია, სამხედრო ან პოლიტიკური), მეორე – ანტი-დემოკრატიული შემოტრიალება, მესამე კი მძიმე ეკონომიკური პრობლემები. მართალია, DCFTA მოკლევადიან პერსპექტივაში ამ პრობლემებს ვერ მოა-

პრობლემები მისთვის აღარასდროს გახდება ისეთი სერიოზული, რომ ქვეყანას ეგზისტენციური საფრთხე დაემუქროს.

აქ ერთი პრობლემაა: საქართველოში არის ერთი აქტიური და კარგად ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც ამტკიცებს, რომ ევროკავშირის მთავარი იდეა ზედმეტი რეგულაციების დანესებაა, რომ ეს რეგულაციები აფერხებს ეკონომიკურ განვითარებას, რომ ევროკავშირი კრიზისშია და რომ საქართველოსთვის საუკეთესო გზა

რეგულაციების ნაკლებობა (როგორც ეს ხალხი ამტკიცებს), არამედ ის, რომ როგორც აშშ-ში, ევროპაშიც ფინანსური ბაზრები საკმარისად არ რეგულირდებოდა. თუმცა ყველა თანხმდება, რომ კონკურენტუნარიანი ბაზრები კარგია, მაგრამ საქართველოსთვის არც ისე ჭკვიანური ნაბიჯი იქნება, თუ ის ასეთ სამეზობლოში მარტო განვითარებას დაიწყებს. უცხოელ ინვესტორებს მსოფლიოს ამ ნაწილში ინსტიტუციური სისუსტეებისა და პოლიტიკური რისკის უფრო ემინიათ, ვიდრე გადასახადების ტარიფის და რეგულაციების. ეფექტიანი რეგულაციები ხელს უწყობს ინვესტიციების მოზიდვას. თუ ვინმეს დაავინყვდა, შევასხენებ, რომ სინგაპური არ არის დემოკრატიული ქვეყანა. სინგაპურში მთავრობის კრიტიკა აკრძალულია და ერთი პარტია უკვე 50 წელზე მეტ ხანს იმყოფება ხელისუფლებაში.

არის ერთი მნიშვნელოვანი გაკვეთილი, რომელიც საქართველოს ისტორიამ გვასწავლა: მას შემდეგ, რაც პირველმა მონღოლურმა არმიამ 1236 წელს საქართველოში ფეხი დაადა, მნიშვნელობა აღარ ჰქონდა იმას, თუ რამდენად დიდებული იყო ცალკეული მმართველების ოცნებები, რადგან ჭკვიანურად და ორმხრივად დადებული ალიანსების გარეშე, ამ ოცნებებს ადრე თუ გვიან მეზობელი იმპერია ანგრევდა. გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა მოდის მხოლოდ გრძელვადიანი ინსტიტუციური სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და დემოკრატიის შედეგად. საქართველოსთვის ეს ყველაფერი მხოლოდ ევროკავშირთან ალიანსის შედეგად იქნება შესაძლებელი. მთელი ეს დამოუკიდებლობა, თავისუფლება და ახალი ეკონომიკური იდეების გამოცდით გამოწვეული მხიარულება ძალიან კარგია, მაგრამ საქართველოსთვის უმჯობესი იქნება, თუ ის იქნება მომთმენი და იფიქრებს გრძელვადიან პერსპექტივაზე. ზოგჯერ ევროპელებთან ურთიერთობა არც ისე ადვილია, მაგრამ მათ იციან, რასაც აკეთებენ. მოდი, დავანებოთ თავი სინგაპურობანას თამაშს და სერიოზულად დავინყოთ ოცნლიან მოგზაურობაზე ფიქრი. საბოლოოდ, ჩვენ სამი რამ გვჭირდება: უსაფრთხოება, დემოკრატია და ეკონომიკური სტაბილურობა და ყველა მათგანის გასაღები ევროკავშირის უჭირავს. **□**



■ მაღლობა მინდა გადავუხადო მათ, ვისაც არ დაეზარათ და სტატიის კითხვა დაიწყეს. ჯილდოდ მე შემოგთავაზებთ იმის ახსნას, თუ რას ნიშნავს დამაბნეველი და რუტინული მოლაპარაკებები ევროკავშირთან და რამდენად არის ეს საქართველოსთვის მნიშვნელოვანი.

გვარებს, მაგრამ საბოლოოდ, ევროკავშირს მათი გადაჭრა მაინც შეუძლია. თუ უახლოეს ათწლეულებში საქართველო ინსტიტუციურად საკმარისად ძლიერი იქნება იმისთვის, რომ ევროკავშირს შეუერთდეს, არც ერთი ევროპული წევრი არ დაადებს ვეტოს საქართველოს ნატოში განკვეთებას და ამგვარად, საქართველოსთვის რუსეთის პრობლემაც მოგვარდება. საქართველო რომ ევროკავშირში მიიღონ, მისი მთავრობა რამდენიმე კონკურენტული არჩევნებით მშვიდობიანად უნდა შეიცვალოს. არავინ ამბობს, რომ დღეს საქართველო დემოკრატიული ქვეყანა არ არის, მაგრამ სანამ საქართველოში მსგავსი პოლიტიკური ცვლილება არ მოხდება, იქამდე მსოფლიო საბოლოო მოსაზრების გამოთქმისგან თავს იკავებს. თუ საქართველო მიეპმება ევროკავშირის ბაზარს, მათ შორის, მუშახელის თავისუფალი გადაადგილების თვალსაზრისითაც, ეკონომიკური

ეკონომიკის დერეგულაციაა. ისინი მიიჩნევენ, რომ დერეგულაციის პოლიტიკა მოიტანს უამრავ ინვესტიციას, ეკონომიკური ზრდა არანორმალურ მასშტაბებს მიაღწევს და საქართველოს ევროკავშირი აღარ დასჭირდება. ეს არის „საქართველო, როგორც სინგაპური“ მოდელი და ეს მოდელი სულელურია. ეს ჯგუფი ასევე პრეტენზიას გამოთქვამს იმაზეც, თუ როგორ ექცევა ევროკავშირი საქართველოს და ეუბნება ბრიუსელს, რომ მან საქართველოსთან ახალი მიდგომა უნდა სცადოს. რთული არ არის იმის გაცნობა, თუ რას ფიქრობს ამაზე ბრიუსელი...

ბევრი მიზეზი არსებობს იმისა, თუ რატომ არის საქართველოსთვის ეს იდეა მცდარი და ამავე დროს, საშიშიც. პირველ რიგში ის, რომ ევროკავშირი გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე უბრალოდ რეგულაციებს. მისმა რეგულაციებმა რეალურად იმუშავა. ევროზონის პრობლემა არ იყო

ხოსა სამოქალაქო პოზიციის სახეხისი ახ ახის



რატომ ასცდა საქართველოში პოლიტიკა და მორალი ერთმანეთს და როგორ შეიძლება ჩაკეტილი წრიდან თავის დაღწევა

გიორგი ცხალაია

5 ივნისს გაზეთ „24 საათში“ ილიას უნივერსიტეტის რექტორის – გიგი თევზაძის და ამავე უნივერსიტეტის პროფესორის – დავით აფრასიძის დიალოგი გამოქვეყნდა. ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი ადამიანები (მათ შორის, მეც) გააღიზიანა თევზაძისა და აფრასიძის მიერ სამოქალაქო პოზიციის არქონამ და ფსევდოობიექტური ანალიზის შემოთავაზებამ. არადა, ამ დიალოგში აშკარად იკითხება ერთი რადიკალური იდეაც, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა და ქვეყანაში დემოკრატიული ცვლილებების მოსურნე ადამიანებმა (ან გიგი თევზაძისვე ტერმინოლოგიით თუ ვიტყვი, „ობიექტურებმა“) აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ.

სანამ ამ იდეის განხილვაზე გადავალ, დასაწყისშივე ვიტყვი, თუ რას არ ვეთანხმები თევზაძის და აფრასიძის დიალოგში. უპირველეს ყოვლისა, სადავო ცნებაა „ეროვნული კონსენსუსი“. თუ ამ ცნებაში იგულისხმება ერთი იდეის გარშემო „უკონფლიქტო“ გაერთიანება, მაშინ ეს ცნება საფრთხის შემცველია. რა თქმა უნდა, არ არსებობს „ეროვნული კონსენსუსის“ ერთი ვერსია და ყველა პოლიტიკურ ძალას თავისი მოსაზრება აქვს იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ქართული სახელმწიფო. პოლიტიკური პროცესი თავისთავად გულისხმობს „ეროვნული კონსენსუსის“ სხვადასხვა პროექტების დაპირისპირებას. ეროვნული კონსენსუსის მიღწევა დინამიკური პროცესია და არა სტატიკური. სტატიკური იქნებოდა იმ შემთხვევაში, ასეთი პროექტი მხოლოდ საქართველოს ხე-

ლისუფლებას რომ ჰქონდეს და ყველა დანარჩენი ძალა იძულებით ეთანხმებოდეს.

არ ვეთანხმები იმასაც, რომ „ობიექტური“ ადამიანები (ანუ ისინი, ვინც 26 მაისის მოვლენებს ნეიტრალური პოზიციიდან აფასებდნენ) რუსეთის დასაყრდენია. თევზაძე აღნიშნავს, რომ მართალია, ეს ადამიანები რუსეთის აგენტები არ არიან, მაგრამ „თავისი ქმედებით ისინი უარს ამბობენ მონაწილეობაზე ეროვნული იდეის შექმნაში, შედეგად, ისინი თავისი აქტიური არ-მონაწილეობით, მხარს უჭერენ ამ ეროვნული კონსენსუსის საპირისპირო იდეას – სახელმწიფოს არარსებობას“. დიალოგის დასაწყისში გიგი თევზაძე დაჟინებით ამტკიცებს, რომ მისი მიზანი მოვლენების ახსნა და არა შეფასება. ამავე დროს, თევზაძის ეს და მსგავსი ფრაზები იმდენად ოდიოზურია, რომ ხშირ შემთხვევაში ჟღერს, როგორც ხელისუფლების უკვე გადადგმული ან პოტენციური ნაბიჯების გამართლება და არა, როგორც უბრალოდ მოვლენების მეცნიერული ახსნა.

მსგავსი ფრაზები სამართლიანად იწვევს იმ ადამიანებს აღშფოთებას, რომლებიც გიგი თევზაძისგან, როგორც ხელისუფლების მხარდამჭერისგან, სამოქალაქო პოზიციის დაფიქსირებას და მოვლენების ღიად შეფასებას ითხოვენ. რა თქმა უნდა, ეს ადამიანები მორალური და ზნეობრივი თვალსაზრისით მართლები არიან, როდესაც თევზაძეს მსგავს მოთხოვნებს უყენებენ, მაგრამ ჩემი აზრით, არც თევზაძე ცდება, როდესაც ამბობს, რომ მსგავსი მოთხოვნე-

ბის წამოყენება მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების პოზიციიდან არასერიოზულია. სწორედ ეს არის ის მთავარი რადიკალური იდეაც, რომელიც თევზაძემ და აფრასიძემ წამოსწიეს და რაზეც „დამოუკიდებელი პოზიციის“ ადამიანებმა სერიოზულად უნდა იფიქრონ.

ამ იდეის არსი ისაა, რომ დღესდღეობით მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების პოზიციიდან მოვლენების შეფასება აღარ კმარა და პოლიტიკაში აქტიური ჩაბმაა საჭირო. დღევანდელი საქართველოს მთავარი პოლიტიკური პრობლემა ის არის, რომ მმართველი გუნდის გარდა სერიოზული პოლიტიკური აქტორები არ არსებობენ. სწორედ ეს მდგომარეობა აძლევს თევზაძეს და აფრასიძეს იმის საშუალებას, რომ თავიანთი მოქალაქეობრივი პოზიციის არქონა გაამართლონ. კითხვაზე, თუ რატომ არ გამოთქვამენ პროტესტს ხელისუფლების მიერ ძალის გადამეტებაზე, მათი პასუხი სტანდარტულია: იმიტომ, რომ არ არსებობს დემოკრატიული ოპოზიცია, ხოლო ზურჯანაძეს დემოკრატია არ უნდა. მეორე კითხვაზე, რომ მაშინ რატომ არ უერთდებიან სამოქალაქო საზოგადოების პროტესტს, ისინი პასუხობენ, რომ სამოქალაქო საზოგადოების პოზიცია თავისი არსით აპოლიტიკურია და ე.წ. „ობიექტური“ ადამიანები მხოლოდ სახელმწიფოს პოზიციას აკრიტიკებენ და პოლიტიკურ პასუხისმგებლობას თავიანთ თავზე არ იღებენ (ანუ განზე დგებიან).

ეს ის შემთხვევაა, როდესაც თევზაძის მიერ სამოქალაქო პოზიციის ვითომ არქონა მორალურად გაუმართლებელია

„ვიტომ არქონა“ იმიტომ, რომ სინამდვილეში, თევზაძეს პოზიცია აქვს – ის, როგორც თავადვე აცხადებს, ხელისუფლების მხარდამჭერი, მაგრამ თან პოლიტიკურად გამართლებულია. იმის გამო, რომ საქართველოში პოლიტიკა და მორალი კარგა ხანია, ერთმანეთს არ ემთხვევა, ასეთი პოზიციის არსებობაც ანომალიად არ უნდა მივიჩნიოთ. ანალოგიურად, ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი ადამიანების ნაწილიც მხარს უჭერს ისეთ პოლიტიკოსებს, რომლებსაც ცუდი რეპუტაცია აქვთ, მაგრამ პოლიტიკურად მომგებიან სიტუაციაში არიან.

მორალსა და პოლიტიკას შორის ასეთი აცდენა თანამედროვე საქართველოს ფუნდამენტური პრობლემაა. ძალიან შორს რომ არ წავიდეთ, ამ პრობლემის განხილვა „ვარდების რევოლუციის“ წინა პერიოდიდან უნდა დავიწყოთ. ამ პერიოდში (2000-2003 წლებში) სამოქალაქო აქტივისტები სულ უფრო და უფრო მძაფრად აკრიტიკებდნენ შევარდნაძის რეჟიმს. მათ ჰქონდათ მორალური პოზიცია, მაგრამ არ ჰქონდათ პოლიტიკური პლატფორმა. ცოტა ხანში პოლიტიკური პლატფორმა გამოჩნდა სააკაშვილი-ბურჯანაძე-ყვანას ალიანსის სახით და სამოქალაქო კრიტიკამ რეალური პოლიტიკური გამოძახილები ჰპოვა. ამ დროს თითქმის პირველად საქართველოს უახლეს ისტორიაში მორალი და პოლიტიკა ერთმანეთს დაემთხვა.

მორალსა და პოლიტიკას შორის ხელახალი აცდენა მაშინ მოხდა, როდესაც შევარდნაძის ხელისუფლების მძაფრი პოლიტიკური კრიტიკის შედეგად, რევოლუციის გზით, ყოფილი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები თავად აღმოჩნდნენ ხელისუფლებაში. მათ დაეწყათ გაორება: მათ, ერთი მხრივ, უნდა ეკეთებინათ პოლიტიკა, თუმცა ისინი ამავე დროს ვერ შეძლებდნენ მორალური და სამოქალაქო პოზიციის დაკავებას, ვინაიდან ავტორიტარულ სისტემაში შეუძლებელია, ერთდროულად იყო ხელისუფლების მხარდამჭერი საჯარო პირი და თან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი. სააკაშ-

ვილის მხარდამჭერების ნაწილი ამ წინააღმდეგობას თავიდანვე ჩასწვდა და მაშინვე ოპოზიციაში გადავიდა (მაგალითად, „რესპუბლიკელების“ ნაწილი), მეორე ნაწილი ჯიუტად აგრძელებდა ერთდროულად ყოფილიყო ხელისუფლების მხარდამჭერი და სამოქალაქო საზოგადოება (მაგალითად, გია ნოდია, გიგი თევზაძე, დავით აფრასიძე და ა.შ.), ხოლო მესამე ნაწილმა კი, უბრალოდ, გადანწყვიტა, რომ ბევრი ტვინის ჭყლეტა საჭირო არ იყო და უბრალოდ, ხე-

■ შესაძლოა, რუსეთის დასაყრდენი ვართ სწორედ იმიტომ, რომ გიგი თევზაძეს ვაძლევეთ საშუალებას, ფსევდო ობიექტურ ფარისევლებლად წარმოგვაჩინოს და ამით ხელისუფლების და ხელისუფლების მხარდამჭერების ნაწილის ამორალური პოზიცია (თუ პოზიციის არქონა) გაამართლოს.

ლისუფლება თავის სასარგებლოდ უნდა გამოეყენებინა. საბოლოოდ, მივიღეთ ისეთი სიტუაცია, რომ იმ ნაწილმაც, რომელსაც ჯერ კიდევ ჰქონდა პრეტენზია, რომ შესაძლებელი იქნებოდა ავტორიტარულ სისტემაში ერთდროულად ყოფილიყო ხელისუფლების მხარდამჭერიც (და ზოგიერთ შემთხვევაში, ხელისუფლების ნაწილი) და ამავდროულად, ჰქონოდა სამოქალაქო პოზიცია, მორალზე აპელირება შეწყვიტა (დავით აფრასიძე: „არც მორალურ-ზნეობრივი შეფასებები უნდა იყოს დღეს ჩვენი ამოცანა, რადგან სოციალურ რეალობაში განვითარებულ პროცესებს და

დამდგარ შედეგებს ნეიტრალური ახსნა ესაჭიროება.“ გიგი თევზაძე: „ჩვენ გვაქვს გამოცდილება და ცოდნა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში, ცოტა სხვა მეცნიერებებშიც და ამიტომ ვფიქრობ, შეიძლება ვცადოთ დიალოგი, რომლის მიზანი არ იქნება არც ვინმესთვის მხარდაჭერა, ანდა, შეფასება“).

ქართული სამოქალაქო საზოგადოება კი დღეს იმავე პოზიციაში დგას, რომელშიც გიგი თევზაძე, გია ნოდია და დავით აფრასიძე – ჯერ კიდევ არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობისას. მაშინ ისინი აკრიტიკებდნენ შევარდნაძის რეჟიმს, მათ ხელში იყო მორალური და „სამოქალაქო“ სიმართლე, მაგრამ მათ არ ჰქონდათ პოლიტიკური პასუხისმგებლობა. დღეს სწორედ ანალოგიურ სიტუაციაში იმყოფებიან ის ადამიანები, ვისაც აქვთ სწორი მორალური პოზიცია და არ აქვთ პოლიტიკური პლატფორმა.

ეს ადამიანები შესაძლოა, რუსეთის დასაყრდენს წარმოვადგენთ იმდენად, რამდენადაც ვაძლევეთ უფლებას, ერთი მხრივ, ხელისუფლებას, რომ დაარღვიოს კანონი და მეორე მხრივ, ოპოზიციას, რომ იყოს უპასუხისმგებლო. შესაძლოა, რუსეთის დასაყრდენი ვართ სწორედ იმიტომ, რომ გიგი თევზაძეს ვაძლევეთ საშუალებას, ფსევდო ობიექტურ ფარისევლებლად წარმოგვაჩინოს და ამით ხელისუფლების და ხელისუფლების მხარდამჭერების ნაწილის ამორალური პოზიცია (თუ პოზიციის არქონა) გაამართლოს.

ერთადერთი გზა, რომ ამ ჩაკეტილი წრიდან გამოვალნიოთ, პოლიტიკური ბრძოლის გააქტიურებაა. ეს გულისხმობს, პირველ რიგში, იმ ოპოზიციური პარტიების გაძლიერებას, რომლებსაც აქვთ პრინციპული, დასაბუთებული, მორალურად გამართლებული და თანმიმდევრული პოზიცია. დღეს ჩვენ ვდგავართ სწორედ იმ გადამწყვეტ ზღვარზე, რომლის გადალახვის შემთხვევაშიც, შესაძლებელი იქნება სისტემის თვისობრივი ცვლილება. ამიტომ, ოპოზიციურ პარტიებს და მათ მხარდამჭერებს მოგინოდებთ, იყოთ პოლიტიკურად უფრო მეტად აქტიურნი. **■**

პეპე



მეგობრების წრიდან აუცილებლად გამოჩნდება ვინმე „ვირუსის მატარებელი“, რომელიც რამე ჩანანერს გაგიზიარებს, გადმოიწერ, მოგეწონება და მერე სახლში ათასჯერ მაინც მოუსმენ.

ვახო ხვიჩია

„ლიბერალში“ სხვადასხვა მუსიკოსებზე ვწერ. ფონად მათ ტრეკებს ვრთავ და სათქმელიც წყალივით მოდის ხოლმე. ამჯერად, „სინდიკატის“ საოცრად მშვიდი თემა („Indiscretions“) შევარჩიე შტუდგარტის 1997 წლის ლაივიდან, თუმცა, მაინც ველავ. ამ უჩვეულო „მანდრაჟის“ მიზეზი კი მეტად მარტივი გახლავთ – ჯო ზავინული ჩემი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი არტისტია. შესაბამისად, ტექსტიც მას რომ ეკადრება, ისეთი მინდა, გამოვიდეს.

ამ ტიპის სტატიებში, ბიოგრაფიის თხრობას ბავშვობის პერიოდიდან იწყებენ, რაც, ხშირ შემთხვევაში, მძიმე მოსასმენია (რამდენიმე გამონაკლისის გარდა). პატარას ან მოძალადე, ლოთი მამა ჰყავს, ან მეძავი, მაგრამ შვილებზე გადაყოლილი დედა. იმ მუსიკოსებსაც ახსენებენ, რომელთა შემოქმედებამ ბავშვზე უდიდესი გავლენა მოახდინა და შემოქმედებითი მომავალიც განუსაზღვრა (როგორც წესი, ამგვარ მუსიკას პატარას ან მექალთანე ბიძა ან მეზობლის ებრაელი იუველერი ასმენინებს ხოლმე).

ჯოზეფ ზავინულის შემთხვევაში კი ასეთი ამბავია – იგი ვენაში დაიბადა. მამა უნგრელი ძალოსანი კაცი გახლდათ, დედა – ავსტრიელი დიასახლისი და ამავე დროს, „იოდლის“ (იქაური „კრიმანჭული“) უბადლო შემსრულებელი. აი, ბოშა ბებიას კი „ჩარტყმა“ უყვარდა, „სლივოვიცას“ გადაჰკრავდა ხოლმე და 5 წლის შვილიშვილთან ერთად რომანსებს ლილინებდა. პატარაც აკორდეონზე დაკვრით უერთდებოდა საერთო ოჯახურ მხიარულებას, თუმცა, ვინ დააცადა? ომი დაიწყო და ნაცისტებმა „ჰიტლერიუგენდში“ უკრეს თავი, შენგან მაგარი ნაღმმტყორცნელი დადგებო. მერე ერთ ჭირს მეორე ჩა-

ენაცვლა – დაბომბულ ქალაქში წითელი არმია შევიდა. შიმშილით რომ არ დახოცილიყვნენ, 11 წლის ბიჭი მამას გვერდში ამოუდგა და რისკზეც ბევჯერ

ვატორიაში ჩააბარა კომპოზიციის ფაკულტეტზე, ბერკლის კოლეჯის სტიპენდიანტიც გახდა და 1958 წელს ამერიკაშიც გადასახლდა. თუმცა, სწავლა



წავიდა – ბოშური სისხლის წყალობით, „ციგანი მაიმუნი“ რუსებს ცხენებს თვალსა და ხელს შუა ჰპარავდა, კლავდა და ხორცი ოჯახში მიჰქონდა. რამდენიმე თანატოლი საკუთარი ხელითაც დაუმარხავს. სწორედ ის ბავშვობის მეგობრები „პეპე“ რომ შეარქვეს. ამ წლებს მოგვიანებით სიმფონიასაც – „Stories Of Danube“ (დუნაის ნაამბობი) მიუძღვნის, რომელიც კლასიკური მუსიკის, ჯაზისა და ეთნო-ფიუჟენის ერთ მოთხრობილი ტკივილნარევი მოგონებაა.

ომის შემდეგ პეპემ ვენის კონსერ-

მალევე მიატოვა, ბენდებში დაკვრა არჩია – როგორც პიანისტი და კომპოზიტორი უფრო მალე გაეზრდებო. ასეც მოხდა – ნიჭიერი ევროპელი ჯერ საქსოფონისტ ქენონბოლ ედერლიმ მიიპატიჟა თავის კვინტეტში, სადაც ულამაზესი კომპოზიცია „Mercy, Mercy, Mercy“ შექმნა, შემდეგ კი თავად უჟმურ მაილს დევისთან დაამტკიცა თავისი მაგარი ბიჭობა ლეგენდარული თემით „In a Silent Way“.

მესმის, რომ ბიოგრაფიის კითხვა ცოტა მოსაწყენი საქმეა, განსაკუთრებით იმ მკითხველისათვის, ვისაც ჯაზი


არ უყვარს. ამიტომ მცირე ლირიკულ გადახვევას გავაკეთებ და ჩემსასაც გეტყვით. ჯერ იმ პროცესს აღვწერ, როგორ ავადდებიან ჯაზური მუსიკით სიყმანვილეში. ერთ-ერთი კლასიკური სქემა ასე გამოიყურება: მეგობრების წრიდან აუცილებლად გამოჩნდება ვინმე „ვირუსის მატარებელი“, რომელიც რამე ჩანაწერს გაგიზიარებს, გადმოიწერს, მოგეწონება და მერე სახლში ათასჯერ მაინც მოუსმენ. უკვე ინფიცირებული, დამოუკიდებლად იწყებ ზღაპრულ სამყაროში მოგზაურობას – ალბომებისა თუ პოსტერების შეგრო-


ვებას. ამ პროცესში შენს ირგვლივ არსაიდან მოსული შენისთანა მანიაკები იკრიბებიან და ჯაზური სექტაც ყალიბდება. ფიროსმანის არ იყოს, დიდ „სტოლზე“ სამოვარი, ბევრი ჩაი და გაუთავებელი საუბრები ხელოვნებაზე... ზოგჯერ უაზროც, რომელი ბასისტი, პიანისტი თუ გიტარისტი უფრო მაგარია... ამ ყაყანში კი, ესა თუ ის მუსიკოსი ისე შეუმჩნევლად გიყვარდება, ხანდახან გგონია, რომ ბავშვობიდან იცნობ. შენი ძმაკაცი ხდება, ზოგჯერ – ოჯახის წევრიც. ჰოდა, პეპეც ასე იქცა ჯერ მეგობრად, მერე ახლო

ნათესავად და ბოლოს, ლამის შვილიც მოვანათვლინე.

ე.წ. ზავინულიზაცია „Weather Report“-ით დამეწყო, რომელიც პეპემ 1970 წელს საქსოფონისტ უეინ შორტერთან ერთად შექმნა. ანსამბლის მუსიკამ ახალგაზრდა კაცი ისეთ დღეში ჩამაგდო, პეპესავით სინთეზატორში გატარებული ელექტრონული ხმით ვმეტყველებდი. ბენდში კიდევ ერთი გენიალური კაციც გემასსოვრებათ – ჯაკო პასტორიუსი, რომლის სიგიჟის წყალობით, ბასგიტარაზე დაკვრის სწავლაც მოვინდომე. თუმცა, მალევე გადავიფიქრე, რადგან ასე დაკვრა მხოლოდ „იმბეცილებს“ თუ შეუძლიათ.

გადაპრანჭულ ეპითეტებს სულ ვერიდები, მაგრამ პეპეს ლაღმა, სინათლითა და სიკეთით საგსე მუსიკამ რელიგიურ ექსტაზში ჩავარდნილ ფანატიკოსად მაქცია. საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩემმა ცოლმა ერთხელაც მომაძახა – ან მე, ან ზავინულიო! მოგესხენებათ, ამქვეყნად უამრავი კარგი ქალია, კარგი ცოლი კი – არცთუ ბევრი. ლიკაც სწორედ ასეთი კარგი ცოლია და რა თქმა უნდა, მას ვირჩევ. ეს თავადაც მშვენივრად იცის, თუმცა, ყურადღებას მაინც არ ადუნებს, ოჯახი არ მივატოვო და სადმე არ გავიქცე „აღმოსავლური ექსპრესით“ („Orient Express“ – არანორმალურად პოზიტიური ენერჯის მომცემი თემა 1996 წლის ალბომიდან „My People“).

პეპეს ნებისმიერი ამბის მუსიკის ენაზე გადმოცემა შეეძლო. მისი გენიალურობა კი იმაში მდგომარეობს, რომ ეს ენა ყველას მშვენივრად ესმის, მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, მიუხედავად ეროვნებისა თუ კანის ფერისა. ალბომი „My People“ („ჩემი ხალხი“) სწორედ ასეთი ნაამბობია, მთხრობელები კი – „პეპეს ბიჭები“: კამერუნელი ბასისტები, პუერტო რიკოელი პერკუსიონისტები, ბრაზილიელი, ინდოელი გიტარისტები, ვოკალისტები მაროკოდან, მალიდან, სომხეთიდან, დრამერები პერუდან, ამერიკიდან და სპილოს ძვლის ნაპირიდან... ყველა თავისი ეროვნული ხასიათითა თუ კულტურის ფერით. რამდენიმე ამ ფერზე უკვე „ლიბერალის“ შემდეგ ნომერში მოგიტხრობთ. 



iCloud-iPhone-ის ნაცვლად



Apple-ის დამფუძნებელმა სტივ ჯობსმა შევუღლება კიდევ ერთხელ შეწყვიტა და სან-ფრანცისკოში გამართულ კონფერენციაზე ახალი სერვისი iCloud პირადად წარადგინა. iCloud-ის საშუალებით მომხმარებლებს მონაცემების ინტერნეტში შენახვის საშუალება ექნებათ. ჯობსის თქმით, ინფორმაციასთან მუშაობა ახალ ეტაპზე გადადის. ამიერიდან ადამიანი აღარ იქნება დამოკიდებული კომპიუტერსა თუ სმარტფონზე და მთავარ როლს მის ციფრულ სამყაროში iCloud შეასრულებს. „ამ დრომდე, როდესაც iPhone-თ სიმღერას ვყიდულობდი, iPad-ზე მის მოსასმენად ტელეფონი კომპიუტერისთვის უნდა შემეერთებინა და შემდეგ იგივე მელოდია პლანშეტში ხელახლა ჩამეწერა. რა თქმა უნდა, ეს ძალიან მოუხერხებელი იყო, ახლა კი პრობლემა უკვე აღარ არსებობს“, – აღნიშნა ჯობსმა.

iCloud-ის დახმარებით მომხმარებლებს შეუძლიათ მუსიკალური ფაილები, კონტაქტები, კალენდარი და ფოსტა არა რამდენიმე მოწყობილობაში, არამედ ვირტუალურ სერვერზე შეინახონ. სერვისი უფასოა და იგი საშუალებას იძლევა, მონაცემების გადატანა სერვერზე ყველა ტიპის მოწყობილობიდან მოხდეს. თუ ადამიანი წიგნს მობილური ტელეფონით იყიდის, მას იგივე წიგნის წაკითხვა სახლის კომპიუტერთაც შეეძლება. კომპანიის პროდუქტების მომხმარებლები Apple-ის ინტერნეტ-სერვერებზე 5 გიგაბაიტთან სივრცეს მიიღებენ.

Worldwide Developers Conference Apple-ის ერთ-ერთი უმსხვილესი საზოგადოებრივი ღონისძიებაა. გასული წლის კონფერენციის მთავარ აღმოჩენად კომპანიის ბესტსელერი iPhone 4 იქცა. წელს კი ძირითადი მოვლენა სცენაზე სტივ ჯობსის გამოჩენა იყო, რომელიც იანვარში მძიმე ავადმყოფობის გამო

შევუღლებაში გავიდა. საზოგადოება iPhone-ის მორიგი ვერსიის წარდგენას წლევანდელ ღონისძიებაზეც ელოდა, თუმცა სტივ ჯობსს მის შესახებ არაფერი უთქვამს. ამ დრომდე კომპანია პოპულარული სმარტფონის ახალ მოდელს ყოველთვის იენის-ივლისში წარადგენდა. ამჯერად კი მხოლოდ ოპერაციული სისტემა Mac OS X 10.7 Lion-ის გამოსვლა დაანონსდა.

„ჭკვიანი ტელევიზორები“ – ახალი მოდა

„ჭკვიანი ტელევიზორები“ ვებკამერით, Skype-ით და მოძრაობის დეტექტორებით ტელევიზორების ინდუსტრიის ახალი მოდაა. ექსპერტები ამბობენ, რომ პირველი ასეთი მოწყობილობები 2012 წლის ბოლოს გამოვა, რამდენიმე წლის შემდეგ კი მასობრივად გავრცელდება.

მწარმოებლები სულ უფრო აქტიურად ცდილობენ ტელევიზორების ინტერაქტიურ მოწყობილობებად გარდაქმნას და მათთვის ინტერნეტ-სერვისების დამატებას. შესაბამისად, ძალიან მალე მათი ფუნქციონალი თანამედროვე სმარტფონის შესაძლებლობებს გაუტოლდება. Skype-ით სარგებლობა უკვე შესაძლებელია Samsung Electronics-ის, Panasonic-ის, LG Electronics-ის, Sony-სა და სხვა კომპანიების ტელევიზორებით, თუმცა მომხმარებელს მომსახურების მისაღებად აუცილებლად სჭირდება ვებკამერა, რომელიც კომპიუტერის ვებკამერებთან შედარებით საკმაოდ ძვირი ღირს.



ახალი PlayStation

Sony-მ ახალი პორტატული PlayStation Vita დააანონსა. სათამაშო ფუნქციებთან ერთად მოწყობილობას მობილური კამერა, Wi-Fi და სხვადასხვა სოციალური და საკომუნიკაციო ვებსერვისები ექნება. კომპანია PlayStation Vita-ს გაყიდვების დაწყებას წლის ბოლოს გეგმავს. „ჩვენი მიზანი იყო ერთ მოწყობილობაში ინტერაქტიური გართობა და კომუნიკაციის შესაძლებლობები გაგვეერთიანებინა. ამასთან, მომხმარებლებისთვის მიგვეცა საშუალება, მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან კიდევ უფრო ახლოს ყოფილიყვნენ, როგორც ერთმანეთთან, ისე სათამა-



შო პროცესთან. კომპანიას სურს, სათამაშო მოწყობილობებზე არსებული ტრადიციული შეხედულებები PlayStation Vita-ს დახმარებით შეცვალოს“, – ნათქვამია Sony-ს განცხადებაში.

Sony-ს ექსკლუზიური მობილური პარტნიორი ამერიკაში AT&T იქნება. PlayStation Vita Wi-Fi-ს მხარდაჭერით 249 დოლარი ეღირება, 3G-სა და Wi-Fi-ს მხარდაჭერით კი -299 დოლარი. PlayStation Vita აღჭურვილია ინტეგრირებული კამერებით, სენსორული ეკრანითა და ორი ჯოისტიკით.

3D ვიდეო YouTube-ზე

3D გამოსახულება კინოთეატრებიდან სახლში და მობილურ მოწყობილობებში გადადის. YouTube-მა სამგანზომილებიანი ვიდეოს ტრანსლირება დაიწყო. სერვისი, ჯერჯერობით, მხოლოდ მილიონამდე მომხმარებლისთვისაა ხელმისაწვდომი, თუმცა ექსპერტების თქმით, სამგანზომილებიანი გამოსახულება ამჟამად მხოლოდ კინოთეატრებთან ასოცირდება, ვიდეოპორტალის ახალი ინიციატივა კი



ხელს შეუწყობს მის მასობრივ განვითარებას.

იმ ვიდეორგოლების რაოდენობა, რომელთა ნახვაც 3D-შია შესაძლებელი, მუდმივად იზრდება. მათ შორისაა, არა მარტო პროფესიული, არამედ ჩვეულებრივი მომხმარებლების მიერ გადაღებული რგოლებიც. სამგანზომილებიანი გამოსახულების სანახავად კომპიუტერს Nvidia-ს 3D Vision ტექნოლოგიის მხარდაჭერა უნდა ჰქონდეს. ამას გარდა, მომხმარებელი Firefox4-ით უნდა სარგებლობდეს.

პირველად YouTube-ზე სამგანზომილებიანი ვიდეოს ნიმუშები 2009 წელს გაჩნდა. მას შემდეგ კომპანიამ 3D-ს მმართველობით თანამშრომლობა კონტენტის რამდენიმე მომწოდებელთან დაიწყო.

Facebook + მუსიკა



Facebook მუსიკალური მომსახურების გაშვებისთვის ემზადება. სოციალური ქსელი სიახლეზე ევროპულ მუსიკალურ სერვისს Spotify-

-სთან ერთად მუშაობს. გავრცელებული ინფორმაციით, მომსახურების ამოქმედების შემდეგ, იუზერების პროფილზე, ლონისდიებების მხარეს ლილაკი Spotify გაჩნდება. მომხმარებლებს კი დამატების ჩამოტივრთვა და Spotify-ს არქივში არსებული კომპოზიციების უფასოდ მოსმენა შეეძლება. ჯერჯერობით, უცნობია სერვისის სახელწოდება. ვარაუდობენ, რომ მას Facebook Music ან Spotify on Facebook ერქმევა.

ანალიტიკოსები ამბობენ, რომ Spotify-თან თანამშრომლობა Facebook-ისთვის ლეგალური მედიაკონტენტის

განთავსების სტრატეგიის ერთ-ერთი ნაწილია. მიმდინარე წლის მარტში სოციალური ქსელით საკუთარი ფილმების ონლაინ-გაქირავება Warner Bros-მაც დაიწყო.

3D აპრანინი ნოუტბუქი Samsung-ისგან

Samsung-მა ახალი ნოუტბუქი Samsung RF712 წარადგინა. კომპანიაში ამ-



ბობენ, რომ მოწყობილობა აღჭურვილია 17,3 დიუმიანი Full HD დისპლეი SuperBright Plus-ით, რომელიც 80%-ით მკვეთრია ჩვეულებრივი ნოუტბუქის ეკრანზე. ამას გარდა, ნოუტბუქის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა 2D-ს 3D-ში კონვერტაციის საშუალებას იძლევა. Samsung RF712 აწყობილია Intel Core i5 2410M 2.3 -ის ბაზაზე და აღჭურვილია Bluetooth 3.0 და Wi-Fi 802.11b/g/n მოდულებით.

ViewSonic პლანშეტების ბაზარზე

იენისის ბოლოს ViewSonic საკუთარი პლანშეტის ViewBook 730-ის გაყიდვას



ინყებს. ViewBook 730 7 დიუმიანი დისპლეით, ARM Cortex-A8 პროცესორითა და 512 მეგაბაიტიანი მეხსიერებითაა აღჭურვილი. გაჯეტი Android 2.2-ის ბაზაზე მუშაობს.

ViewSonic-ის პლანშეტს Wi-Fi-სა და Bluetooth-ის მხარდაჭერაც აქვს. მისი შეძენა 250 დოლარად იქნება შესაძლებელი.


Christian Dior-ის ტელეფონები კალაბრონებს

Christian Dior-ის მობილური ტელეფონების ხაზს სამი ახალი მოდელი შეემატა. სამივე მათგანი კალაბრონებისთვისაა განკუთვნილი. ტელეფონების კორპუსები მთლიანად კერამიკისგანაა შექმნილი და შავ-თეთრ ფერებშია გადაწყვეტილი. გაჯეტები კომპანია ModelLabs-თან თანამშრომლობით შეიქმნა. აღსანიშნავია, რომ მათი აწყობა ხელით ხდება.

თითოეულ მოდელს დახვეწილ დიზაინთან ერთად ექსკლუზიური კონტენტი – ინტერფეისი, ვიდეო და ზარები მოჰყვება. მათი გამოყენება



MP3 პლეერის სახითაცაა შესაძლებელი.

Christian Dior-ის მოდის სახლმა მობილური ტელეფონების წარმოება 2008 წელს დაიწყო. ახალი მოდელების ფასი, ჯერჯერობით, არ სახელდება, არც ის არის ცნობილი სად და როდის დაიწყება ტელეფონების გაყიდვა. Christian Dior-ის იმ მობილურების ფასი, რომელთა შეძენაც ამჟამადაა შესაძლებელი, 5-დან 20 ათას ევრომდე მერყეობს. 

მოამზადა ნინო ნატროშვილმა.

აზვისტოს ხინემატობხაფიუი ნათი



შერონ სტოუნის სურნელით და დამსხვრეული „ალფა მამრების“ იმედებით

დავით ბუხრიკიძე

გასაგებია, რომ უკვე შეუძლებელია და მოსაბეზრებელიც ორდღიანი „სტოუნისზაციის“ შესახებ რაიმეს წერა („ახლა ის ძველი თბილისის უბანში სეირნობს“, „პატარებთან ფოტო გადაიღო“, „ძველებური ხალიჩა შეიძინა“, „ბალი გარეცხა და შეჭამა“, „კაბა ორჯერ გამოიცვალა“). ისევე როგორც, სისულელეა საშუალო დონის „ბოევიკების“ ავტორსა და რეჟისორს – რენი ჰარლინს, „ავგისტოს 5 დღეში“ მხატვრულ-დოკუმენტური სიმართლე მოვთხოვოთ; ან პოლიტორექტული გამოთქმების სახიფათო ლაბირინთში მრავალგზის გამოვლილ ენდი გარსიას რაიმე პატრიოტული „ნამოვაცდევინოთ“... თუნდაც სამშობლოსათვის თავგანწირული სააკაშვილის როლის გავალისწინებით.

სხვათა შორის, კუბური წარმოშობის ჰოლივუდელი ვარსკვლავი საქართველოს პრეზიდენტის როლს ისეთი ჭარბი მონდომებითა და დამტკრეული ინგლისურით თამაშობს, თითქოს ნახევრად განსწავლული არაბი შეიხი ეს-ესაა ევროპული ცივილიზაციიდან სამშობლოს დაუბრუნდაო. არადა, სააკაშვილი ინგლისურს ნამდვილად არ ამტკრევს...რა არ სცადეს ჩვენმა ჟურნალისტებმა „რადისონში“ გამართულ პრესკონფერენციაზე, სიტყვაძეუნნი ენდი გარსია რომ აელაპარაკებინათ, მაგრამ ამაოდ. მხოლოდ სტანდარტული ფრაზები თქვა თავისუფლების შესახებ, ამერიკის „დამფუძნებელი მამების“ სტილში: „როგორც მსოფლიო მოქალაქე, პატივს ვცემ თითოეული ადამიანის უფლებას, იყოს თავისუფალი. არა აქვს მნიშვნელობა, საქარ-



კადრი ფილმიდან „ავგისტოს 5 დღე“

თველო იქნება, კუბა თუ ამერიკის შეერთებული შტატები. ეს არის ჩემი შეხედულება. აქ ჩამოვედი როგორც მსახიობი, თუმცა პირადად პატივს ვცემ და მჯერა აბსოლუტური თავისუფლების“.

ჩავლილი ისტერიულ-ისტორიული 5 ივნისის შემდეგ, რომლის ეპიცენტში, რუსთაველზე თითქმის მთელი დღე გავატარე – პრესკონფერენციის მოლოდინი „რედისონში“, ძალისხმევა აკრედიტაციისთვის, თითქოს შერონ სტოუნს კი არ გვენვია, არამედ დიდი ორსონ უელსი აღდგა მკვდრებით და ერთი დღით რუსთაველზე შემოიარა, ჯაფა წითელი ხალიჩის გვერდით, პანანინა კვადრატზე მოსახვედრად, პლუს თავად წითელ ხალიჩაზე ჩავლილი „ნაციონალური“ ბომონდის გარდერობის უნებლიე რევიზია – აღარ მაკვირვებს არც ძალითა და ყიჟინით გაკეთებული

ზეიმის მოლოდინი, არც სკეპტიკოსების ფრუსტრაცია და არც რიგითი დეპუტატის, კობა ნაყოფიას ოქროცურვილი შრომა. რომელსაც იმედა, მაღლიერი შთამომავლობა იმას მანც დაუფასებს, რომ 25 მილიონად მსოფლიოს რუსულ-ქართული ომის ხუთი დღე არა მარტო კინოთეატრ „რუსთაველში“ უჩვენა, არამედ ვალენსიაში, ლონდონსა თუ ნიუ-იორკში.

ჭაჭასთან და საქართველოსთან სამუდამოდ დამეგობრებული ფინელი რეჟისორის, რენი ჰარლინის შთამბეჭდავი პირუეტი წითელ ხალიჩაზე, არაფერია იმასთან შედარებით, რაც ფილმის შემდეგ რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში ხდებოდა: ფრაკებში საგანგებოდ გამოწყობილმა წესიერმა ქართველმა ბიზნესმენებმა საქველმოქმედო ვახშამი გამართეს და ამ მიზნით დაახლოებით 2 მილიონი გაიღეს.

თანაც, ამ დღისათვის მაროკოდან სპეციალურად ჩამოტანილი 5 ათასი ვარდის (?) ფონზე, რომელთაც ლამის პირველ საათზე, დიდი პურობის შემდეგ, მომსახურე პერსონალი უკვე დალილ და თეატრის კართან მოდარაჯე ჟურნალისტებს ურიგებდა.

მოკლედ, ათასობით დამჭენარი ვარდი, ჩვენი სტუმართმოყვარეობით გაოცებული სტოუნ-გარსია-ჰარლინი და მეგროვილი რამდენიმე მილიონი (რო-

მდაფრსიუჟეტიანი ტრილერია, რომელშიც სცენარიც და რეჟისურაც დაახლოებით ისეთივე დონისაა, როგორც თავად ჰარლინის „ეერკეტ კაკალში“, ან „რემბოს“ სერიალებში. მიუხედავად იმისა, რომ ეფექტურად არის გამოყენებული შენელებული კადრებიც, რეპორტაჟული სატელევიზიო თხრობაც და საბრძოლო ეპიზოდებიც. აღარაფერს ვამბობთ უამრავ აფეთქებაზე, რომელიც მდარე ხარისხის ფილ-

ბჭოთა ფილმებში. იქნებ მხოლოდ კინემატოგრაფი არ არის მთავარი და ჩვენსავით პატარა, ოკუპირებულმა ქვეყნებმა საერთაშორისო დახმარება საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად უნდა გამოიყენონ? თუნდაც იმიტომ, რომ თანაგრძნობა გავლევით იმ ათასობით იძულებით გადაადგილებული ქართველის მიმართ, რომლებმაც 2008 წელს თავისი სახლები დატოვეს...



გადასალები მოედანი – პრეზიდენტის სასახლე



ენდი გარსია, შერონ სტოუნი და რენი ჰარლინი ფილმის პრემიერაზე, თბილისი 2011

მელიც იმედია, აგვისტოს ომის დროს დაზარალებულთა ფონდში მალევე გადაირიცხება) – ის ხარკია, რომელიც ამ ფილმ-აქციისთვის ქვეყანამ გაიღო. თუმცა რეალურად რას ნიშნავს ეს „განწირული სულისკვეთება“ ცალკე და სამომავლო საუბრის საგანია.

წერდნენ, რომ შეურაცხყოფაა, როცა პრემიერას თავად ომის ისტორიის ნამდვილი და ტრაგიკული პერსონაჟები არ დაასწრეს. იმასაც ამბობენ, რომ ფილმის პრემიერაზე მოსაწვევები ზედმინუნებით სტერილურად განაწილდა და ისეთი უწესიერესი ოპოზიციონერებიც, როგორც ბატონი თორთლაძეა, პრემიერაზე ვერ მოხვდა. რამაც მისი „კანონიერი“ აღმოფხვრა გამოიწვია... თუმცა რაც არ უნდა დაწერონ, იმაზე უარესი მაინც ვერ იქნება, ვიდრე თავად ფილმია.

„აგვისტოს 5 დღე“ სტანდარტული

მებშიც უხვადაა. მთავარი სიუჟეტური ხაზი რუპერ ფრენდის პერსონაჟს უკავშირდება (ჟურნალისტი ტომას ანდერსი, რომლისთვისაც საქართველო ავღანეთისა და ერაყის ომების შემდეგ რიგითი „ცხელი წერტილია“). რუსული შეირაღებული ძალებისა და დაქირავებული ბოევიკების ინტერვენციის ფონზე, რალა თქმა უნდა, სასიყვარულო სიუჟეტი მაინც გამოკრთება: სიუჟეტის სიმდაფრისათვის, ამერიკელ ჟურნალისტს ქართველი გოგონა შეუყვარდება, რომელსაც ემანუელ შრიკი განასახიერებს.

ფილმის კრიტიკოსებს არც ის გამოჩენიათ, რომ რეჟისორს გარკვეული პოზიცია აქვს, ხოლო რუსული ექსპანსიონიზმი ისევე ყალბად და ზედაპირულად არის შეფასებული, როგორც გერმანელი ოფიცრები მეორე მსოფლიო ომის დროინელ სა-

მაგრამ, ეს პომპეზური აქცია, ფსევდო-კრუაზეტი და სანახაობა, პოლიუდის გარდასული დივა რა შუაში არიან. ნუთუ მხოლოდ ოპტიმიზმის გასაღვიძებლად; ან ხელისუფლებასთან ძალიან დაახლოებული 800 სტუმრისა და დეპრესიულ-დამსხვრეული „აღფა მამრების“ მოსაზიდად რუსთაველზე?

ფილმის შემდეგ, ჟურნალისტის შეკითხვაზე, „მოგეწონათ თუ არა ფილმი“, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან გახელაძემ „ისე, რაო“, – უპასუხა (მოდი და გაიგე რას ნიშნავს?); ტელენამყვანმა და მსახიობმა ია ფარულავამ კი განაცხადა: „ძალიან დამძიმებული გამოვედი... მრცხვენია კიდეც, რომ გრძელი კაბა მაცვია და ბრილიანტები მიკეთია“...

ასე იცის ნამდვილმა არტ-თერაპიამ და ძირითადად ინსტინქტმა!

პოლო



გიო ახვლედიანი

იმ დღეს პოლოზე მოვხვდი. ამინდიც კარგი დაემთხვა და საზოგადოებაც ფრიადი დაესწრო. როგორც წავიკითხე, კარგახანი იყო, შუა ლონდონში პოლო არ გამართულიყო და საერთოდაც პირველად გაიმართა ახლებური, საპარკო წესებით.

პოლო, მოგეხსენებათ, ცხენდაცხენ სათამაშო სპორტი. მხედარმა ყვანჯით ისე უნდა ჰკრას ბურთს, რომ როგორმე მეტოქის კარში გაიტანოს. პოლოს მოედნის სიგრძე ბარე სამას იარდს უნევს და მას სრულიად განსაკუთრებული ბუნების ცხენები სჭირდება, რომლებსაც თუმცა ჩვეულებრივი ცხენებია, მაინც პონის ეძახიან.

ოღონდაც, მე რომ პოლოს ვუცქირე, ის ეგრე მსუბუქად გადაკეთებული, პარკზე გათვლილი პოლო იყო, რაც მოსანონი შეიქნა. მთავარი სხვაობა დიდ პოლოსთან ის იყო, რომ სამი-სამზე თამაშობდნენ და მინდორიც სიგრძით არ აღემატებოდა ფეხბურთისას. ამ პოლოში ოთხი მეოთხედი იყო, თითო ექვსნახევარი წუთი სუფთა დროით. ანუ ჯამში, თამაში ოცდაექვს წუთს გრძელდებოდა. გოლებიც, იყო ორქულიანი, ხაზს იქიდან გატანილები და ერთქულიანი კიდევ ახლოდან. თამაშებს მაყურებლისთვის ერთი მხიარული კომენტატორი ახმოვანებდა და საერთოდაც, გარშემო მრავლად იყო საზოგადოების მოხდენილი ობიექტები, ქოლგები, კოქტილები, ლუდები და რა თქმა უნდა, პიმსი, რომლის გარეშეც აბა ამნაირი ღონისძიება როგორ ჩაივლის! პიმსი ტრადიციული ინგლისური კრუშონის საზავია, უფრო ტოლჩებით იყიდება ხოლმე და შიგა ყრია ყველაფერი, მარწყვით დაწყებული და კიტრით დამთავრებული, ყინულის გავლით. ფეხბურთის სტადიონზე ამ სასმელს ვერ შეხვდებით, მაგრამ ტრადიციულ ღიაღისქვეშა ღონისძიებებისას ძალიან მისასალმებელი სითხეა, განსაკუთრებით, თუ ამინდმა ივარგა და გარშემო თეთრი შარვლები, ჩალის შლაპები და მხიარული ფერის გრძელი კაბებიც შეიმჩნევა.

იმ დღეს კი, ეს ყველაფერი დაემთხვა. უფრო სწორად, პოლოს ტურნირი სამდღიანი იყო, თავისი ფინალით და ზედიზედ სამი მზიანი დღე კი დიდი საჩუქარია ლონდონისთვის. ორმა მაინც გაამართლა და პოლოც მშვენიერი გამოვიდა.

იქ მორკინალ გუნდებში, ერთი მოსკოვისაც კი ერია, რაც გაგაკვირვებდათ, მაგრამ იმაში იქ მომუშავე ინგლისელები თამაშობდნენ და არა რუსები. საერთოდ, ამ საქმეში წამყვანი ინგლისი და არგენტინაა, მაგრამ ასეთ ცხენბურთს



ბარე 70 ქვეყანა თამაშობს.

ასეთი საპარკო სანახაობა კი, ცხადია, მთელდღიანია და სრულიად განუმეორებელი დასვენებისა და ხალისის ბეჭედი ადევს. მე კიდევ ის გამახსენდა, თუ როგორი მონადინებით შემოდიოდა ახალი სპორტის სახეობები პერესტროიკის დროს. ფიზკულტურის ინსტიტუტის მინდორზე გამართული ბეისბოლის ვარჯიშებიც კი მინახავს. ამასწინათ კიდევ, ერთმა მეგობარმა მითხრა, ჩვენსა, საბურთალოში ინდოელი სტუდენტები კრიკეტს უჭახუნებენო. გავედი და ვკითხე, რა ქვია მაგ თამაშს-მეთქი და კრიკეტიო. კრიკეტი თბილისში აქამდე არავის უთამაშია. ერთი მახსოვს, კომუნისტების დროს უნივერსიტეტის ინგლისურის ფაკულტეტზე მასწავლებელი იყო მოვლინებული, კრის გრეიბოვსკი და იმან იპოდრომზე გაამართა კრიკეტის საჩვენებელი გაკვეთილი.

ჰოდა, აბა იპოდრომი ახლა სადღა არის?! სადაც ახალი მოზომილი, იქაც ნამყოფი ვარ, ლისზე, ოღონდ იქ არ ვიცი, რამდენი ათწლეული უნდა, რომ საცხენოსნო პარკს დაემსგავსოს. ამ პოლოზე ვიფიქრე, ეგებ ჩვენთანაც ვინმეს გაექნია-მეთქი ყვანჯი, კაი იქნებოდა. მაგრამ რა ვიცი. გარემოც ხო უნდა, თან. მართლა კარგი თამაშია, აგე, პრინცი ჩარლზი დღემდე უჭახუნებს. ■



ზაალ ანდრონიკაშვილი
Natural Born Conformist

ალბათ ნანახი გექნებათ მიხეილ სააკაშვილის წინასაარჩევნო კლიპი „მიშა მაგარია“ – ამ კლიპის რეჟისორის, მუსიკის ან ტექსტის ავტორის არც სახელი ვიცოდი, არც გვარი, კლიპს კი უბრალოდ კუროზად აღვიქვამდი. ოღონდ ცოტა ხნის წინ ერთ დისკუსიაში ამოვყავი თავი, სადაც უცნაური რამ შევიტყვე: პატივცემულ ლიფონავას – ეს ყოფილა კლიპის ავტორის გვარი – თავი ნონკონფორმისტი ჰგონებია.

ნინო გაიქვილის ბლოგი
ვანო ფიფიას დასაცავად

ახლა იმაზე, რასაც დათო ჩიხლაძე წერს და რის გამოც, ჩემი ფიქრით, მან ბოდიში უნდა მოუხადოს ვანო ფიფიას და „ლიბერალის“ გვერდის მკითხველებსაც – ვანო საწყალი არ არის! დათო ჩიხლაძემდე სოფო ნიჟარაძემ შესცოდა თავისი აშკარად ნაძალადევი ცრემლებით, მაგრამ ის, რაც დათო ჩიხლაძემ დაწერა ვანოს შესახებ, არამხოლოდ ერთ ადამიანს, „ნიჭიერის“ გამარჯვებულს აყენებს შეურაცხყოფას, არამედ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ჩვენს თანამოქალაქეებს და ზოგადად, ყველას, ვინც თვლის, რომ ჩვენ ყველანი, მიუხედავად ბევრნაირი განსხვავებებისა, თანასწორები და თანასწორუფლებიანები ვართ.

თეიმურაზ ქორიძის ბლოგი
18 დღე რეზერვში (ნაწილი მესამე)

უკვე კვირაზე მეტია ჩემი ოცეული დღეში რამდენჯერმე მღერის ასეულის ჰიმნად გამოცხადებულ სიმღერას. ეს სიმღერა მხოლოდ რამდენიმე რეზერვისტისთვისაა ცნობილი. სამწუხაროდ, ორიგინალური მელოდიის დადგენა შეუძლებელია. ტექსტი კი წერილობით მაქვს. ლექსის ავტორი ვინ არის, არ ვიცი, ალბათ ნიჭიერი კაცია, მაგრამ ძნელია მოძებნო უფრო მეტად უნიჭოდ დაწერილი ლექსი. თუკი ამ ლექსზე დაწერილი სიმღერა ჯარისკაცების ჰიმნი უნდა იყოს, იმ ქვეყნის ჯარისკაცებს არც საბრძოლო სული, არც რიტმის გრძნობა და არც ინტელექტი არ უნდა გააჩნდეთ.

ნინო როგორის ბლოგი
წასიარად!

ბარათაშვილის სკვერი მართლაც „გარემონტებულია“, თუმცა სარეკრეაციო ფუნქციას რამდენად შეასრულებს და რამდენად იქნება თბილისში ჩამოსული ტურისტებისთვის მიმზიდველი გაჩერების პუნქტი, როგორც ამას ქალაქის მერი იმედოვნებს, ძნელი სათქმელია. არც ლანდშაფტის არქიტექტორების ნამუშევართან მაქვს პრეტენზია და არც პარკის ფიზიკურ მონაცემებთან. როგორც წესი, ჩემი საღამოს გასეირნებების მტრები და ჩამშხამებლები უბრალოდ არაკომპეტენტური და, რაც მთავარია, საოცრად უზრდელი დაცვის თანამშრომლები არიან.

აჰ, შეხუნ, შეხუნ!

(აღწე ბინსბახისხაჯადე ტაქაქომჯანია "იბაეს")



კახა თოლორდავა

წმინდა არს! წმინდა არს! წმინდა არს! წმინდა არს! წმინდა არს! წმინდა არს! წმინდა არს! წმინდა არს! წმინდა არს! წმინდა არს! წმინდა არს!

წმინდა არს თვითმფრინავი, შენ რომ ჩამოფრინდი! წმინდა არს სასტუმრო, სადაც შენ ცხოვრობდი! წმინდა არს ლოგინი, სადაც შენ გეძინა! წმინდა არს ქუჩები, რომელზეც დადიოდი! წმინდა არს ნივთები რომელსაც შეეხე! წმინდა არს ბავშვები შენ რომ ეთამაშებოდი! წმინდა არს ყველა ფოტო შენ რომ გადაგიღეს! წმინდა არს საქართველოს პრეზიდენტის გულ-მკერდი, შენ რომ ხუმრობით დაჰკარი ხელი! წმინდა არს ძველი თბილისის ხედები, შენ რომ შეავლე თვალი! წმინდა არს ყველა ხელი, შენ რომ ჩამოართვი! წმინდა არს ყველა, ვისაც შენი მზერა შეეხო! წმინდა არს ჩვენი პატრიარქის ორივე ლოყა, შენ რომ ეამბორე! წმინდა არს შენი ფანები, შენ რომ გიკოოდნენ! წმინდა არს წითელი ხალიჩა, შენ რომ გაიარე! წმინდა არს „იმედის“ ეთერი, შენ რომ გაჩვენებდა! წმინდა არს ყველა ეთერი! წმინდა არს შენს გვერდზე დასაჯდომად გადახდილი 20 000 დოლარი! წმინდა არს სკამი შენს გვერდზე! წმინდა არს ყველა სკამი შენს გვერდზე! წმინდა არს, ვინც 20 000 დოლარი გადაიხადა შენს გვერდზე დასაჯდომად! წმინდა არს სტილისტი მიშა, თმები რომ დაგვარცხნა! წმინდა არს ასფალტი, შენი ცრემლები რომ დაეცა! წმინდა არს მანქანები, შენ რომ იჯექი! წმინდა არს ყველა იმ მანქანის უკანა საჯდომი! წმინდა არს შენი და შენს გვერდზე! წმინდა არს დანა-ჩანგლები, შენ რომ ეხებოდი! წმინდა არს ორი თითი, შენ რომ გვიჩვენე! წმინდა არს ბუნვით განწყობილი შენი შავი კაბა! წმინდა არს შენი თავშალი! წმინდა არს ჩანთა, რომელიც გაჩუქეს, წმინდა არს ხალიჩები, შენ რომ თვალი შეავლე! წმინდა არს ნარიყალა! წმინდა არს საპატრიარქო! წმინდა არს პრეზიდენტის სასახლე! წმინდა არს ვინც შენ დაგპატიჟა! წმინდა არს ქართული ჩურჩხელა და ბალი შენს მუცელში, წმინდა არს შენს მიერ დატოვებული საჭმლის ნარჩენები „კალას“ მაგიდაზე! წმინდა არს ყველა კიბე, შენ რომ ადიოდი! წმინდა არს ყველა კიბე, რომელზეც ჩადიოდი! წმინდა არს ყველა ქართველის გაბადრული სახე შენს დანახვაზე! წმინდა არს რუსთაველის თეატრი! წმინდა არს კინოთეატრი „რუსთაველი“! წმინდა



შერონ სტოუნი თბილისში

ფოტო: ვახტანგ თოლორდავა

არს რუსთაველის პროსპექტი! წმინდა არს სიმღერები, შენ რომ უსმენდი! წმინდა არს ხატი, შენ რომ გაჩუქეს! წმინდა არს წყალი და ღვინო, შენ რომ შესვი! წმინდა არს ყველა, ვინც შენთვის ხინკლებს ახვევდა! წმინდა არს ყველა კერძი, აქ რომ გასინჯე! წმინდა არს სიზმრები, აქ რომ ნახე! წმინდა არს, შენი ხმა და ღიმლი, ჩვენ რომ დაგვიტოვე, წმინდა არს ყველა, ვინც შენზე ფიქრობს! წმინდა არს ხელი, შენ რომ ნაქცევას გადაგარჩინა! წმინდა არს „აგვისტოს 5 დღე“, შენ რომ უყურებდი! წმინდა არს ყველა შენი ტანსაცმელი, აქ რომ ჩაიცვი! წმინდა არს უნიტაზი, შენ რომ იჯექი! წმინდა არს ენდი გარსია და რენე ჰარლინი, შენ რომ აკოცე! წმინდა არს ამერიკელი სენატორი, შენ რომ გაიცანი! წმინდა არს ყველა მიმტანი, შენ რომ გემსახურებოდა, წმინდა არს ყველა, ვინც შენ გემსახურებოდა! წმინდა არს ყველა ავტოგრაფი, შენ რომ მიეცი! წმინდა არს დილა და ღამე, რომელშიც დაიძინე და გაიღვიძე! წმინდა არს ლიფტი, რომლითაც ადიოდი და ჩადიოდი! წმინდა არს თვითმფრინავი, შენ რომ გაფრინდი! წმინდა არს ადგილი სადაც შენ გაფრინდი! წმინდა არს ისტერიკა შენ რომ გამოიწვიე! წმინდა არს დრო, შენს ყურებაში, რომ დაეხარჯეთ!

დედაო შერონ, ხომ ვართ შენი ღირსნი? წმინდაო შერონ, ხომ ვართ თქვენი ღირსნი?



თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი
გორი, ქარელი, საშუსრი
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია
ურეკი, ქობულეთი, ბათუმი
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი

FM 105.5

FM 103.0

FM 104.5

FM 101.0

FM 101.9



WWW.LIBERALI.GE

